

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი  
დიპლომატია და სამართალი

INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL  
DIPLOMACY AND LAW



**N1-2 (12)**  
**2025**



ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუნუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE – NEWUNI

რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

**დიპლომატია და სამართალი**

ISSN 2449-2655

№1-2(12)2025

International Scientific Peer-Reviewed Journal

**Diplomacy and Law**



გამომცემლობა „უნივერსალი“

საქართველო, თბილისი 2025

Georgia, Tbilisi 2025

UDC (უკ) 327+341.7

ჟურნალ „ლიკლომატია და სამართლის“ სარედაქციო საბჭო:

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, მთავარი რედაქტორი**

**თამარ გარდაფხაძე** – სამართლის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის აფილირებული პროფესორი, საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის რექტორი;

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რედაქტორი**

**დავით გეფერიძე** – საერთაშორისო სამართლის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;

**სარედაქციო საბჭოს წევრები:**

**ანა ანტიაკ-ბარზანი** – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ფინანსებისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე (პოლონეთი, ვარშავა);

**დავით მათიკაშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი;

**მამუკა მდინარაძე** – სამართლის დოქტორი, პროფესორი;

**მარიამ ტაციუ** – სამართლის დოქტორი, ლექტორი ფინანსურ და კორპორატიულ სამართალში, უკლანის უნივერსიტეტში (კვიპროსი, ლარნაკა);

**კახი ყურაშვილი** – სამართლის დოქტორი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;

**სერგო კაპანაძე** – საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**ავთანდილ ხაზალია** – სამართლის დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;

**სიმონე ჯომეტი** – ეკონომიკის დოქტორი, რომუალდო დელ ბიანკოს (ფლორენცია, იტალია) ფონდის გენერალური მდივანი;

**გულნარა იმედაშვილი** – ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;

**ანნა მარუაშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის აფილირებული პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

**ქეთევან ჯიჯეიშვილი** – პოლიტიკის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**მანანა ალადაშვილი** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**მანანა ნანიტაშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**ნონა ახალაშვილი** ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**ლალი გარდაფხაძე** – განათლების დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის აფილირებული პროფესორი

ქართული ტექსტის კორექტორი – **ზურაბ სანადირაძე**

ინგლისური ტექსტის კორექტორი – **სოფიო მორალიშვილი**, ფილოლოგიის დოქტორი

ISSN 2449-2655

© ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენი, 2025

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2025

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



UDC (უკ) 327+341.7

Editorial Board of the journal *Diplomacy and Law*

**Editor-in-Chief**

**Tamar Gardapkhadze** – Doctor of Law, Affiliated Professor at New Higher Education Institute – NEWUNI, Academician of the Georgian Academy of Social Sciences, Rector of New Higher Education Institute – NEWUNI

**Deputy Editor-in-Chief**

**David Geperidze** – Doctor of Law, Academician of the National Academy of Sciences of Abkhazia, Affiliated Professor at Gori State University

**Editorial Board**

**Anna Antczak-Barzan** – Doctor of Philosophy, Professor, Head of the Department of International Relations at University of Finance and Management in Warsaw;

**Davit Matikashvili** – Member of the Parliament of Georgia;

**Mamuka Mdinaradze** – Doctor of Law, Professor;

**Maria Tatsiou** – PhD of Law, Lecturer in Financial and Corporate Law at UCLan Cyprus.

**Kakhi Qurashvili** – Doctor of Law, Affiliated Professor at New Vision University;

**Sergi Kapanadze** – Doctor of International Relations, Professor, Illia State University;

**Avtandil Khazalia** – Doctor of Law, Academician of the Abkhazian National Academy of Sciences, Affiliated Professor at Sokhumi State University;

**Simone Jiometti** – PhD in Economics, General Secretary of Romualdo Del Bianco Foundation (Florence, Italy);

**Gulnara Imedashvili** – Doctor of Business Administration, Affiliated Professor at New Higher Education Institute – NEWUNI, Head of the Scientific Research Center of New Higher Education Institute – NEWUNI

**Anna Maruashvili** – Doctor of Economics, Affiliated Professor at New Higher Education Institute – NEWUNI, Vice Dean of the Faculty of Business, Law and Social Sciences at New Higher Education Institute – NEWUNI;

**Ketevan Jijeishvili** – Doctor of Politics, Professor, Head of the Bachelor's Program in International Relations at New Higher Education Institute – NEWUNI School of Business, Law and Social Sciences;

**Manana Aladashvili** – Doctor of Business Administration, Professor, Head of the Bachelor's Program in Tourism at New Higher Education Institute – NEWUNI School of Business, Law and Social Sciences;

**Manana Nanitashvili** – Doctor of Economics, Professor, Head of the Bachelor's Program in Business Administration at New Higher Education Institute – NEWUNI School of Business, Law and Social Sciences;

**Nona Akhalashvili** – Doctor of Psychology, Professor, Head of the Bachelor's Program in Psychology at New Higher Education Institute – NEWUNI School of Business, Law and Social Sciences;

**Lali Gardapkhadze** – Doctor of Education, Affiliated Professor at New Higher Education Institute – NEWUNI

*Georgian Text Editor* – **Zurab Sanadiradze**

*English Text Translator and Editor* – **Sophio Moralishvili**, Doctor of Philology

ISSN 2449-2655

© New Higher Education Institute – NEWUNI, 2025

Publishing House "UNIVERSAL", 205

4, A. Politkovskaia., 0186, Tbilisi, Georgia ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



აკრძალულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „დიპლომატია და სამართალი“ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება სარედაქციო საბჭოს წერილობითი ნებართვის და წყაროს მითითების გარეშე.

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი მოსაზრებანი ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ მის ავტორებს და არ წარმოადგენს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის პოზიციას ან პოლიტიკას.



*The opinions expressed in this publication are those of the author and do not necessarily reflect views or policies of the International Scientific Journal "Diplomacy and Law".*

*No part of this publication may be reproduced or transmitted in any form or by any means, electronic or mechanical, including photocopying, recording, or dissemination without prior written permission of the editorial board or without citing the source.*

დამფუძნებელი –

ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუნი [newuni.edu.ge](http://newuni.edu.ge)

თანადამფუძნებლები:

ვარშავის ფინანსებისა და მართვის უნივერსიტეტი [vizja.pl](http://vizja.pl)

საქართველოს უნივერსიტეტების ასოციაცია [sua.ge](http://sua.ge)

საერთაშორისო სამართლის ასოციაცია [intlaw.ge](http://intlaw.ge)

Founder – New Higher Education Insitute

[newuni.edu.ge](http://newuni.edu.ge)

Co-founders:

University of Finance and Management of Warsaw

[vizja.pl](http://vizja.pl)

Asociation of Georgian Universitis

[sua.ge](http://sua.ge)

Asociation of International Law

[intlaw.ge](http://intlaw.ge)



## სარჩევი

### სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები

#### თამარ გარდაფხაძე

მოსაზრება თანამედროვე სამართლის თაობაზე, მისი როლი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში ..... 7

#### Gardapkhadze Tamari

Reflections on Contemporary Law and Its Role in Society and the Life of the State ..... 11

#### ავთანდილ ხაზალია, ანა ყაბანაშვილი

ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით ..... 14

#### Avtandil Khazaliya, Ana Khabanashvili

Administrative Proceeding Related to the Prevention of Violence against Women and/or Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Violence ..... 23

#### დავით გეფერიძე

9/11-ის გავლენა ევროკავშირის ბრძოლაზე საავიაციო ტერორიზმთან ..... 31

#### David Geperidze

The Impact of 9/11 on the European Union's Fight Against Aviation Terrorism ..... 41

#### არტურ ჩობანიანი

მედიაციის როლი სისხლის სამართალში და მიმართება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთან ..... 49

#### Arthur Chobaniani

The Role of Mediation in Criminal Law and Its Relation to the Best Interest of the Juvenile ..... 59

#### ქეთევან მესხიძე

დიდ სახელმწიფოთა პოლარული ამბიციები და უსაფრთხოების დილემა ..... 66

#### Ketevan Meskhidze

Polar Ambitions of Great Powers and the Security Dilemma ..... 81

#### თამარა ტარტარაშვილი, თორნიკე ლაბაძე

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური გავლენა, ინსტიტუციური გამოწვევები და პოლიტიკური რეკომენდაციები ..... 93

#### Tamara Tartarashvili, Tornike Labadze

The Integration of Artificial Intelligence in Georgia: Socio-Economic Impact, Institutional Challenges, and Policy Recommendations ..... 104

#### ნანა ციხისტავი

რეცენზია ნინო დონაძის სადისერტაციო ნაშრომზე „ღირებულებების დამკვიდრება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში ისტორიის სწავლების გზით: შედარებითი ანალიზი“ ..... 113

#### Nana Tsikhistavi

Review on Nino Donadze Dissertation Topic: "Establishing Values Through History Teaching in the United States and Georgia: A Comparative Analysis." ..... 120

### ეკონომიკა და ბიზნესის ადმინისტრირება

#### გულნარა იმედაშვილი, ნათია გოგოლაური

ხელოვნური ინტელექტი (AI) და სტრატეგიული დაგეგმვა ..... 125

#### Gulnara Imedashvili, Natia Gogolauri

Artificial Intelligence (AI) and Strategic Planning ..... 131

## ავთანდილ ლაფაჩი

სამეწარმეო სუბიექტების ფინანსური მდგომარეობის შეფასება ..... 136

## Avtandil Lapachi

Assessment of the Financial Status of Entrepreneurial Subjects ..... 142

## ასმათ შამუგია

ციფრული მარკეტინგული საკომუნიკაციო კამპანიისა და ბრიფის მნიშვნელობა ონლაინ ბიზნესისთვის ..... 147

## Asmat Shamugia

The Importance of a Digital Marketing Communication Campaign and Brief for Online Businesses ..... 151

## მაია გელაშვილი

მუნიციპალიტეტის როლი საინვესტიციო საქმიანობაში ..... 154

## Maia Gelashvili

The Role of the Municipality in Investment Activities ..... 160

## მარინა ლუარსაბიშვილი

სამრეწველო და სავაჭრო კომპანიების შედარებითი დახასიათება ..... 166

## Marina Luarsabishvili

Comparative Characteristics of Industrial and Trading Companies ..... 170

## მურად ფახურიძე

ინფორმაციული ტექნოლოგიები და პერსონალის მართვა სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ..... 173

## Murad Pakhuridze

Information Technology and Personnel Management in Sports Educational Institutions ..... 178

## ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები

## თეა ლორთქიფანიძე

სახელმწიფო ენა და ბილინგვური განათლება ..... 182

## Tea Lortkipanidze

State Language and Bilingual Education in Georgia ..... 186

## სოფიო მორალიშვილი, იზოლდა ჩხობაძე

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში: საუკეთესო პრაქტიკებისა და გამოწვევების ანალიზი ..... 189

## Sophio Moralishvili, Izolda Chkhobadze

Using AI in the Affective Teaching of English Language: A Desk-Research and Comparative Analysis of Best Practices and Challenges ..... 197

## ივანე სეხნიაშვილი

ტელევიზია, როგორც „მძლავრი იარაღი“ ..... 203

## Ivane Sekhniashvili

Television as a “Powerful Weapon” ..... 208

## ზურაბ სანადირაძე

ქართული ენის სწავლების ასპექტები – მეორე ენა და სახელმწიფო ენის როლი თანამედროვე პირობებში (ენა, როგორც ხიდი კულტურებს შორის) ..... 212

## Zurab Sanadiradze

Aspects of Teaching the Georgian Language – the Role of the Second Language and the State Language in Modern Conditions (Language as a Bridge Between Cultures) ..... 216



## სამართალი და სამართლის ურთიერთობები

**თამარ გარდაფხაძე**  
სამართლის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის  
ავილირებული პროფესორი

### მოსაზრება თანამედროვე სამართლის თაობაზე, მისი როლი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში

#### ანოტაცია

სახელმწიფო-სამართლებრივი რეალობა, პოლიტიკური და სამართლებრივი პროცესები ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი საჯარო სფეროა, რომელზედაც დიდწილად არის დამოკიდებული მთლიანად საზოგადოების ცხოვრება. მათი მეცნიერული გაგება არა მხოლოდ საზოგადოების ობიექტური მოთხოვნილებაა, არამედ რთული ამოცანაც. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია განზოგადებული ფორმით სწავლობს სამართლის ქვეყნებისა და სისტემების მრავალფეროვნებას – შორეულ და არც თუ ისე შორეულ წარსულში არსებულთაგან, რომლებიც ამჟამად არსებობს. თუ მეცნიერება არ შეისწავლიდა და არ განზოგადებდა ამ გიგანტურ ისტორიულ გამოცდილებას, მაშინ სახელმწიფო - იურიდიული პრაქტიკა ან სამუდამოდ დარჩებოდა ერთ ადგილზე ან განადგურდებოდა, რადგან ხალხი დაივიწყებდა გასული თაობის ძვირფას გამოცდილებას და მიღწევებს. დღესაც სახელმწიფო-სამართლებრივ მშენებლობაში მეცნიერების იგნორირება უამრავ უარყოფით შედეგს იწვევს.

პრაქტიკის შესწავლითა და შეჯამებით, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია აყალიბებს სახელმწიფო-სამართლებრივი ფენომენების ცნებებსა და განმარტებებს, ავითარებს სამეცნიერო რეკომენდაციებსა და დასკვნებს, აყალიბებს ახალ იდეებს, რომლებიც საშუალებას აძლევს არა მხოლოდ გავიგოთ სახელმწიფოსა და სამართლის არსი, შინაარსი და ფორმები, არამედ ოსტატურად გამოიყენოთ ისინი პროგრესული განვითარების საზოგადოების მიზნებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** სამართალი, საზოგადოება, კანონი, კანონიერება, სამართლიანობა, სახელმწიფო.

### მოსაზრება თანამედროვე სამართლის თაობაზე, მისი როლი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში

მთელი მსოფლიო მხარს უჭერს ცვლილებების დინამიკას არა მხოლოდ ტექნიკური და ინფორმაციული ფორმით, არამედ იცვლება მორალური საფუძვლები და ურთიერთობები ადამიანებს შორის. მშვიდობიანი არსებობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ყოველთვის იყო სამართალი, რომლის მთავარი მიზანი სოციალური ურთიერთობების მოწესრიგებაა. საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით უნდა შეიცვალოს სოციალური ურთიერთობების მოწესრიგების წესებიც.

თანამედროვე სამართლის ფორმირების ევოლუციის გათვალისწინებით, აუცილებელია ად-

ინიშნოს ის ფაქტი, რომ იგი საკმაოდ დიდი ხნის წინ გამოჩნდა, რადგან ძველ დროშიც კი ადამიანებს სურდათ მშვიდი და გასაგები ცხოვრება, საზოგადოებაში გლობალური ცვლილებები ასევე ემსახურება კანონის გლობალური ცვლილების საფუძველს.

ბევრ წყაროში გამოთქმულია ასეთი მოსაზრება, რომ კანონი არის სახელმწიფოს ერთ-ერთი აქტიური ძალა, მაგრამ კანონის კონცეფციის ეს იდეა არასწორია. ეს განპირობებულია იმით, რომ სამართლის პრინციპები ამ ცნებას მეორე მხრიდან ავლენენ, ვინაიდან სამართლის მთავარი მიზანია თითოეული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის წესრიგის შენარჩუნება. თანამედროვე სამართლის ძირითად პრინციპებს შორისაა:

- სამართლიანობა.
- ჰუმანიზმი.
- საყოველთაო თანასწორობა კანონისა და სასამართლოების წინაშე.
- კანონიერება.

კანონის თავისებურება არის ის, რომ იგი ძლიერ გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრებაზე, რადგან ის გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს. კანონის ფუნქციები, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს, როგორც მისი სოციალური მიზნის რეალიზება. სამართლის წყაროებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს სამართლის გაჩენას და მოქმედებას.

სამართლის წყარო არის ნორმების გამოხატვისა და კონსოლიდაციის გარეგანი ფორმა უფლებები. სამართლის წესების, ანუ კანონმდებლობის ფორმირება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ნორმატიული სამართლებრივი აქტების მიღებით ან წესით სამართლებრივი ნორმის ხასიათის მინიჭებით.

კანონის ფორმირება სხვადასხვა წყაროდან მოდის, რაც აყალიბებს გარკვეულ პრიორიტეტებს ადამიანების ქცევაში და აყალიბებს ნორმების თანამედროვე სისტემას. დღემდე, არსებობს სამართლის სხვადასხვა წყაროების საკმაოდ ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს:

- იურიდიული პრაქტიკა;
- სასამართლო პრეცედენტი;
- სამართლებრივი აქტი;
- სამართლებრივი შეთანხმება;
- რელიგიური და სამართლებრივი დოქტრინები.

თითოეულ ამ წყაროს აქვს თავისი სპეციფიკური მახასიათებლები. სამართლებრივი ჩვეულება ყალიბდება გარკვეული ქცევის განვითარებისა და მუდმივი გამეორების გამო. ამ შემთხვევაში ის ყალიბდება რამდენიმე თაობის განმავლობაში, რის შედეგადაც ფიქსირდება სახელმწიფო დონეზე, რაც ემსახურება მარტივი ჩვეულების ლეგალურში გადასვლას.

სასამართლო პრეცედენტი – სასამართლოს გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმეზე, რომელსაც ენიჭება სავალდებულო ძალა. სასამართლო არის კანონის მიერ შემქმნელი ორგანო, მისი გადაწყვეტილებები სამომავლოდ მსგავსი საქმეების განხილვის მოდელად იქცევა და ასეთი საქმეები, რომლებიც შემდგომ განიხილება სასამართლოებში.

ნორმატიულ სამართლებრივ აქტს იღებს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო, რომელიც აყალიბებს, ცვლის ან აუქმებს სამართლის ნორმებს. საქართველოში ეს არის კანონის მთავარი წყარო. ქვეყანაში მოქმედი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები ქმნის ერთიან სისტემას.

ნორმატიული ხელშეკრულება – მარეგულირებელი ხელშეკრულებების ყველაზე გავრცელებული სახეობაა – საერთაშორისო ხელშეკრულებები. გარდა ამისა, კანონის წყაროა საერთაშორისო ხელშეკრულება, აგრეთვე ნორმები და შეთანხმებები იურისდიქციისა და უფლებამოსილების სუბიექტების განსაზღვრის შესახებ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებსა და საქართველოს ავტონომიურ ერთეულებს შორის.



რელიგიური და იურიდიული დოქტრინები არის წმინდა ტექსტები, რომლებიც ადგენენ რელიგიურ ნორმებს და რომლებსაც სახელმწიფოები ანიჭებენ საყოველთაოდ სავალდებულო სტატუსს (მაგალითად, ბიბლია, ყურანი).

სამართალი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც საფუძვლად უდევს აყვავებულ და უსაფრთხო ცხოვრებას. ეს ასახავს მისი გამოყენებისა და როლის აუცილებლობას საზოგადოების ცხოვრებაში. დროთა განმავლობაში იცვლება საზოგადოება, მისი შეხედულებები და მორალური პრინციპები, რაც საკანონმდებლო ბაზის შეცვლის ერთ-ერთი მიზეზი ხდება.

დღემდე, კანონის უზენაესობის პრინციპები განხორციელდა და გავრცელდა თითოეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ისინი რეალიზდება მოქალაქეთა თანასწორობით, რაც ხორციელდება სახელმწიფოს ცხოვრებაში და განვითარებაში მონაწილეობით და ხმების თანაბარი შეფასებით მივყავართ იქამდე, რომ უმრავლესობა, განუჩევლად მათი სოციალური მდგომარეობისა და შემოსავლის დონისა, განსაზღვრავს პოლიტიკურ სახელმწიფოს კურსს.

ამასთან დაკავშირებით, არ არსებობს საზოგადოების ჩამოყალიბება და განვითარება, ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების გაგების გლობალიზაცია და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის გართულება, ხდება ახალი კავშირების ფორმირება. ეს ეტაპი გამოირჩევა საჯარო ადმინისტრაციისთვის დემოკრატიული ნარჩენებით, რომლის საფუძველია ადამიანის თავისუფლების გარანტიების განხორციელება. საზოგადოების მართვის მნიშვნელოვანი ელემენტია ყველას თანასწორობა, მაშინ საზოგადოებრივი თავისუფლება გაგებულია მისი ყველა წევრის თვითგამორკვევის მნიშვნელობით, რაზეც დამოკიდებულია მთლიანად საზოგადოების მართვის პოლიტიკის შემდგომი შესაძლებლობები.

მართვის ასეთი შესაძლებლობები ცვლის სოციალურ პოზიციას თითოეული ადამიანისთვის, რომელსაც მოაქვს სოლიდარობის და სახელმწიფოს ცხოვრებისადმი კუთვნილების განცდა, თანამოქალაქებს შორის თანასწორობისა და სამართლიანობის საფუძველი.

დღეს, იმისათვის, რომ კანონის უზენაესობის პრინციპი იყოს მოქმედი, მან უნდა გაიაროს მისი ჩამოყალიბების გრძელი გზა, ასევე საიმედოობის რთული გამოცდა, რადგან საზოგადოების სამართლებრივ კონცეფციას შეუძლია მხოლოდ მის საფუძველზე დაფუძნებული ნორმის დადგენა. ზოგიერთი ინგლისელი ფილოსოფოსის აზრით, თუ დღეს საზოგადოებაში გაჩნდა პრაქტიკული პრინციპი „X“, მისი მნიშვნელოვნებისა და ლეგიტიმურობის შემოწმება შემდეგი ლოგიკური სქემით უნდა მოხდეს:

- ასეთი სქემის პირველი ნაბიჯი ქმნის სუბიექტის სოციალურ დამოკიდებულებას, რაც ნიშნავს, რომ პრინციპი „X“ აუცილებელია ზოგადი ქცევის მასშტაბის შესაქმნელად;

- მეორე საფეხური ხდება სუბიექტის ფსიქოლოგიური წყობა, რომელიც ასახავს მის მოტივებს იმოქმედოს „X“ პრინციპით;

- მესამე საფეხური ნიშნავს სუბიექტის პიროვნულ დაყენებას, რომელიც მოითხოვს მისგან რეალურად ნებაყოფლობით შეასრულოს მოქმედება „X“ პრინციპის საფუძველზე.

დღეს სამართალი და მორალი მჭიდრო კავშირშია არა მხოლოდ ვალდებულებების სფეროში, რომლის ერთ-ერთი მოთხოვნაც საზოგადოებაა. „მხოლოდ მორალს შეუძლია ნორმატიულობის, კანონის სავალდებულო ძალის ლეგიტიმაცია“, – ხაზგასმით აღნიშნა გ. ლობჯანიძემ<sup>1</sup>. ასევე შეუძლებელია არ მივიღოთ ის ფაქტი, რომ განსხვავება ოპერაციების ზნეობასა და კანონიერებას შორის აუცილებლად ექვემდებარება ცვლილებას, თუ ყველა შინაგან მოქმედებას გამონაკლისის გარეშე მივაკუთვნებთ მორალს და მხოლოდ გარეგნულ ქმედებებს კანონიერებად.

მორალური დასკვნის მოდელს შეუძლია განახორციელოს თანდაყოლილი არსი და ავტორიტეტის დეკლარირებული ნორმები, ამ მიზეზით. მორალური მნიშვნელობის გამოხატვა იურიდიულმა ნორმებმაც შეიძლება.

<sup>1</sup> იხ. გივი ლობჯანიძე, სახელმწიფო სამართალი, (თეორიული საფუძვლები) თბ.2022, გვ.33

საზოგადოებაში ქვეყნის სისწორისა და თანასწორობის განხორციელების ამჟამინდელი პერიოდი არსებობს დასაშვებობის კონკრეტული საზღვრები, რომლებიც ჩამოყალიბებულია არამხოლოდ სოციალური ურთიერთობის ინსტრუქციებით, არამედ ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი სამართლებრივი ნორმებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ პრინციპები ორიენტირებულია საზოგადოებისთვის გაიდლაინების შერჩევის რეალურ არგუმენტირებაზე, მაგრამ ასევე მათი შეფასების ალბათობაზე.

ჯ.როულსის აზრით<sup>1</sup>, საზოგადოებაში სამართლიანობის გაგება ყოველთვის უცვლელია და ფოკუსირებულია სოციალურ სტრუქტურაზე, რომელიც კანონით გაფორმების შემდეგ, ყველასთვის სამართლიანი იქნება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ რაიმე ეჭვი გაჩნდეს, რადგან დღეს ასეთი სტრუქტურა, პირველ რიგში, სახელმწიფოა. სახელმწიფო აძლიერებს ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს არა მხოლოდ ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთკავშირს, არამედ სახელმწიფოს ბედსაც.

მორალის კანონის გამოყენება ნების დადგენისას განსჯის საგანია. სწორედ აქ ხდება მუტაცია, რომლის მეშვეობითაც გადის კანონის პრინციპი და სამართლიანობის მნიშვნელობა ტელეოლოგიურიდან დეონტოლოგიურზე გადასვლაში. მთავარი ფსონი არის ფორმალური სტატუსი, რომელიც მიენიჭება საყოველთაო დაცვას, სადაც კანონის პრინციპი ჩნდება როგორც მორალური კანონი, ასევე იურიდიული კანონი.

სამართლებრივი პრინციპების კონსოლიდაციაზე საუბრისას გ. გურვიჩმა აღნიშნა<sup>2</sup>, რომ ისინი მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ კოლექტიური ცხოვრების მოწესრიგებაზე, არამედ საზოგადოების თითოეული ცალკეული წევრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად: „სამართლის სფეროში ხშირად სამართლიანობას ეწირება. უსაფრთხოების მიზნით, რასაც პოზიტიურ კანონს უწოდებენ, არის უსაფრთხოების ამ პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინება. თუმცა, ამ უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირად აღიარებულია კანონის მოქმედება, რაც აუქმებს გარკვეულ მომენტამდე არსებულ პოზიტიურ უფლებას. მაგალითად, რევოლუციური სამართლის მოქმედება, მისი გაუთვალისწინებელი ხასიათი, თავისთავად რევოლუციური ტრიბუნალების ცრუ პრაქტიკით.

ამრიგად, სამართლის ფორმირების ისტორიის გათვალისწინების შემდეგ, აუცილებელია გამოვყოთ სხვადასხვა მიდგომები, თუნდაც თანამედროვეობაში. განვითარების ევოლუციის მკაფიო და ქეშმარიტი ისტორია არ არსებობს, მაგრამ შესაძლებელია გამოვყოთ ისეთი ფაქტორები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს სამართლის ფორმირებასა და განვითარებაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი სუბიექტია ადამიანი, რომელიც ხდება არა მხოლოდ კანონის აგების სუბიექტი, არამედ ამის რეგულირების ობიექტიც.

## გამოყენებული ლიტერატურა:

გივი ლობჯანიძე, სახელმწიფო სამართალი, (თეორიული საფუძვლები) თბ.2022  
გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, თბ.2015  
როულსის სამართლიანობის თეორია (მოკლე აღწერა)  
Буржуазная социология права

<sup>1</sup> იხ. როულსის სამართლიანობის თეორია (მოკლე აღწერა), <https://www.scribd.com/document/151102556>.

<sup>2</sup> დაწვრ. იხ. Буржуазная социология права, <https://www.google.ge/books/edition>



**Gardapkhadze Tamari**

*Doctor of Law,*

*Professor at New Higher Education Institute-NEWUNI*

## **REFLECTIONS ON CONTEMPORARY LAW AND ITS ROLE IN SOCIETY AND THE LIFE OF THE STATE**

### **Abstract**

State-legal realities, as well as political and legal processes, represent one of the most complex and important public spheres, on which the life of society as a whole largely depends. Their scientific understanding is not only an objective requirement of society but also a challenging task. The theory of the state and law studies, in a generalized form, the diversity of legal systems and states—both those from the distant and not-so-distant past, as well as those existing today. If science did not study and generalize this vast historical experience, state-legal practice would either remain stagnant forever or be destroyed, as people would forget the valuable experiences and achievements of past generations. Even today, ignoring science in state-legal construction leads to numerous negative consequences.

Through the study and synthesis of practice, the theory of state and law develops concepts and explanations of state-legal phenomena, formulates scientific recommendations and conclusions, and generates new ideas. This allows not only an understanding of the essence, content, and forms of the state and law but also their skillful application for the purposes of a progressively developing society.

**Keywords:** Law, Society, Legislation, Legitimacy, Justice

### **Introduction**

The entire world supports the dynamics of change not only in technical and informational forms but also in the moral foundations and interpersonal relationships among people. Law has always been a crucial factor for peaceful coexistence, with its primary purpose being the regulation of social relations. In line with the changes occurring in society, the rules for organizing social interactions must also evolve.

Considering the evolution of the formation of contemporary law, it is important to note that law emerged a long time ago, as even in ancient times people desired a peaceful and orderly life. Global changes in society also contribute to the basis for global transformations in law.

Many sources express the view that law is one of the active forces of the state, but this idea of the concept of law is incorrect. This is because the principles of law reveal this concept from a different perspective, as the main purpose of law is to maintain the social and economic order of each state. Among the fundamental principles of contemporary law are:

- Justice
- Humanism
- Universal equality before the law and the courts
- Legality

The peculiarity of law is that it has a strong influence on the life of society because it performs certain functions. The functions of law primarily act as the realization of its social purpose. When discussing the sources of law, it primarily refers to the factors that determine the emergence and operation of law.

A source of law is the external form in which legal norms are expressed and consolidated. The formation of legal rules, that is, lawmaking, is carried out by the state through the adoption of normative legal acts or by conferring a legal norm character to a rule.

## The Social Foundations and Functions of Law

The formation of law comes from various sources, which shape certain priorities in human behavior and form the modern system of norms. To date, there exists a fairly wide range of sources of law, which includes:

- Legal practice
- Judicial precedent
- Legal acts
- Legal agreements
- Religious and legal doctrines

Each of these sources possesses specific characteristics that merit detailed consideration. Legal custom emerges through the development and repeated practice of certain behaviors over time. In many cases, customs solidify over several generations, eventually becoming recognized at the state level, thereby facilitating the transformation of simple habitual practices into formal legal norms.

Judicial precedent refers to a court decision in a specific case that is granted binding authority. Courts, as bodies empowered by law, create decisions that subsequently serve as models for the adjudication of similar cases in the future, thereby guiding consistent legal interpretation and application.

A normative legal act is adopted by a competent state authority and serves to establish, modify, or abolish legal norms. In Georgia, normative legal acts constitute the primary source of law. The regulatory legal acts in force in the country collectively form a unified legal system.

Normative agreements, particularly regulatory contracts, are another key source of law, with international treaties being the most common form. Additionally, sources of law include international agreements, as well as norms and arrangements defining the jurisdiction and authority of Georgian state bodies and its autonomous units. Religious and legal doctrines are canonical texts that establish religious norms and are granted universally binding status by states (for example, the Bible and the Quran).

Law represents one of the most important instruments underpinning a flourishing and secure life. It reflects both the necessity of its application and its role in societal functioning. Over time, society evolves, along with its values and moral principles, which in turn drives changes in the legislative framework.

## Legitimacy, Morality, and the Rule of Law

To date, the principles of the rule of law have been implemented and disseminated across the territories of individual states. These principles are realized through the equality of citizens, participation in the life and development of the state, and the equal weighting of votes. This ensures that the majority, regardless of social status or income level, determines the political course of the state.

In this context, the formation and development of society occur alongside the globalization of the understanding of public life and the increasing complexity of social structures, leading to the emergence of new forms of relationships. This stage is characterized by democratic foundations for public administration, based on the protection and realization of human freedoms. A key element in governing society is equality, wherein public freedom is understood in terms of the self-determination of all members. The extent of this equality directly affects the future capacities and policies of societal governance.

Such governance capacities transform the social position of each individual, fostering a sense of solidarity and belonging to the life of the state, while establishing the foundations of equality and justice among fellow citizens.

Today, for the principle of the **rule of law** to be fully effective, it must undergo a long process of formation as well as a rigorous test of reliability, since the legal concept of society can only determine norms based on this foundation. According to some English philosophers, if a practical principle “X”

emerges in society today, its significance and legitimacy should be evaluated through the following logical framework:

- **Step one:** Establishes the subject's social attitude, meaning that principle "X" is necessary to create a general framework of behavior.
- **Step two:** Concerns the subject's psychological disposition, reflecting the motivations to act in accordance with principle "X."
- **Step three:** Refers to the subject's personal commitment, requiring the individual to voluntarily perform actions based on principle "X."

Today, law and morality are closely interconnected, not only in the realm of obligations, which society itself demands. As G. Lobzhanidze<sup>1</sup>, emphasized, "Only morality can legitimize the normativity and binding force of the law." It is also undeniable that the distinction between moral operations and legality is necessarily subject to change if all internal actions are without exception attributed to morality, while only external actions are classified as legal.

A model of moral reasoning can realize inherent essence as well as the authority of declared norms. For this reason, the expression of moral significance can also be embodied in legal norms.

In society, the current period of implementing correct and equitable behavior is defined by specific limits of permissibility, which are established not only by social interaction guidelines but also by the legal norms in force across any country. Accordingly, it is important to emphasize that these principles are oriented toward providing society with practical guidelines for real-world decision-making, while also allowing for the assessment of their probable effectiveness.

According to J. Rawls<sup>2</sup>, the understanding of **justice** in society is constant and focuses on a social structure that, once codified into law, will be fair for all. Doubts are unlikely to arise because, today, this structure is primarily embodied in the state. The state reinforces values that determine not only the relationship between the individual and society but also the fate of the state itself.

The application of **moral law** in the exercise of will is a matter of judgment. It is in this context that a mutation occurs, whereby the principle of law and the significance of justice transition from a **teleological** to a **deontological** framework. The central emphasis is on the formal status granted to universal protection, where the principle of law manifests simultaneously as both a **moral law** and a **legal law**.

When discussing the **consolidation of legal principles**, G. Gurvich<sup>3</sup>, emphasized that they should aim not only at regulating collective life but also at ensuring the safety of each individual member of society: "In the sphere of law, justice is often sacrificed. The principle of security, as embodied in positive law, represents one manifestation of this concern for safety. However, in pursuit of these security interests, the enforcement of law is often recognized in ways that nullify certain preexisting positive rights. For example, the operation of revolutionary law, with its unforeseen nature, is in itself a product of the flawed practices of revolutionary tribunals."

## Conclusion

Thus, taking into account the **history of law formation**, it is necessary to highlight different approaches, even in contemporary times. A clear and definitive history of legal evolution does not exist, but it is possible to identify factors that have significantly influenced the formation and development of law. The most important subject is the human being, who becomes not only the agent in constructing law but also the object of its regulation.

<sup>1</sup> See: Givi Lobzhanidze, *State Law (Theoretical Foundations)*, Tbilisi, 2022, p. 33.

<sup>2</sup> See: Rawls' Theory of Justice (Brief Overview), <https://www.scribd.com/document/151102556>

<sup>3</sup> For detailed discussion, see: *Bourgeois Sociology of Law*, available at <https://www.google.ge/books/edition>



## ავთანდილ ხაზალია

სამართლის დოქტორი,

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და

დიპლომატიის ფაკულტეტის პროფესორი,

აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

## ანა ყაბანაშვილი

იურისტი

# ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით

## ანოტაცია

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და სენსიტიურ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებისათვის. იგი გავრცელებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და არ გააჩნია სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ გეოგრაფიული საზღვრები. მიუხედავად მისი გავრცელებისა, ძალადობა ოჯახში ხშირად ფარულია და მსხვერპლნი დუმილს ამჯობინებენ სირცხვილისა და შიშის გამო. განსაკუთრებით ხშირია ქალებისა და ბავშვების მიმართ ჩადენილი ძალადობა, რაც საფრთხეს უქმნის მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დაცვას. სახელმწიფოს, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის გარანტს, განსაკუთრებული როლი აკისრია ამ პრობლემის პრევენციისა და აღმოფხვრის პროცესში.

ნაშრომის ანალიზმა ცხადყო, რომ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა არ არის მხოლოდ ინდივიდუალური პრობლემა – ის წარმოადგენს სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან სამართლებრივ და სოციალური პოლიტიკის გამოწვევას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო მოიცავს ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლის დაცვისა და რეაგირების მექანიზმებს, პრაქტიკაში ეს მექანიზმები ხშირად არ ფუნქციონირებს ეფექტიანად. მიზეზებად სახელდება ინსტიტუციური კოორდინაციის სისუსტე, რესურსების დეფიციტი და საზოგადოების მიერ ძალადობის პრობლემის არასათანადო აღქმა.

საომარი კონტექსტების (აფხაზეთის ომი, უკრაინა) ანალიზი აჩვენებს, რომ სექსუალური ძალადობა ხშირად მიზანმიმართული და სისტემურია და გამოიყენება, როგორც ომის იარაღი. აღნიშნული დანაშაულები, მიუხედავად საერთაშორისო სამართლებრივი შეფასებებისა, საქართველოში ძირითადად დაუსჯელი რჩება, რაც არღვევს მსხვერპლთა უფლებებს და ამცირებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ხარისხს.

კანონმდებლობის ეფექტური რეალიზაციისთვის საჭირო ხდება სისტემური პრევენცია, რაც გულისხმობს განათლებას, ინსტიტუციური უნარების გაძლიერებასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ძალადობის ნებისმიერი ფორმის მიმართ მკაფიო რეაგირება და უფლებადარღვევებზე სისტემური პასუხის გაცემა სახელმწიფოს ვალდებულებაა, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად.

**საკვანძო სიტყვები:** ოჯახი, ძალადობა, მსხვერპლი, დაცვა, დაუსჯელობა, კანონმდებლობა.

**ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და  
ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან  
და დახმარებასთან დაკავშირებით**

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და სენსიტიურ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებისათვის. იგი გავრცელებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და არ გააჩნია სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ გეოგრაფიული საზღვრები. მიუხედავად მისი გავრცელებისა, ძალადობა ოჯახში ხშირად ფარულია და მსხვერპლნი დუმილს ამჯობინებენ სირცხვილისა და შიშის გამო. განსაკუთრებით ხშირია ქალებისა და ბავშვების მიმართ ჩადენილი ძალადობა, რაც საფრთხეს უქმნის მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დაცვას. სახელმწიფოს, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის გარანტს, განსაკუთრებული როლი აკისრია ამ პრობლემის პრევენციისა და აღმოფხვრის პროცესში.

ოჯახში ძალადობა მრავალფეროვანი ფორმით ვლინდება: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური და ემოციური ზეწოლით. იგი შეიძლება განხორციელდეს მეუღლეზე, შვილზე, მშობელზე ან სხვა პირზე. ძალადობის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მისი ციკლური ხასიათი მსხვერპლი ხშირად იმყოფება მუდმივი საფრთხისა და კონტროლის ქვეშ, რაც ართულებს დახმარების თხოვნის შესაძლებლობას.

სტატისტიკურად ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობა-განსაკუთრებით ქალები არ მიაღწევენ სამართალდამცავებს ან სხვა სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციებს. ეს გამოწვეულია სხვადასხვა ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორით: შიში, ფინანსური დამოკიდებულება მოძალადეზე, შვილების დაცვა, ან საზოგადოებრივი ზეწოლა. გავრცელებული მითი იმის შესახებ, რომ ოჯახური პრობლემები „სახლის კედლებში უნდა დარჩეს“, მნიშვნელოვნად აფერხებს ძალადობის გამოვლენასა და პრევენციას.

საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საკანონმდებლო დონეზე აქტიურად ვითარდება. 2006 წელს მიღებულ იქნა კანონი „ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოების, მათ შორის სამართალდამცავებისა და სოციალური სამსახურების, მოვალეობებს ძალადობის აღსაკვეთად.

ამ ეტაპზე, მიუხედავად სამართლებრივი ჩარჩოს არსებობისა, პრობლემად რჩება რეაგირების დროულობა, მსხვერპლის უსაფრთხოების სათანადო დაცვა და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა.

პრევენციული მექანიზმების გაძლიერება მოითხოვს, როგორც ინსტიტუციური კოორდინაციის გაუმჯობესებას, ისე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას. განათლების სისტემაში ძალადობის საწინააღმდეგო პროგრამების ინტეგრაცია, მასობრივი საინფორმაციო კამპანიები და ფსიქოლოგიური დახმარების ხელმისაწვდომობა, მნიშვნელოვანი კომპონენტებია ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

ოჯახში ძალადობა არ არის მხოლოდ ინდივიდუალური ოჯახებისა ან კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ფენის პრობლემა იგი სისტემური და სტრუქტურული გამოწვევაა, რომელიც აყალიბებს საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს. ძალადობის მსხვერპლის დაცვა, პრევენცია და ეფექტური რეაგირება სახელმწიფოს, სამოქალაქო სექტორისა და მთელი საზოგადოების კოლექტიურ ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნული საკითხის იგნორირება კი საფრთხეს უქმნის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, უსაფრთხოებასა და ღირსებას.

მსოფლიოში ყოველი 4 ქალიდან ერთი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 10 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომლის ფარგლებშიც 24 000 ქალი გამოიკითხა, გაირკვა, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას იაპონიაში განიცდის ქალთა 20%, ეთიოპიასა და ბანგლადეშში – 70%, ხოლო პერუსა და ტანზანიაში –

50%-ზე მეტი. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ქალების 14-32% აღნიშნავს, რომ მათზე ძალადობა განხორციელდა ორსულობის დროს, მაშინ როცა მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 4–11% შეადგენდა. სხვადასხვა ქვეყანაში მოზარდი გოგონების 19%-დან 48%-მდე მიუთითებდა სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე. 38% ფემიციდი ჩადენილია პარტნიორის მხრიდან. აშშ-ში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის შეიქმნა ქალთა მოძრაობა, რომელმაც საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია.

ქალთა მოძრაობამ საზოგადოების და ხელისუფლების ყურადღების მიქცევა ოჯახურ ძალადობაზე 1960-იანი წლებიდან დაიწყო. ამ ადრეულ ეტაპზე დადგინდა, რომ მამაკაცის დომინანტობა არა მარტო საზოგადოებრივ დონეზე, არამედ ოჯახის შიგნითაც არის აღიარებული. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ძალადობის მსხვერპლ ქალთა მოძრაობის დაწყება ამერიკაში, როდესაც გაცხადდა, რომ ქალის მიმართ ჩადენილი ოჯახური ძალადობის ფაქტების სიმრავლე მიუღებელ სოციალურ პრობლემად ჩამოყალიბდა. 1970-იანი წლებისათვის სტატისტიკურმა კვლევამ დაადგინა, რომ ძალადობის ფაქტები ქალის მიმართ არის ეროვნული პრობლემა. მსხვერპლნი უფრო თვალსაჩინონი გახდნენ. ქალები და ბავშვები, რომლებიც სახლში არსებულ საფრთხეს გაურბოდნენ, ქუჩაში ცხოვრობდნენ. პოლიცია და სასამართლო ძალიან იშვიათად ახერხებდა მსხვერპლის დახმარებას. პირველადი დახმარების აუცილებლობამ გამოიწვია თავშესაფრების შექმნის კამპანიის დაწყება. ადგილობრივი თავშესაფრების ქსელი კარგად არის ორგანიზებული აშშ-ში, რაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალს საშუალებას აძლევს, უსაფრთხო გარემოში იცხოვროს და დაიწყოს ახალი ცხოვრება, რომელშიც არ იქნება ძალადობა. 1990-იანი წლები აშშ-ში გარდამტეხი ეტაპი იყო ოჯახური ძალადობის საკითხთან მიმართებით. მიღებულ იქნა ქალის წინააღმდეგ ძალადობის ძირითადი ფედერალური აქტი. რომელიც 1 მილიარდ დოლარზე მეტს გამოყოფდა, თავშესაფრების, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა და მოსამართლეთა სწავლებისა და იმ სხვა დანაშაულების პრევენციისათვის, რომლებიც ქალის მიმართ ძალადობის ნიშნებს შეიცავდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი გვაწვდის ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სტატისტიკის რაოდენობრივ მაჩვენებელს. წარმოგიდგენთ ოფიციალურ ანგარიშს 2024-2025 წლის განმავლობაში:

2024 წლის განმავლობაში სულ დაფიქსირდა- 1091 ძალადობის შემთხვევა საქართველოს მასშტაბით. მათგან, ფიზიკური ძალადობა-175; ფსიქოლოგიური ძალადობა-836; ეკონომიკური-6; სექსუალური ძალადობა- 45 და იძულება-29. სტატისტიკის ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ ძალადობის მაჩვენებელი ძალზედ მაღალია თბილისისა და აჭარაში. იხილეთ სტატისტიკა- <https://info.police.ge/uploads/679cc3e37c5d0.pdf>.

ქალთა მიმართ ძალადობა (შემაკავებელი ორდერები) საანგარიშო პერიოდი: 2024-01-01 – 2024-12-31 წ. სულ გამოცემული იყო 893 შემაკავებელი ორდერი, რომელთაგან უმეტესობა ეკუთვნოდა მამაკაცებს, მხოლოდ 39 ორდერი კი – მდედრობითი სქესის წარმომადგენელს. სტატისტიკის ანალიზის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ ძალადობის მაჩვენებელი მსხვერპლ ქალთა ასაკის მიხედვით: აქედან 13 წლამდე-4; 14-17 წლამდე-46; 18-24 წლამდე-132; 25-44 წლამდე-499; 45-60 წლამდე- 110; 61 წელზე მეტი-21.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის თანახმად, 2025-01-01 – 2025-03-31წლის განმავლობაში სულ დაფიქსირდა – 217 ძალადობის შემთხვევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მათგან, ფიზიკური ძალადობა-36; ფსიქოლოგიური ძალადობა- 171; ეკონომიკური ძალადობა-1; სექსუალური-6 და იძულება-3. მოცემული მცირე დროის განმავლობაში სტატისტიკის ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ ძალადობის მაჩვენებელი ძალზედ მაღალია თბილისისა და აჭარაში.<sup>1</sup>

1 იხ.: <https://info.police.ge/uploads/679cc3cf64420.pdf>.

ქალთა მიმართ ძალადობა (შემაკავებელი ორდერები) საანგარიშო პერიოდი: 2025-01-01 – 2025-03-31წ. სულ გამოცემული იყო 188 შემაკავებელი ორდერი, აქედან 8 ეკუთვნოდა მდედრობითი სქესის წარმომადგენელს, დარჩენილი 180- მამრობით სქესს. სტატისტიკის ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია განვსაზღვროთ ძალადობის მაჩვენებელი მსხვერპლ ქალთა ასაკის მიხედვით: აქედან 13 წლამდე-2; 14-17 წლამდე- 9; 18-24 წლამდე- 39; 25-44 წლამდე-111; 45-60 წლამდე- 19; 61წელზე მეტი -6. იხილეთ ლინკი- <https://info.police.ge/uploads/68138541bd233.pdf>.

აფხაზეთის ომი (1992–1993 წწ.) იყო ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული კონფლიქტი საქართველოს უახლეს ისტორიაში. ომმა გამოიწვია ათასობით ადამიანის დაღუპვა, ასიათასობით დევნილი და ეთნიკური წმენდა. ომის კონტექსტში განსაკუთრებულად მწვავედ გამოვლინდა ძალადობის სქესობრივი და ასაკობრივი ასპექტები -განსაკუთრებით ქალთა და ბავშვთა მიმართ.

აფხაზეთის ომის დროს ჩვენ მიერ მოპოვებული ცნობების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქალების მიმართ სისტემატურად გამოიყენებოდა სექსუალური ძალადობა, უსაზღვრო სისასტიკის და მრავალი სხვა ღირსების შემლახავი ფორმა.

სექსუალური ძალადობა სისტემატურად გამოიყენება, როგორც ომის ტაქტიკა საზოგადოების დამცირების, დაშინებისა და კონტროლისთვის. მაგალითად, Human Rights Watch-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ დააფიქსირა ქალებისა და გოგონების მიმართ გავრცელებული სისტემატური სექსუალური ძალადობა კონფლიქტურ ზონებში, სადაც გაუპატიურება გამოიყენებოდა როგორც იარაღი თემის ტერორიზაციისა და დესტაბილიზაციისთვის (Human Rights Watch, 2010). სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მიხედვით, გაუპატიურება, სექსუალური მონობა, იძულებით პროსტიტუცია, იძულებითი ორსულობა, იძულებით სტერილიზაცია ან მსგავსი სიმძიმის სექსუალური ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმა განისაზღვრება, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და ომის დანაშაული. აღსანიშნავია, რომ ეს დანაშაულები „არ ექვემდებარება ხანდაზმულობის ვადას“ (საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, 1998).

ამჟამად აფხაზეთში არ ფუნქციონირებს სრულფასოვანი ქალთა თავშესაფარი, რომელიც მსხვერპლებს უსაფრთხო საცხოვრებელით უზრუნველყოფს. მიუხედავად ამისა, არსებობს რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებიც ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას სთავაზობენ ძალადობის მსხვერპლ ქალებს. Association of Women of Abkhazia (AWA) სოხუმში მართავს კრიზისულ ცენტრს, რომელიც იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას სთავაზობს ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი არიან. თუმცა, ეს ცენტრი არ უზრუნველყოფს საცხოვრებელ ადგილს და მისი ფუნქციონირება დამოკიდებულია საგრანტო დაფინანსებაზე. კიარაზის ფონდი (Kiaraz) სოციალური დახმარების ორგანიზაციაა, რომელიც ეხმარება მრავალშვილიან ოჯახებს და, საჭიროების შემთხვევაში, ცდილობს მოძალადეების რეაბილიტაციას. თუმცა, არც ამ ორგანიზაციას აქვს თავშესაფარი. სოციალური დახმარების სამსახური, რომელიც UNICEF-ის მხარდაჭერით ფუნქციონირებს, არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც აფხაზეთში ოჯახური ძალადობის სტატისტიკას აწარმოებს. თუმცა, მათაც არ აქვთ თავშესაფარი და მათი დახმარება ძირითადად პრევენციულ საუბრებსა და მოძალადეებთან მუშაობას მოიცავს. დამატებითი რესურსები აფხაზეთის მახლობლად: თუ აფხაზეთში მცხოვრები ქალებისთვის თავშესაფარი აუცილებელია, შესაძლებელია განიხილოს მეზობელ რეგიონებში არსებული თავშესაფრები. „Association Merkuri“ ზუგდიდში მდებარეობს და 2018 წლიდან ფუნქციონირებს. ეს არის ერთადერთი თავშესაფარი სამეგრელოში, რომელიც ძალადობის მსხვერპლ ქალებს სთავაზობს საცხოვრებელ ადგილს, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას. თუმცა, აფხაზეთიდან მისვლა გარკვეულ ბიუროკრატიულ და უსაფრთხოების სირთულეებთან არის დაკავშირებული. ქალთა ფონდი “სოხუმი” ქუთაისში მართავს რეაბილიტაციის ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს დროებით საცხოვრებელ ადგილს ქალებისთვის, რომლებიც ჯერ არ არიან ოფიციალურად აღიარებ-



ული ძალადობის მსხვერპლებად. ცენტრი სთავაზობს 10-15 დღიან თავშესაფარს, სადაც ქალები და მათი შვილები უსაფრთხო გარემოში იმყოფებიან.

გაუპატიურება, როგორც ომის სტრატეგია, შეიძლება გამოყენებულ იქნას მტრის სამხედრო სულისკვეთების გასანადგურებლად, მეზობლის მამაკაცურობის წარმოსაჩენად და განიხილება, როგორც ჯილდო ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდებისა და ოკუპაციისათვის. ამას გარდა, ირკვევა, რომ კონფლიქტის კონტექსტში ქალებზე ძალადობა მამაკაცების დემორალიზების, საერთო საბრძოლო სულისკვეთების დაქვეითების საშუალებაა.

უკრაინის მოვლენებმა სამხედრო კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის პრობლემა კვლავ საზოგადოებრივი ყურადღების ფოკუსში მოაქცია. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი, რომ ოკუპანტების ძალადობის მსხვერპლნი ხშირად ბავშვებიც ხდებიან. ჯერ კიდევ 2022 წლის მარტში გაერო-ს ინიციატივით შეიქმნა უკრაინაში კანონდარღვევათა გამოძიების დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისია, რომლის მონაცემებით, სექსუალური დანაშაულის მსხვერპლთა ასაკი 4-დან 80 წლამდე მერყევობს. 2023 წლის იანვრისთვის უკრაინის გენერალური პროკურატურა სექსუალური ძალადობის უკვე 155 საქმეს იძიებდა. და პრამილა პატენმა (გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელი კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის საკითხებში) ამ ციფრებს მხოლოდ „აისბერგის წვერი“ უწოდა.

საქართველოში ამას იშვიათად თუ ვიხსენებთ, მაგრამ აფხაზეთის ომის დროსაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი უამრავი ქალი და ბავშვი გახდა. ეს დანაშაულები, საუბედუროდ, დღემდე არავის გამოუძიებია და არც არავინ დასჯილა.

გაუპატიურების კომმარული შიში ძალიან ბევრმა გამოსცადა მათ შორის, ვინც მაშინ აფხაზეთიდან გაღწევა შეძლო. მედიაში დროდადრო კონკრეტული ფაქტები ქვეყნდებოდა. ცნობილია, მაგალითად, გაგრაში მომხდარი შემზარავი შემთვევა, რომლის დროსაც 19 წლის მ.ა. მამის თვალწინ ცამეტმა მეზობელმა გაუპატიურა, შემდეგ მამა-შვილი ხეზე მიაბეს და ცოცხლად დაწვეს; ოჩამჩირეს რაიონში 12-16 წლის ასაკის 25 ქართველი გოგონა მთელი სოფლის თანდასწრებით გაუპატიურეს; მსგავსი ფაქტები ამ რაიონის სხვა სოფლებშიც მოხდა.

როდესაც სოხუმის აღების საშიშროება დადგა, ქალებს სიკვდილზე მეტად გაუპატიურების ეშინოდათ. ხშირად ამის გამო ტოვებდნენ საცხოვრებელ ადგილს და დევნილები ხდებოდნენ. უამრავი ქალის შემთხვევაში კი ეს მხოლოდ კომმარული შიში არ ყოფილა და სულიერი ტრავმისგან დღემდე ვერ განიკურნენ.

ნებისმიერი ძალადობის უკან საკუთარი ძალაუფლების დემონსტრაცია და მსხვერპლის დამცირების სურვილი დგას. სექსუალური ძალადობაც ამ კანონზომიერებაში ეწერება. მასობრივი სექსუალური ძალადობა ფსიქოლოგიური ომის იარაღია, რომლის მიზანს მოწინააღმდეგის დემორალიზება წარმოადგენს. ამ აქტით თავდამსხმელი, მის წარმოსახვაში, „პატივს აყრის“ არა მარტო კონკრეტულ ქალს, არამედ მთელ ქვეყანას.

ისტორიული პარალელი: ჩინგის ყაენს მოწინააღმდეგის ქალებისთვის პატივის აყრა და მათი შვილების დამონება/დახოცვა იდეალური მეომრის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა. იცოდნენ რა ამის შესახებ, მამაკაცები ჯერ ცოლებს ხოცავდნენ და მერე თავიანთ სიცოცხლეს ისპობდნენ. ხოლო როდესაც პეკინი დაეცა, ქალაქის გალავნიდან ათეულ ათასობით ქალწულმა თავი გადაიჩინა.

სპეციალური კანონმდებლობა სამხედრო გაუპატიურებების წინააღმდეგ დიდი ხანია, არსებობს. ჯერ კიდევ 1988 წელს რუანდაში, კაცობრიობის ისტორიაში პირველად, საერთაშორისო ტრიბუნალმა მასობრივი გაუპატიურება გენოციდის აქტს გაუტოლა, ხოლო 2001 წელს იუგოსლავიაში – კაცობრიობის წინაშე დანაშაულს.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, ქალი ტყვეები, ან დაკავებულები უნდა მოთავსდნენ მამაკაცებისგან განცალკევებით, ქალების მეთვალყურეობის ქვეშ. ქალები და-



ცულები უნდა იყვნენ, გაუპატიურების, ძალადობრივი პროსტიტუციის და ყველა სხვა ფორმის შეურაცხყოფისაგან (ქენევის მეოთხე კონვენცია, მუხლი 27, ასევე მუხლები 75 – 76, პროტოკოლი I). საომარი მოქმედებების არეალიდან გარიდებისას პრიორიტეტი ყოველთვის უნდა მიენიჭოთ ორსულებს, ახალნამშობიარე ქალებსა და ჩვილი ბავშვების დედებს (მუხლი 70, პროტოკოლი I).

თუმცა მხოლოდ კანონებით ამ სენს ვერ ვუმჯელით, აუცილებელია პრევენცია, კერძოდ, აღზრდის იმგვარი სისტემის საყოველთაო დანერგვა, რომელიც ნებისმიერი ძალადობის შინაგან მიუღებლობას ჩამოაყალიბებს. ამისთვის კი საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ხელისუფლებების ერთობლივი მოქმედებაა საჭირო.

თანამედროვე საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემას ქალთა ძალადობასთან ერთად წარმოადგენს ოჯახში ძალადობა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ფორმის ძალადობრივ ქცევას ოჯახის წევრებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი, როგორც ინსტიტუტი, ისტორიულად განიხილებოდა სიყვარულის, მხარდაჭერისა და უსაფრთხოების სივრცედ, რეალობაში ის ხშირად ხდება ძალადობის, მმართველობისა და იძულების ადგილი. ოჯახში ძალადობის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან სისტემურ, მულტიდისციპლინარულ რეაგირებას.

ოჯახში ძალადობა მოიცავს ქმედების ფართო სპექტრს – ერთჯერადი ძალადობრივი აქტიდან დაწყებული, სისტემურ, პერიოდულად განმეორებად ქცევებამდე. ძალადობის ფორმები განსხვავდება მიზნის, მეთოდის და შედეგების მიხედვით, თუმცა ყველა შემთხვევაში ხდება ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დარღვევა.

ოჯახში ძალადობის ოთხი ძირითადი მახასიათებელი:

1. ძალადობა ხორციელდება გარკვეული განზრახვით – მოძალადე შესაძლოა დეკლარირებულიად პოზიტიურ მოტივებზე მიუთითებდეს, თუმცა მისი რეალური მიზანი კონტროლი და მმართველობაა;
2. ძალადობა გულისხმობს ადამიანის პირადი თავისუფლების შეზღუდვას -მსხვერპლი ხშირად კარგავს არჩევანის თავისუფლებას, რაც მის იურიდიულ მდგომარეობასა და თვითშეფასებაზე აისახება;
3. ძალადობას ახასიათებს ძალაუფლების ასიმეტრია – მოძალადე ფლობს მატერიალურ, ფსიქოლოგიურ ან სხვა სახის უპირატესობას;
4. ძალადობის შედეგად ჩნდება ზიანი – ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ხასიათის. განსაკუთრებული სირთულე ზიანის იდენტიფიცირებაში გამოიხატება ფსიქოლოგიური და ემოციური ტრავმის შემთხვევაში.

საქართველოში ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულირების სისტემური განვითარება დაიწყო 2006 წელს, სპეციალური კანონის – „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ -მით. ამ კანონმა პირველად დააკანონა ოჯახში ძალადობის ცნება, განსაზღვრა ძალადობის ფორმები და შემოიღო შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები.

ძალადობის ფორმები:

- ფიზიკური ძალადობა – ჯანმრთელობის დაზიანება, ცემა, წამება;
- ფსიქოლოგიური ძალადობა – შანტაჟი, მუქარა, დამცირება;
- ეკონომიკური ძალადობა – მატერიალური რესურსების წართმევა ან შეზღუდვა;
- სექსუალური ძალადობა – სექსობრივი კავშირი იძულებით ან ძალადობით;
- იძულება – მოქმედებაზე/მოქმედებისგან თავშეკავებაზე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა.

საქართველოს კანონმდებლობაში გათვალისწინებულია ორი ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომლებიც ძალადობის ოპერატიულ აღკვეთასა და მსხვერპლის დაცვას ემსახურება – დამცავი და შემაკავებელი ორდერი.

**დამცავი ორდერი** – პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოცემული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებით ღონისძიებებს იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა ჯერ არ არის დაწყებული.

**შემაკავებელი ორდერი** – პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტია, რომელიც 24 საათში უნდა დამტკიცდეს სასამართლოს მიერ. მისი მიზანია მოძალადისა და მსხვერპლის შორის დაუყოვნებლივი დისტანცირება და ძალადობის განმეორების პრევენცია.

ოჯახში ძალადობის შემთხვევებში გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სპეციალური პრევენციული ზომები. სისხლისსამართლებრივი მექანიზმები აქტიურდება მაშინ, როდესაც ძალადობის ფაქტს თან ახლავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები: მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, გაუპატიურება ან თავისუფლების უკანონო აღკვეთა. ადმინისტრაციული მექანიზმები კი გამოიყენება ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევების დროს.

კანონი ასევე ითვალისწინებს პრევენციულ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ძალადობის თავიდან აცილებას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და უწყებათშორის კოორდინაციას.

დაზარალებულთა რეაბილიტაცია და მხარდაჭერა ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სახელმწიფომ უზრუნველყო სპეციალური თავშესაფრების შექმნა, სადაც მსხვერპლებს შეუძლიათ დროებითი საცხოვრებელი, ფსიქოლოგიური დახმარება, იურიდიული კონსულტაცია და სამედიცინო მომსახურება მიიღონ.

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომია რამდენიმე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოქმედი თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი. ეს დაწესებულებები უზრუნველყოფენ დროებით საცხოვრებელს, ფსიქოლოგიურ, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, ასევე რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციის პროგრამებს. დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით 5 თავშესაფარი და 7 კრიზისული ცენტრია, რომლებიც ძალადობის მსხვერპლ ქალებს და მათ შვილებს სთავაზობენ შემდეგ მომსახურებებს: დროებითი საცხოვრებელი (3 თვემდე, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გახანგრძლივება); ფსიქოლოგიური კონსულტაციები; იურიდიული დახმარება; სამედიცინო მომსახურების ორგანიზება; სოციალური რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. 2023 წელს თბილისის თავშესაფარს დაემატა ახალი სივრცე, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირებისთვის და გათვლილია 15 ბენეფიციარზე. ეს პროექტი განხორციელდა UN Women-ისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით.

**არასამთავრობო ორგანიზაციები** – არასამთავრობო სექტორიც აქტიურად არის ჩართული ძალადობის მსხვერპლთა დახმარებაში: საქართველოს ანტიდასავლური ქსელი (AVNG) – მათ მიერ მოქმედი თავშესაფარი სთავაზობს ბენეფიციარებს საცხოვრებელს, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას, ასევე თუ თქვენ ან ვინმე თქვენს გარშემო საჭიროებს დახმარებას, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ან ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს. შეგიძლიათ მიმართოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს, რომელიც კოორდინაციას უწევს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას.

თავშესაფარში მსხვერპლის დაცვა ხორციელდება უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების დაცვით. ფსიქოლოგები ეხმარებიან მათ ემოციური ტრავმის გადალახვაში, ხოლო იურისტები უზრუნველყოფენ სამართლებრივი უფლებების დაცვის პროცესს. სამედიცინო პერსონალი კი უზრუნველყოფს ფიზიკური დაზიანებების მკურნალობას და მონიტორინგს.

არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ როგორც მსხვერპლთა მხარდაჭერის, ისე ძალადობის პრევენციის პროცესში. ისინი ხშირად ავითარებენ ტრენინგებს, ატარებენ კვლევებს და უწყებათაშორის კოორდინაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ხელს უწყობს პოლიტიკის განვითარებას, ტექნიკურ მხარდაჭერასა და სტრატეგიული რეკომენდაციების დანერგვას.

ოჯახში ძალადობა სერიოზული სოციალური, სამართლებრივი და ეთიკური პრობლემაა, რომელიც საჭიროებს მტკიცე, მრავალმხრივ რეაგირებას. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული რეფორმები და მექანიზმები ქმნიან სამართლებრივ საფუძველს მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადეთა პასუხისგებაში მიცემისთვის, თუმცა პრაქტიკაში კვლავ მრავალი გამოწვევა რჩება. აუცილებელია საზოგადოების სტიგმების დაძლევა, პრევენციული პოლიტიკის გაღრმავება და რესურსების ზრდა, რათა ყოველმა დაზარალებულმა პირმა მიიღოს დროული და ეფექტური დახმარება.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს საზოგადოების, სახელმწიფოსა და თითოეული მოქალაქის საერთო პასუხისმგებლობა.

ჩვენი აზრით, ყველაზე აუცილებელი ღონისძიება, რაც რეალურად შეამცირებდა ოჯახში ძალადობასა და ქალთა მიმართ ძალადობის მაჩვენებელს, არის განათლება -სისტემური, ყოვლისმომცველი განათლება სკოლიდანვე. ბავშვებმა ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან უნდა იცოდნენ რა არის თანასწორობა, რას ნიშნავს პატივისცემა სხვისი საზღვრების მიმართ და როგორ ამოიცნონ ძალადობის ნიშნები -როგორც მსხვერპლის, ისე პოტენციური მოძალადის როლში. პრევენციის გზებს ვხედავთ მრავალმხრივ მიდგომაში: უნდა მოხდეს სამართლებრივი რეაგირების გაძლიერება – მოძალადეთა დროული დასჯა და მსხვერპლის ეფექტიანი დაცვა, ეს ყველაფერი კი უნდა იყოს არა მხოლოდ ფორმალური, არამედ – პრაქტიკულიც.

**მომსახურებების ხელმისაწვდომობა** – ფსიქოლოგიური და სამართლებრივი დახმარება ყველა ქალისთვის, განსაკუთრებით სოფლებში და რეგიონებში. **საზოგადოებრივი კამპანიები** – სირცხვილის გადასაფარად, სტიგმის დასაწგრევად და სოლიდარობის გასაზრდელად. პრევენცია ვერ იმუშავებს ერთჯერადად, ის უნდა იყოს კულტურული, სამართლებრივი და საგანმანათლებლო ცვლილებების ერთობლიობა.

დავამატებთ კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს, რაც, ჩვენი აზრით, ძალადობის შემცირებისკენ გადადგმული გადამწყვეტი ნაბიჯები იქნებოდა:

**1. მამაკაცების ჩართვა ძალადობის პრევენციაში** – ქალთა მიმართ ძალადობა მხოლოდ “ქალთა საკითხი” არ არის. აუცილებელია, რომ კაცები აქტიურად ჩაერთონ ამ თემაზე განათლებასა და ცნობიერების ამაღლებაში.

**2. მოძალადის რეაბილიტაციის პროგრამები** – მხოლოდ დასჯა ხშირად ვერ ცვლის ქცევას. საჭიროა სპეციალური ფსიქოლოგიური და სოციალურ-განმანათლებელი პროგრამები, რომლებიც მოძალადეებისთვის ხელმისაწვდომი და სავალდებულო იქნება.

**3. ქალების ეკონომიკური გაძლიერება** – ძალადობის მსხვერპლთ ხშირად არ აქვთ რესურსი, რომ მოძალადეს გაექცნენ. ეკონომიკური დამოუკიდებლობა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბერკეტია ქალის ძალაუფლებისთვის. ჩვენი აზრით, ძალადობის შემცირება მოითხოვს ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებს, განათლებიდან -ეკონომიკამდე, სამართლებრივი სისტემიდან-კულტურულ ნორმებამდე.

ეს არ არის ცალმხრივი ბრძოლა ეს არის მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობა.

ნაშრომის ანალიზმა ცხადყო, რომ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა არ არის მხოლოდ ინდივიდუალური პრობლემა – ის წარმოადგენს სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან სამართლებრივ და სოციალური პოლიტიკის გამოწვევას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო მოიცავს ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლის დაცვისა და რეაგირების

მექანიზმებს, პრაქტიკაში ეს მექანიზმები ხშირად არ ფუნქციონირებს ეფექტიანად. მიზეზებად სახელდება ინსტიტუციური კოორდინაციის სისუსტე, რესურსების დეფიციტი და საზოგადოების მიერ ძალადობის პრობლემის არასათანადო აღქმა.

საომარი კონტექსტების (აფხაზეთის ომი, უკრაინა) ანალიზი აჩვენებს, რომ სექსუალური ძალადობა ხშირად მიზანმიმართული და სისტემურია და გამოიყენება როგორც ომის იარაღი. აღნიშნული დანაშაულები, მიუხედავად საერთაშორისო სამართლებრივი შეფასებებისა, საქართველოში ძირითადად დაუსჯელი რჩება, რაც არღვევს მსხვერპლთა უფლებებს და ამცირებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ხარისხს.

კანონმდებლობის ეფექტური რეალიზაციისთვის საჭირო ხდება სისტემური პრევენცია, რაც გულისხმობს განათლებას, ინსტიტუციური უნარების გაძლიერებას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ძალადობის ნებისმიერი ფორმის მიმართ მკაფიო რეაგირება და უფლებადარღვევებზე სისტემური პასუხის გაცემა სახელმწიფოს ვალდებულებაა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, 2006 წ.
2. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, რომის სტატუტი, 1998 წ.
3. Human Rights Watch. (2010). *Sexual Violence and Conflict Zones*.
4. ჟენევის კონვენცია IV (1949) და დამატებითი პროტოკოლები (1977).
5. გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women). *Ending Violence Against Women*.
6. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი-<https://matsne.gov.ge/document/view/16492?publication=100>
7. <https://matsne.gov.ge/document/view/28216?publication=582>
8. <https://liberty.ge/news/31>
9. <https://police.ge/files/IRD/A5%20DV%20book.pdf>
10. <https://openscience.ge/server/api/core/bitstreams/076903d3-7ee7-4229-b6a1-5b9d37c909af/content>
11. <http://geocommission.gov.ge/wp-content/uploads/2019/03/2.-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A8%E1%83%98-.pdf>
12. <https://www.legalaid.ge/ka/services/181/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90>
13. <https://accentnews.ge/ka/article/93916-seksualuri-zaladoba-da-saomari-konpliktebi>
14. კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; <https://matsne.gov.ge/document/view/5691899?publica>
15. <https://info.police.ge/uploads/679cc3e37c5d0.pdf>
16. <https://info.police.ge/uploads/679cc3cf64420.pdf>
17. <https://info.police.ge/uploads/68138541bd233.pdf>
18. <https://www.unhcr.org/publications/association-women-abkhazia>
19. <https://georgia.unwomen.org/ka>





**Avtandil Khazaliya**

*Professor, Doctor, Faculty of Law and Diplomacy, Sokhumi State University  
Academician, Abkhazian National Academy of Sciences*

**Ana Khabanashvili,**

*Lawyer*

## **ADMINISTRATIVE PROCEEDING RELATED TO THE PREVENTION OF VIOLENCE AGAINST WOMEN AND/OR DOMESTIC VIOLENCE, PROTECTION AND ASSISTANCE TO VICTIMS OF VIOLENCE**

### **Abstract**

Domestic violence represents one of the most acute and sensitive social problems in contemporary society. It is prevalent in almost every country in the world and transcends social, economic, cultural, and geographical boundaries. Despite its prevalence, domestic violence is often hidden, as victims prefer silence due to shame, fear, and stigma. Violence against women and children is particularly severe, posing serious threats to their physical and psychological safety. The state, as the guarantor of human rights, plays a crucial role in the prevention and elimination of this problem.

Analysis of the research shows that domestic and gender-based violence is not merely an individual problem it constitutes a significant legal and social policy challenge for the state. Although Georgia has a legal framework that includes mechanisms for preventing violence, protecting victims, and responding to incidents, these mechanisms often fail to function effectively in practice. The main obstacles include weak institutional coordination, a lack of resources, and insufficient public awareness regarding the problem of violence.

An analysis of conflict contexts (the Abkhazia war, Ukraine) demonstrates that sexual violence is often deliberate, systematic, and used as a weapon of war. These crimes, despite being internationally recognized as severe violations, largely remain unpunished in Georgia, undermining victims' rights and reducing the state's accountability.

Effective implementation of legislation requires systemic prevention, including education, strengthening institutional capacities, and raising public awareness. Clear responses to all forms of violence and systemic accountability for violations are obligations of the state under both domestic and international legal standards.

**Keywords:** Domestic violence, legislation, sexual violence.

### **Introduction**

Domestic violence is one of the most pressing and sensitive issues facing modern society. It is widespread in almost every country in the world and transcends social, economic, cultural, and geographical boundaries. Despite its prevalence, domestic violence often remains hidden, as victims frequently choose silence due to shame or fear. Violence against women and children is particularly common, posing serious threats to their physical and psychological security. The state, as the guarantor of human rights protection, holds a special responsibility in the prevention and eradication of this problem.

Domestic violence manifests in various forms: physical, psychological, sexual, economic, and emotional



abuse. It may be committed against a spouse, child, parent, or other individual. A particularly troubling aspect of domestic violence is its cyclical nature victims often remain under constant threat and control, which significantly limits their ability to seek help.

Statistically, the majority of victims especially women do not report incidents to law enforcement bodies or other governmental or non-governmental organizations. This is driven by numerous psychological and social factors, including fear, financial dependence on the abuser, the desire to protect children, or societal pressure. The widespread belief that “family problems should remain within the household” greatly hinders the detection and prevention of violence.

In Georgia, legal measures to combat domestic violence<sup>A</sup> have been actively evolving. In 2006, the Law of Georgia on “Prevention of Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Domestic Violence” was adopted, establishing the responsibilities of state bodies, including law enforcement and social services, in responding to and preventing domestic violence.

Despite the existence of a legal framework, challenges persist particularly in ensuring timely response, adequate safety for victims, and accessibility of social services.

Strengthening preventive mechanisms requires improved institutional coordination as well as increased public awareness. Integrating anti-violence programs into the education system, implementing large-scale public information campaigns, and ensuring access to psychological assistance are key components of the fight against domestic violence.

Domestic violence is not merely a problem of individual families or specific socio-economic groups it is a systemic and structural challenge that shapes the fundamental values of society. Protecting victims, preventing violence, and ensuring effective response constitute a collective obligation of the state, civil society, and society as a whole. Ignoring this issue endangers fundamental human rights, safety, and dignity.

### **Global Context of Violence against Women**

Globally, one in every four women is a victim of domestic violence. According to a World Health Organization study conducted in 10 countries with 24,000 women surveyed, intimate partner violence affects 20% of women in Japan, 70% in Ethiopia and Bangladesh, and more than 50% in Peru and Tanzania. In low-income countries, 14-32% of women report experiencing violence during pregnancy, while in high-income countries this figure ranges from 4-11%. Between 19% and 48% of adolescent girls in various countries reported instances of sexual violence. Thirty-eight percent of femicides worldwide are committed by an intimate partner. In the United States, a women’s movement dedicated to combating domestic violence emerged at the beginning of the 21st century and achieved significant progress.

Beginning in the 1960s, the women’s movement in the United States began drawing public and governmental attention to domestic violence. At this early stage, it became evident that male dominance was recognized not only at the societal level but also within the family structure. It was during this period that the movement advocating for women who were victims of violence began to take shape, as it became clear that the widespread incidence of domestic violence against women constituted an unacceptable social problem. By the 1970s, statistical research had confirmed that violence against women was a national issue, and victims became more visible within society. Women and children who fled dangerous conditions in their homes often ended up living on the streets. Law enforcement agencies and the courts were rarely able to provide effective assistance to victims. The urgent need for immediate support triggered a nationwide campaign to establish shelters. The United States has since developed a well-organized network of local shelters, allowing victims of domestic violence to live in a safe environment and begin a

new life free from abuse.

The 1990s marked a turning point in the United States regarding domestic violence policy. The federal government adopted the **Violence Against Women Act (VAWA)**, which allocated more than one billion dollars to the creation of shelters, training of law enforcement officers and judges, and the prevention of crimes involving violence against women.

### Statistical Overview of Domestic Violence in Georgia

The Information-Analytical Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia provides quantitative data on violence against women. Below is the official statistical report for **2024-2025**:

In **2024**, a total of **1,091** incidents of domestic violence were recorded throughout Georgia. These included: **Physical violence**: 175 cases. **Psychological violence**: 836 cases. **Economic violence**: 6 cases. **Sexual violence**: 45 cases. **Coercion**: 29 cases. From the analysis of this data, it is evident that the highest rates of domestic violence occur in **Tbilisi and the Adjara region**. See the official report: <https://info.police.ge/uploads/679cc3e37c5d0.pdf>

#### Restraining Orders – Violence Against Women (Reporting period: 01.01.2024–31.12.2024)

A total of **893 restraining orders** were issued, the majority against male perpetrators. Only **39** orders concerned female perpetrators. Victims' age distribution was as follows: Under 13 years: 4. Ages 14–17: 46. Ages 18–24: 132. Ages 25–44: 499. Ages 45–60: 110. Age 61 and above: 21. See the report: <https://info.police.ge/uploads/679cc3cf64420.pdf>

According to the Information-Analytical Department of the Ministry of Internal Affairs, **from 1 January to 31 March 2025**, a total of **217** incidents of domestic violence were recorded across the country: **Physical violence**: 36 cases. **Psychological violence**: 171 cases. **Economic violence**: 1 case. **Sexual violence**: 6 cases. **Coercion**: 3 cases. Even within this short reporting period, data again shows that the highest incidence of domestic violence was recorded in **Tbilisi and Adjara**.

#### Restraining Orders – Violence Against Women (Reporting period: 01.01.2025–31.03.2025)

A total of **188 restraining orders** were issued, of which **8** concerned female perpetrators and **180** male perpetrators. Distribution of victims by age was as follows: Under 13 years: 2. Ages 14–17: 9. Ages 18–24: 39. Ages 25–44: 111. Ages 45–60: 19. Age 61 and above: 6. See the report: <https://info.police.ge/uploads/68138541bd233.pdf>

### Sexual Violence in Armed Conflicts: The Case of Abkhazia and International Parallels

The **Abkhazian War (1992-1993)** was one of the most tragic conflicts in Georgia's recent history. It resulted in thousands of deaths, hundreds of thousands of internally displaced persons, and large-scale ethnic cleansing. Within the context of the war, gender and age-based violence became particularly pronounced, especially against **women and children**.

Analysis of the information we have obtained regarding the Abkhazian War shows that **sexual violence against women was used systematically**, with extreme brutality and multiple forms of degrading and inhumane treatment. Sexual violence is frequently employed as a tactic of war to **humiliate, intimidate, and control** communities. For example, a study conducted by **Human Rights Watch** documented widespread, systematic sexual violence against women and girls in conflict zones, where rape was used as a weapon to terrorize and destabilize communities (Human Rights Watch, 2010).

According to the **Rome Statute of the International Criminal Court**, rape, sexual slavery, forced prostitution, forced pregnancy, forced sterilization, or any other form of sexual violence of comparable

gravity constitute **crimes against humanity and war crimes**. Importantly, these crimes are **not subject to a statute of limitations** (International Criminal Court, 1998).

At present, **no fully functioning women's shelter operates in Abkhazia** to provide victims with safe accommodation. However, several organizations offer psychological and legal assistance to women who suffer from domestic violence.

The **Association of Women of Abkhazia (AWA)** operates a crisis center in Sokhumi, offering legal and psychological support for women and children who are victims of domestic violence. However, it does **not** provide shelter, and its sustainability depends on external grant funding. The **Kiaraz Foundation** is a social assistance organization supporting large families and attempting, when possible, to rehabilitate perpetrators. This organization also lacks a shelter facility. A **Social Assistance Service**, functioning with UNICEF support, is the only structure collecting domestic violence statistics in Abkhazia. While it conducts preventive work and engages with perpetrators, it likewise does **not** operate a shelter.

**Additional resources near Abkhazia:** For women in Abkhazia who urgently require safe housing, shelters located in neighboring regions may be considered. The **Merkuri Association** in Zugdidi (operational since 2018) is the only shelter in Samegrelo, offering accommodation as well as psychological and legal assistance to victims of violence. However, access from Abkhazia involves significant bureaucratic and security challenges.

The **Women's Fund "Sokhumi"** operates a rehabilitation center in Kutaisi that provides temporary shelter (10-15 days) to women including those not yet formally recognized as victims of violence and their children, ensuring a safe environment during crisis situations.

Rape, as a **strategic weapon of war**, can be used to destroy the enemy's morale, assert dominance, demonstrate masculine power among combatants, and is often perceived as a "reward" associated with territorial conquest and occupation. Moreover, in conflict settings, violence against women is frequently employed as a means of **demoralizing male opponents** and weakening the overall fighting spirit of the adversary.

### Comparative Perspective: Conflict-Related Sexual Violence in Ukraine

The recent events in Ukraine have once again brought the problem of conflict-related sexual violence to the forefront of global attention. Shockingly, children are often among the victims. In March 2022, the United Nations established the **Independent International Commission of Inquiry on Ukraine**. According to its findings, victims of sexual crimes ranged in age from **4 to 80 years**. By January 2023, the Office of the Prosecutor General of Ukraine was investigating **155 cases** of conflict-related sexual violence. Pramila Patten, the UN Secretary-General's Special Representative on Sexual Violence in Conflict, described these numbers as only **"the tip of the iceberg."**

In Georgia, this issue is rarely discussed publicly, but during the **Abkhazian War**, countless women and children became victims of sexual violence. Tragically, **these crimes have never been investigated**, and no perpetrators have been brought to justice.

The terror of rape haunted many, including those who managed to escape from Abkhazia. The media periodically published individual cases. One of the most horrifying incidents occurred in **Gagra**, where a 19-year-old woman, M.A., was raped by thirteen fighters in front of her father; afterwards, both father and daughter were tied to a tree and burned alive. In the **Ochamchire district**, 25 Georgian girls between the ages of 12 and 16 were raped in front of the entire village; similar atrocities occurred in other villages of the region.

When the fall of Sokhumi became imminent, women feared **rape even more than death**. In many

cases, this fear alone forced them to flee their homes and become internally displaced. For countless women, however, sexual violence was not merely a horrifying fear but a lived experience one that left deep psychological trauma from which they have been unable to recover even decades later.

Behind any act of violence lies the perpetrator's desire to demonstrate power and to humiliate the victim. Sexual violence is no exception. **Mass sexual violence functions as a psychological weapon of war**, intended to demoralize the enemy. In the mind of the attacker, such acts serve to "dishonor" not only the individual woman but the entire nation.

**Historical parallel:** Genghis Khan regarded the violation of enemy women and the enslavement or killing of their children as a primary duty of the ideal warrior. Aware of this, men would sometimes kill their wives and then take their own lives to spare them such fate. When Beijing fell, tens of thousands of young women threw themselves from the city walls.

Special legislation against wartime rape has existed for many years. In 1988, for the first time in human history, the **International Criminal Tribunal for Rwanda** equated mass rape with an act of genocide. In 2001, the **International Criminal Tribunal for the former Yugoslavia** recognized rape as a crime against humanity.

Under **international humanitarian law**, captured or detained women must be held separately from men and supervised by female personnel. Women must be fully protected from rape, enforced prostitution, and all other forms of indecent assault (Geneva Convention IV, Article 27; Articles 75–76, Additional Protocol I). During evacuation from areas of hostilities, priority must always be given to pregnant women, women who have recently given birth, and mothers of infants (Article 70, Protocol I).

However, laws alone cannot solve this problem. **Prevention is essential**, particularly through the establishment of a universal educational system that instills a fundamental rejection of all forms of violence. This requires coordinated action by international institutions and national governments alike.

In contemporary society, alongside violence against women, **domestic violence** remains one of the most acute social problems. It encompasses a wide range of abusive behaviors among family members. Although the family has historically been viewed as a sphere of love, protection, and support, in reality it often becomes a site of violence, domination, and coercion. Domestic violence is closely tied to violations of fundamental human rights and requires systematic, multidisciplinary state intervention.

Domestic violence includes a broad spectrum of conduct from isolated incidents to systematic and recurring abusive behavior. The forms differ in purpose, method, and consequence, but in every case, the victim's constitutional rights are violated.

#### **The four primary characteristics of domestic violence:**

1. **Intentionality** – The abuser may claim positive motives, but the real objective is control and domination.
2. **Restriction of personal freedom** – The victim often loses autonomy, which affects their legal situation and self-esteem.
3. **Asymmetry of power** – The abuser holds material, psychological, or other forms of advantage.
4. **Resulting harm** – Whether physical, psychological, or economic. Psychological and emotional harm is particularly challenging to identify.

#### **Legal Regulation of Domestic Violence in Georgia**

In Georgia, the systematic development of the legal framework on domestic violence began in 2006 with the adoption of the Law on **"Prevention of Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Domestic Violence."** This law legally defined domestic violence for the first time, established its forms, and introduced the relevant legal mechanisms.

#### **Forms of domestic violence:**



- **Physical violence** – bodily injury, battery, torture;
- **Psychological violence** – blackmail, threats, humiliation;
- **Economic violence** – appropriation or restriction of material resources;
- **Sexual violence** – coerced or forced sexual intercourse;
- **Coercion** – physical or psychological pressure to perform or refrain from certain actions.

In Georgian legislation, two primary legal instruments are established to ensure the prompt prevention of violence and the protection of victims: protective orders and restraining orders. A protective order is an act issued by a first-instance court, which determines temporary measures for the protection of a victim of violence in cases where criminal proceedings have not yet commenced. A restraining order, by contrast, is a document issued by an authorised police officer and must be approved by the court within 24 hours. Its purpose is the immediate separation of the perpetrator from the victim and the prevention of repeated acts of violence. In cases of domestic violence, criminal, administrative, and special preventive measures may be applied. Criminal mechanisms are activated when the incident contains elements of a criminal offence, such as severe bodily harm, rape, or unlawful deprivation of liberty. Administrative mechanisms are applied in cases involving less severe violations. The law also provides for preventive measures aimed at deterring violence, raising public awareness, and ensuring inter-agency coordination. Victim rehabilitation and support constitute one of the central components of combating violence. The State has established specialised shelters where victims can access temporary accommodation, psychological counselling, legal assistance, and medical services.

In Georgia, several shelters and crisis centres operated by state and non-governmental organisations are available for victims of violence against women. These facilities provide temporary accommodation, psychological, legal and medical assistance, as well as programmes for rehabilitation and social reintegration. Currently, five shelters and seven crisis centres operate nationwide, offering the following services to women victims of violence and their children: temporary accommodation (for up to three months, extendable if necessary); psychological counselling; legal assistance; facilitation of medical services; social rehabilitation and support.

In 2023, an additional shelter space was opened in Tbilisi, adapted for persons with disabilities and designed to accommodate 15 beneficiaries. This project was implemented with the support of UN Women and the United Nations Population Fund (UNFPA).

### Role of NGOs and International Organizations

Non-governmental organisations are also actively involved in assisting victims. The NGO sector plays an essential role through the operation of shelters, the provision of psychological and legal support, and engagement in preventive measures. If you or someone you know requires assistance, you may contact the State Care Agency or the above-mentioned organisations. It is also possible to apply to the Human Rights Protection Department of the Ministry of Internal Affairs, which coordinates efforts against violence.

Victim protection within shelters is carried out with enhanced security measures. Psychologists assist victims in overcoming emotional trauma, lawyers ensure the protection of their legal rights, and medical personnel provide treatment and monitoring of physical injuries.

NGOs contribute significantly not only to victim support but also to the broader process of violence prevention. They frequently conduct training, carry out research, and play a major role in inter-agency cooperation. International organisations, including UN Women, support policy development, technical assistance, and the implementation of strategic recommendations.

## Prevention Strategies and Policy Recommendations

Domestic violence is a serious social, legal, and ethical problem that requires firm and multifaceted responses. Legislative reforms and mechanisms established in Georgia create the legal framework for protecting victims and ensuring accountability for perpetrators; however, numerous practical challenges still remain. It is essential to overcome societal stigma, strengthen preventive policies, and increase resources so that every victim can receive timely and effective support.

The fight against domestic violence must be a shared responsibility of society, the State, and each individual citizen. In our view, the most essential measure capable of genuinely reducing the prevalence of domestic violence and violence against women is education systemic, comprehensive education beginning in schools. Children must learn from an early age what equality means, how to respect personal boundaries, and how to recognise signs of violence both as potential victims and potential perpetrators. Prevention requires a multidimensional approach: legal responses must be strengthened to ensure the prompt punishment of perpetrators and the effective protection of victims, and these mechanisms must be not only formal but also fully implemented in practice.

**Accessibility of Services** – Psychological and legal assistance must be available to all women, particularly in rural areas and regions. **Public awareness campaigns** are essential to break the silence, reduce stigma, and promote solidarity. Prevention cannot be a one-off effort; it requires a combination of cultural, legal, and educational transformations.

We would like to highlight several additional aspects that, in our view, constitute decisive steps toward reducing violence: **Engaging men in violence prevention** – Violence against women is not solely a “women’s issue.” It is essential that men actively participate in education and awareness-raising on this topic. **Perpetrator rehabilitation programs** – Punishment alone often fails to change behaviour. Special psychological and socio-educational programs should be available and mandatory for perpetrators. **Economic empowerment of women** – Victims of violence often lack the resources to escape abusive situations. Economic independence is one of the strongest tools for empowering women.

We assert that reducing violence requires profound structural changes ranging from education to economic empowerment, from legal systems to cultural norms. This is not a unilateral struggle; it is a responsibility shared by society as a whole.

## Conclusion

The analysis of this study demonstrates that domestic and gender-based violence is not merely an individual problem it constitutes a significant legal and social policy challenge for the State. Although Georgia’s current legal framework includes mechanisms for violence prevention, victim protection, and response, in practice these mechanisms often function inadequately. Contributing factors include weak institutional coordination, limited resources, and insufficient societal recognition of the problem.

Analysis of armed conflict contexts, such as the Abkhazia war and the ongoing situation in Ukraine, indicates that sexual violence is frequently systematic and targeted, often employed as a weapon of war. Despite international legal assessments of such crimes, in Georgia these acts largely remain unpunished, which violates victims’ rights and diminishes the State’s accountability.

For effective implementation of legislation, systemic prevention is essential, encompassing education, the strengthening of institutional capacities, and heightened societal awareness. A clear and consistent response to all forms of violence, and a systematic approach to addressing rights violations, is the State’s obligation under both domestic and international legal standards.

## References

1. Law of Georgia "On the Prevention of Domestic Violence, Protection of Victims of Domestic Violence, and Assistance" (2006).
2. International Criminal Court, Rome Statute (1998).
3. Human Rights Watch. (2010). *Sexual Violence and Conflict Zones*.
4. Geneva Convention IV (1949) and Additional Protocols (1977).
5. United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women (UN Women). *Ending Violence Against Women*.
6. Administrative Procedure Code of Georgia. Retrieved from <https://matsne.gov.ge/document/view/16492?publication=100>
7. Law of Georgia on State Protection Measures. Retrieved from <https://matsne.gov.ge/document/view/28216?publication=582>
8. Liberty.ge. Retrieved from <https://liberty.ge/news/31>
9. Police of Georgia. *Domestic Violence Handbook*. Retrieved from <https://police.ge/files/IRD/A5%20DV%20book.pdf>
10. Open Science Georgia. Retrieved from <https://openscience.ge/server/api/core/bitstreams/076903d3-7ee7-4229-b6a1-5b9d37c909af/content>
11. Georgian Commission. *Women's Rights Report*. Retrieved from <http://gecommission.gov.ge/wp-content>
12. Legal Aid Georgia. *Domestic Violence Services*. Retrieved from <https://www.legalaid.ge/ka/services/181>
13. Accent News. *Sexual Violence and Armed Conflicts*. Retrieved from <https://accentnews.ge/ka/article/93916-seksualuri-zaladoba-da-saomari-konpliktebi>
14. Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women (CEDAW). Retrieved from <https://matsne.gov.ge/document/view/5691899?publica>
15. Police of Georgia. *Domestic Violence Statistics 2024*. Retrieved from <https://info.police.ge/uploads/679cc3e37c5d0.pdf>
16. Police of Georgia. *Restraining Orders Statistics 2024*. Retrieved from <https://info.police.ge/uploads/679cc3cf64420.pdf>
17. Police of Georgia. *Restraining Orders Statistics 2025*. Retrieved from <https://info.police.ge/uploads/68138541bd233.pdf>
18. UNHCR. *Association of Women of Abkhazia*. Retrieved from <https://www.unhcr.org/publications/association-women-abkhazia>
19. UN Women Georgia. Retrieved from <https://georgia.unwomen.org/ka>

**დავით გეფერიძე**

საერთაშორისო სამართლის დოქტორი,  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავღიღრებული პროფესორი

**9/11-ის გავლენა ევროკავშირის ბრძოლაზე საავიაციო ტერორიზმთან****ანოტაცია**

თანამედროვე სამყაროში საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მთავარ და უპირობოდ ყველაზე საშიშ საფრთხეს წარმოადგენს საავიაციო ტერორიზმი. მიუხედავად გამკაცრებული უსაფრთხოების ზომების, დღემდე ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად მაინც რჩება, როგორც საავიაციო ტერორიზმი, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო/სტანდარტები, რომელიც აღნიშნულ სისხლის სამართლებრივ დანაშაულს არეგულირებს. ევროკავშირის პასუხი საავიაციო ტერორიზმთან მიმართებაში, წარმოადგენს ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ასპექტს, ვინაიდან სწორედ ევროპული ქვეყნების რეაქციამ და პოლიტიკამ საავიაციო ტერორიზმთან მიმართებაში შექმნა ახალი პოლიტიკის ჩარჩო სტანდარტები.

**საკვანძო სიტყვები:** საერთაშორისო საჰაერო სამართალი, საავიაციო ტერორიზმი, ევროპის კავშირი, უსაფრთხოება, უშიშროება, სამოქალაქო ავიაცია

**9/11-ის გავლენა ევროკავშირის ბრძოლაზე საავიაციო ტერორიზმთან****შესავალი**

ნაშრომში განვიხილავთ, თუ როგორ პასუხობს ევროპული ხელისუფლება სამოქალაქო ავიაციის მიმართ არსებულ საფრთხეებს ინდივიდუალური ტერორისტული ტაქტიკის გამოყენებით. ძირითადი აქცენტი კი გვექნება პოლიტიკური მდგრადობაზე, ვინაიდან, ვფიქრობთ, რომ ევროკავშირის პასუხმა საავიაციო ტერორიზმზე გამოიწვია პოლიტიკის ტრანსფორმაცია და შექმნა ახალი პოლიტიკის სტანდარტი, მაგრამ ამ პროცესში, აღნიშნული დანაშაული გახდა პოლიტიზებული და პოლიტიკის საგანი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენი მიზანი არ არის ყველა იმ ინიციატივის ყოვლისმომცველი ჩამონათვალის განხილვა, რომელიც ევროკავშირმა შექმნა საავიაციო სფეროში და არც საავიაციო უსაფრთხოების ინიციატივების განხილვა 11 სექტემბრამდე, უფრო მეტიც, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ იმ ინიციატივებზე, რომლებსაც აქვთ მკაფიო ასოციაცია კონკრეტულ ინციდენტებთან, ანუ ინიციატივებზე, სადაც შეიძლება დადასტურდეს, რომ ისინი წარმოიშვა როგორც პირდაპირი რეაქცია მოვლენებზე და რომ ისინი წარმოიშვა ევროპული აქტიორებისგან როგორც შიდა, ისე ევროკავშირის დონეზე. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი – და საკამათო – მექანიზმი, როგორიცაა ევროკავშირი-აშშ მგზავრთა სახელების ჩანაწერების (PNR) შეთანხმება, სცილდება ნაშრომის ფარგლებს.

**სამოქალაქო ავიაციაზე თავდასხმის შემთხვევები და მათი გავლენა უსაფრთხოების ზომების გამკაცრებაზე**

2001 წლის 11 სექტემბერს აღ-ქაიდან განახორციელა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საზარელი ტერორისტული თავდასხმა, რომელმაც ოთხი გატაცებული თვითმფრინავი გადააქ-

ცია მფრინავ თვითმკვლელობებზე – მათგან ორი (American Airlines Flight 11 და United Airlines Flight 175) დაეჯახა ტყუპ კოშკებს. ერთმა (American Airlines Flight 77) ძლიერ დააზიანა პენტაგონი. მეოთხე გატაცებული თვითმფრინავი (United Airlines-ის რეისი 93) ჩამოვარდა პენსილვანიის შტატში, შანსვილთან, როდესაც გამტაცებლები და მგზავრები იბრძოდნენ კაბინის კონტროლისთვის. თავდასხმების ამ სერიამ თითქმის 3000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ ზიანზე რომელმაც შეადგინა რამდენიმე მილიარდ აშშ დოლარს – ან თუნდაც რამდენიმე ტრილიონ აშშ დოლარს, თუ მხედველობაში მივიღებთ ტერორიზმთან გლობალური ომის ხარჯებს.

თუმცა, ამ თავდასხმამ არა მხოლოდ შექმნა – თვითმკვლეული თვითმფრინავის გატაცება, როგორც საავიაციო ტერორიზმის უახლესი ფენომენი, არამედ გამოიწვია საავიაციო უსაფრთხოების საფუძვლიანი გადახედვა.

11 სექტემბრამდე საავიაციო უსაფრთხოების ზომები ძირითადად მოიცავდა იმ ვარაუდს, რომ ტერორისტები არ იყვნენ მზად საკუთარი სიცოცხლის გასაწირად. შესაბამისად ძირითადად უსაფრთხოების ზომების ერთ-ერთი მიზანი გახლდა ზოგადი სტანდარტების დაცვა. ერთ-ერთ უსაფრთხოების ბერკეტს წარმოადგენდა კომპიუტერის დახმარებით მგზავრების წინასწარი სკრინინგი (CAPPS).<sup>1</sup> 1996 წელს შემუშავებული, CAPPS გამიზნული იყო საექვო მგზავრების საიდენტიფიკაციოდ უსაფრთხოების სპეციალური სკრინინგის ზომებისთვის. საინტერესოა, რომ 11 სექტემბრის შემთხვევაში, CAPPS საკმაოდ კარგად მუშაობდა: 19 გამტაცებლიდან რვა სისტემამ მონიშნა. თუმცა, ერთადერთი სპეციალური ღონისძიება იყო მათი მონიტორინგი, მათი ხელბარგიც კი არ შეუმოწმებიათ. გამტაცებლებს რომ ლოკერბის<sup>2</sup> სტილის თავდასხმა ჰქონოდათ მხედველობაში, ეს დიდი ალბათობით CAPPS სისტემით აღიკვეთებოდა. თუმცა, თვითმკვლეული ტერორისტების წინააღმდეგ ლოკერბის შემდგომი უსაფრთხოების რეჟიმი არაეფექტური აღმოჩნდა.

თავდასხმების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა შექმნა სატრანსპორტო უსაფრთხოების ადმინისტრაცია (TSA)<sup>3</sup> თავისი სატრანსპორტო სისტემების უსაფრთხოების გასაძლიერებლად. ფედერალური სააგენტო შეიქმნა საავიაციო და სატრანსპორტო უსაფრთხოების აქტზე დაყრდნობით, რომელმაც აეროპორტის სკრინინგის ვალდებულება და მოვალეობა კერძო ავიახაზებისგან ამ ახალ ორგანოს გადასცა. აშშ-ს ხელისუფლების მიერ მიღებულ პირველ ზომებს შორის იყო ნივთების ტიპის შეზღუდვა, რომელიც შეიძლებოდა ან არ შეიძლებოდა რომ ბორტზე აეტანათ, ყველა სახის მაკრატლის, დანის ან სხვა პოტენციურად საშიში საგნების გამორიცხვით, რომლებიც შეიძლება იარაღად იქნეს გამოყენებული. მეორე მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა კაბინაში შეღწევის შემთხვევების აღსაკვეცად კარების შემოღება გამტაცებლების შესვლის თავიდან ასაცილებლად, თუმცა, ორივე ღონისძიება საკამათო აღმოჩნდა: ზოგიერთი პილოტთა ასოციაცია (მაგალითად, ბრიტანეთის ავიახაზების მფრინავების ასოციაცია, BALPA)<sup>4</sup> ამტკიცებდა, რომ შეჭრის საწინააღმდეგო კარები ძირს უთხრის მათ კონტროლს თვითმფრინავზე და შეიძლება იყოს საშიში, ხოლო თავად ავიაკომპანიებს არ სურთ შემოსავლის რეზერვი- ცათა მარშალისთვის პირველი ან ბიზნეს კლასის ადგილების გენერირება – ეს ჩვეულებრივ არის კაბინასთან ყველაზე ახლოს მდებარე ადგილები.

<sup>1</sup> Computer Assisted Passenger PreScreening System (CAPPS), <https://www.gao.gov/products/gao-04-385>

<sup>2</sup> 1988 წლის 21 დეკემბერს, ადგილობრივი დროით 19:03 საათზე, შოტლანდიის ქალაქ ლოკერბის თავზე მასშტაბული ავიაკატასტროფა მოხდა. “ჰან ამ ავიახაზების” კუთვნილი ბოინგ 747-ის ბორტზე მოთავსებულმა ბომბმა თვითმფრინავი ჰაერში ააფეთქა. ავიალაინერის ნაწილები 2175,59 კვადრატულ კილომეტრზე გაიფანტა და თითქმის მთელი შოტლანდია დაფარა. რეისი 103-ის ყველა მგზავრი და ეკჰაჟის ყველა წევრი დაიღუპა – ჯამში 259 ადამიანი. მათ შორის 190 ამერიკელი იყო. ავიალაინერის აფეთქებას ლოკერბის მკვიდრებიც ემსხვერპლნენ. 11 ადამიანი საკუთარ სახლებში ვახშობდა, როცა ბოინგის ნაწილები მათ სახლებს დაეცა.

<sup>3</sup> Transportation Security Administration (TSA), <https://www.tsa.gov/history>

<sup>4</sup> BALPA is the union and professional association for pilots in the uk, <https://www.balpa.org/about/>



11 სექტემბრის კომისიის რეკომენდაციის შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა ასევე შემოიღო უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმი მგზავრების წინასწარი სკრინინგისთვის: მოგზაურობის ავტორიზაციის ელექტრონული სისტემა (ESTA),<sup>1</sup> იმ მგზავრებისთვის, რომლებიც მგზავრობენ უპიზო მიმოსვლის ქვეყნებიდან.

უსაფრთხოების გაძლიერების აუცილებლობის ტალღა მალევე გავრცელდა საერთაშორისო დონეზე. 11 სექტემბრის თავდასხმებამდე, სამთავრობათაშორისო შეთანხმებები საავიაციო უსაფრთხოების შესახებ ზოგადად წარმოებდა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში (ICAO), გაეროს სააგენტოში, ევროკავშირის (EU) თავის მხრივ არ ჰქონდა ფორმალური კომპეტენცია ამ სფეროში. ვინაიდან ICAO აწარმოებს ძირითადად არასავალდებულო რეკომენდაციებს, ევროპაში საჰაერო უსაფრთხოების შესახებ ჰარმონიზაციის დონე საკმაოდ შეზღუდული იყო: თითოეულ წევრ სახელმწიფოს გააჩნდა საკუთარი მარეგულირებელი ჩარჩო სტანდარტი.

თუმცა, 11 სექტემბრის შემდეგ, საავიაციო უსაფრთხოება სწრაფად იქცა ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიტიკურ დღის წესრიგში გადაუდებელ პრიორიტეტად. ევროპის მთავრობებმა მალევე გააცნობიერეს, რომ სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად, რომელიც ფართოდ და ეფექტურად განხორციელდებოდა მთელ ევროპაში, მათ სჭირდებოდათ მათი „ევროპეიზაცია“. ამრიგად, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოება მოექცა ევროკავშირის სატრანსპორტო პოლიტიკის კომპეტენციაში. ამ გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ვინაიდან, საავიაციო უსაფრთხოების საკითხმა გადაინაცვლა პირველ პოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად, შესაბამისად გაჩნდა საჭიროება რეაგირებისა და ცვლილებების.

<sup>1</sup> Umar Farouk Abdulmutallab sentenced to life, <https://www.ice.gov/news/releases/underwear-bomber-umar-farouk-abdulmutallab-sentenced-life>

<sup>2</sup> Use of Security Scanners at EU airports, <https://www.eumonitor.eu/9353000/1/j9vvik7m1c3gyxp/vikqhofnaqzs>

<sup>3</sup> U.S.-EU Joint Declaration on Aviation Security, <https://www.dhs.gov/news/2010/01/21/us-eu-joint-declaration-aviation-security>

<sup>4</sup> [https://edps.europa.eu/\\_en](https://edps.europa.eu/_en)

<sup>5</sup> Use of security scanners at EU airports, <https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summary/use-of-security-scanners-at-eu-airports.html>

inside Hewlett-Packard laser printer toner cartridges. It remains unclear whether the intended targets were cargo aircraft or passenger aircraft, as the latter often carry significant amounts of air freight. An alternative possibility is that the bombs were intended for synagogues in various U.S. cities. Responsibility for the plot was once again claimed by Al-Qaeda in the Arabian Peninsula (AQAP). According to AQAP, the operation was still considered a success, as noted in their communication: although it failed, it forced Western countries to spend “billions of dollars on new security measures.”<sup>1</sup>

Indeed, prior to this incident, many aviation security specialists had repeatedly warned political leaders that air transport in general—and cargo aircraft in particular—remained especially vulnerable to bombs and terrorist threats, even in the post-September 11 environment. Compared to passenger aircraft, security measures for cargo were relatively weak. In fact, although the 2002 EU common regulations officially applied to cargo security, strengthening this aspect of aviation security only became a political priority after the discovery of the toner cartridge bomb plot. The first outcome of the 30 October plot was a significant institutional change: the establishment of a high-level working Establishment of the High-Level Group on Air Cargo Security

Following the plot, a high-level group on air cargo security was established. In its report, the group formulated a series of recommendations, which were quickly endorsed by the Commission and the Council.

First and foremost, the group proposed a new harmonized EU framework for cargo and mail security, introducing rules to ensure stricter screening of cargo originating outside the EU. In response, the Commission issued legislation requiring air carriers to ensure that cargo from third countries or trusted sources either undergoes rigorous screening for explosives or flammable materials before being granted clearance to fly within the EU. Furthermore, enhanced screening of cargo became mandatory in “high-risk” locations, using a combination of two or more screening measures.<sup>2</sup> Interestingly, three months after the plot was foiled, the Commission carried out an assessment mission in Yemen and concluded that “several additional security measures had been implemented at Sana’a Airport at that time.”<sup>3</sup>

Simultaneously, Member States were urged to accelerate the implementation of the EU supply chain security system. This system was developed to certify trusted operators (“shipper”) who would act as regulated agents within the sector. The Commission and relevant national authorities were also tasked with strengthening compliance monitoring of cargo and mail regulations—a recommendation that led to an increase in cargo security inspections. Additionally, improvements in personnel training were required, which were addressed through courses for national aviation security inspectors. Consequently, the Commission ultimately integrated cargo screening into its list of priority issues and also included it in the EU Research and Development Framework Programme.<sup>4</sup>

It is also noteworthy that enhancing the exchange of intelligence and threat information was considered a priority. A common EU threat assessment capability needed to be developed. Accordingly, a risk assessment system was established, based on the ability of national governments to provide threat-related information to the EU Intelligence Analysis Centre (INTCEN) within the European External Action Service (EEAS). Finally, the working group also called for a global approach, which included the

<sup>1</sup> Printer cartridge bomb plot planning revealed, <https://www.bbc.com/news/world-middle-east-11812874>

<sup>2</sup> European Commission, “The EU action plan on air cargo security,” MEMO /10/625, 29 November 2010.

<sup>3</sup> Council of the European Union, “EU Action Plan on Combating Terrorism,” 15893/1/10, 17 January 2011.

<https://www.eumonitor.eu/9353000/1/j9vvik7m1c3gyxp/vim492jbzevj>

Council of the European Union, “Progress report regarding strengthening air cargo security,” 11250/11, 8 June 2011. <https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST%2011250%202011%20INIT/EN/pdf>

Council of the European Union, “Progress report regarding strengthening air cargo security,” p. 10

[https://www.europarl.europa.eu/doceo/document/A-7-2011-0406\\_EN.doc?redirect](https://www.europarl.europa.eu/doceo/document/A-7-2011-0406_EN.doc?redirect)

<sup>4</sup> Final Report Summary – EUROSky (Single European Secure Air-cargo Space),

<https://cordis.europa.eu/project/id/312649/reporting>



rapid implementation of the latest revision of ICAO Annex 17, strengthening cargo security standards. In line with this proposal, the EU also cooperated with the United States and committed, within the ICAO framework, to the preparation of a declaration encouraging states to invest more effort and resources in enhancing the security of air cargo and supply chains. Subsequently, the EU and the U.S. also reached an agreement on mutual recognition of air cargo security measures. For flights to the U.S., in order to establish a single-step screening process, U.S. authorities also collaborate with the European Commission and the European Civil Aviation Conference (ECAC).<sup>1</sup>

It is thus clear that after each practical threat or incident, both the European Union and international actors progressively tightened security measures. The reforms implemented following the toner cartridge plot had a notable impact on international cooperation and inter-state collaboration. According to the EU Anti-Terrorism Coordinator, the high-level group's report "brought the transport and security community closer together, and cooperation reached a new level."

However, it is worth noting that considerable progress is still required, as some states remain relatively reluctant to share information. In the long term, the most important outcome of this process could be a transition to a risk-based approach, where data from various sources—both public and private—is closely integrated into threat assessments used to inform policy. This ensures greater transparency in the process and helps identify and address member states' weaknesses in security.

### Conclusion

The European Union's response to aviation terrorism laid the foundation for political transformation and generated a long list of changes. However, it is also noteworthy that in this process, aviation terrorism became politicized and a matter of policy. The active efforts of institutional actors at the European level successfully led to the substantive—albeit reactive and often ad hoc—development of policy.

Nevertheless, existing inter-institutional tensions and intense political debates also reflect the contested nature of certain aspects of this response. Some high-profile measures have been criticized for negatively affecting passengers' rights. Yet it must be noted that such criticism rarely stems from people who are genuinely concerned with serious violations of fundamental rights or data protection.

The main reason for criticism typically lies in the financial costs and inconvenience associated with the regulations. Each enhanced measure—whether additional shoe checks or screening of personal items—entails financial expenditures, extra equipment, staff training, and in some cases, increased personnel. Consequently, as unfortunate as it may be, even major technology companies, whose influence can significantly shape political leaders' priorities, may perceive that the positive outcomes of security measures do not justify the additional financial burden incurred.

<sup>1</sup> Council of the European Union, "Aviation Security against Terrorist Threats – Conclusion of the Conference of 31 October 2012, Nicosia, Cyprus," 16252/12, 16 November 2012, p. 11. [https://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_data/docs/pressdata/en/jha/134079.pdf](https://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/jha/134079.pdf)

**არტურ ჩობანიანი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

**მედიაციის როლი სისხლის სამართალში და  
მიმართება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთან****ანოტაცია**

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მულტიდისციპლინურ ანალიზს მედიაციის ინსტიტუტის შესახებ ქართულ სისხლის სამართლებრივ სივრცეში. კერძოდ, იკვლევს განრიდება-მედიაციის მექანიზმის როლს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. კვლევა ასახულებს აღდგენითი მართლმსაჯულების ამ ფორმის პრიორიტეტულობას, რომელიც საქართველოში 2010 წლიდან დაინერგა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სამართლებრივ ტრადიციას მედიაციის ისტორიული (სამედიატორო სასამართლოების) ანალოგები გააჩნდა. საკვანძო ასპექტია მედიაციის თანაფარდობა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის კონსტიტუციურ და საერთაშორისო პრინციპთან, რაც უზრუნველყოფს მოზარდის უსაფრთხოებას, კეთილდღეობას, რესოციალიზაციასა და სტიგმატიზაციის პრევენციას.

აგრეთვე, ნაშრომში განხილულია განრიდება/მედიაციის, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის, დამაბალანსებელი ფუნქცია, რომელიც ეფექტიანად აღწევს სასჯელის მიზნებს – კერძოდ, რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას – რეპრესიული ზომების გარეშე. საერთაშორისო პრაქტიკის (აშშ, ნორვეგია) ანალიზი ცხადყოფს აღდგენითი მართლმსაჯულების მზარდ პოპულარობას და მაღალ ეფექტურობას დანაშაულის პრევენციისა და მხარეთა (დამნაშავე/მსხვერპლი) კმაყოფილების თვალსაზრისით. საქართველოში 2010 წლიდან დაფიქსირებული სტატისტიკური მონაცემები, განსაკუთრებით განმეორებითი დანაშაულის დაბალი მაჩვენებელი და ბოლო წლებში (2022-2023) პროგრამაში ჩართულობის მზარდი ტენდენცია (მათ შორის, სრულწლოვანთა გარკვეულ კატეგორიებზე გავრცელება), ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს მედიაციის ინსტიტუტის მაღალ ეფექტურობასა და პერსპექტიულობას ქვეყნის სამართლებრივი სისტემისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** მედიაცია, სისხლის სამართალი, არასრულწლოვანი, მართლმსაჯულება.

**მედიაციის როლი სისხლის სამართალში და  
მიმართება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთან****შესავალი**

მედიაციის ინსტიტუტი ახალ მოვლენას წარმოადგენს ქართულ სისხლის სამართალში. ჯერ კიდევ ათწლეულების წინ მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად მოქმედ მექანიზმად ითვლებოდა კლასიკური, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მეთოდი. როდესაც არ განიხილებოდა აღდგენითი მართლმსაჯულების რომელიმე სახე, როგორცაა განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა. დროთა განმავლობაში „მედიაცია-სისხლის სამართალში“ კონცეფცია უფრო პოპულარული გახდა და შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა და დადებითი განწყობებიც საზოგადოების მხრიდან, მათ შორის არასრულწლოვნის მიერ.

წარმოდგენილი ნაშრომი დაეთმო მედიაციის საკითხის განხილვას სისხლისსამართლებრივ ჭრილში, მიმოვიხილავთ არსებულ ტენდენციებსა და შევაფასებთ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესს, როგორც ამოსავალი წერტილი მედიაციის გამოყენებისას.

იმავდროულად განხილული იქნება სასჯელის მიზნებთან თანაფარდობის საკითხიც, სადაც ვიმსჯელებთ, როგორც ალტერნატიული მექანიზმის დამაბაღანსებელ ეფექტზე, როდესაც სახე-ზეა დაზარალებული და დამდგარი ზიანიც სახეზეა.

განრიდება-მედიაციის ინსტიტუტის დასახვეწად, საჭიროა საერთაშორისო პრაქტიკის მაქსიმალურად გაზიარება, იმ ქვეყნების მოდელის გადმოღება, სადაც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მიუხედავად, არასრულწლოვნის რეაბილიტაცია შეუფერხებლად მიმდინარეობს და მეორე მხარეც არ განიცდის დანაშაულის შედეგებს.

## 1. მედიაციის არსი და განვითარების ისტორია

ტერმინი „მედიაცია“ შეიძლება წარმოშობილი იყოს ბერძნული სიტყვიდან „medos“ (მედიატორი, ნეიტრალური); მისი ლათინური ფუძის ზმნა „medere“ ნიშნავს განკურნებას, „Mediatio“ კი – შუამავლობას. მედიაცია მოიცავს პროცედურას ან მეთოდს, რომელსაც ნეიტრალური შუამავალი (მედიატორი) იყენებს ნებაყოფლობითობის, ავტონომიისა და შედეგებისადმი ღიაობის პრინციპების საფუძველზე მხარეებს შორის დავის მოგვარების დახმარების მიზნით<sup>1</sup>.

მედიაციის შესახებ კანონის მიხედვით მედიაცია ეს არის „პროცესი, მისი სახელწოდების მიუხედავად, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, ეს პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით“<sup>2</sup>.

სტატიის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლამდე საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომებს და არ ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას<sup>3</sup>.

როგორც წესი, საქართველოში დამნაშავისა და დაზარალებულის შერიგების ინსტიტუტი, კერძოდ, განრიდება და მედიაცია გამოიყენება როგორც სრულწლოვანთა, ისე არასრულწლოვანთა მიმართ<sup>4</sup>.

ფაქტობრივად, მედიაციაში მოიაზრება დავის გადაწყვეტის არასასამართლო პროცესი.<sup>5</sup> თუკი გადმოვიტანთ სისხლისსამართლებრივ ჭრილში, მასში აქტიური როლი აკისრია ბრალდების მხარეს, რამეთუ მისი გადასაწყვეტია განარიდოს მოზარდი და ჩართოს მედიაციის პროგრამაში თუ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. არ იქნება გადაჭარბებული განაცხადი, თუკი ვიტყვით, რომ მედიაციის პროგრამის მხარდაჭერა და პროაქტიულად გამოყენება სისხლის სამართალში, პირდაპირ კავშირშია საქართველოს ევროპულ გზაზე აქტიურ სვლასთან და ევროკავშირის დიდ ოჯახში გაწევრიანების მიზანთან.

### 1.1 მედიაციის პროგრამის დანერგვა ქართულ სისხლის სამართალში

აღდგენითი მართლმსაჯულების ინსტიტუტზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ – მედიატორ-

<sup>1</sup> მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2024. გვ.32-33.

<sup>2</sup> მედიაციის შესახებ კანონი, მუხლი 2.

<sup>3</sup> საქართველოს პროკურატურის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგები ყოველწლიური ანგარიში, 2024 წ.

<sup>4</sup> ხ. თანდილაშვილი, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მეორე გამოცემა-აგვისტო, 2017 წ., 55 გვ.

<sup>5</sup> Gullo A., Mediation unter der Herrschaft des Rechts Berlin, 2006, 25.

თა ინსტიტუტი ქართველი ერის სოციალური ცხოვრების განვითარების პირველივე საფეხურზე არსებობდა. საქართველოში ფუნქციონირებდა სამედიაციო სასამართლო, რომლის დანიშნულება იყო მხარეთა მორიგება კონფლიქტში მყოფ პირთა შურისძიების თავიდან ასაცილებლად<sup>1</sup>.

უფრო თანამედროვე წიაღებზე რომ ვისაუბროთ, ფაქტობრივად 2010 წლამდე, ქართული საზოგადოება არ იცნობდა მართლმსაჯულების ისეთ სახეობას, რომელიც ფოკუსირებული იქნებოდა აღდგენით მიდგომებზე, შესაბამისად სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები ამოქმედდა 2010 წლის მერე.

განრიდება მედიაციის ისტორიაზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ საკანონმდებლო რეგულაციას წარმოადგენს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის 120-ე ბრძანება, რომელიც მოიცავს არაერთ პრაქტიკულ კომპონენტს ამ დარგში.

არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამა ამოქმედდა 2010 წელს, თუმცა, საკანონმდებლო რეგულაცია ძალიან მწირი იყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო გახლდათ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებითი ბარათი, რომელიც კოდექსის მიღების საჭიროების დასაბუთებისას ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღების აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა სწორედ იმიტომ, რომ 2016 წლამდე არსებული კანონმდებლობა არ უთმობდა საკმარის ყურადღებას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და არ ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ზომების პრიორიტეტულობას.“<sup>2</sup>

და ბოლოს, ნიშანდობლივია, რომ 2014 წლიდან საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს მედიაციის სახლი, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მედიაციის მეხვედრების ჩასატარებლად. სტატიის ფარგლებში, განვიხილავთ აგრეთვე აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვის ისტორიასა და განვითარების გზას საქართველოში.

## 1.2 არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი სისხლის სამართალში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი განმარტავს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის ცნებას, კერძოდ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები ეს არის, „არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება“. ასევე, ბავშვთა უფლებათა კოდექსი აღგენს, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპს, კერძოდ, „ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას გაითვალისწინება მისი ოჯახურ გარემოში პიროვნული განვითარების უფლება, ბავშვის სოციალური და კულტურული მახასიათებლები, მის მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დამოუკიდებლად რეალიზების შესაძლებლობა და ბავშვის მოსაზრებები“<sup>3</sup>. როდესაც ვმსჯელობთ ბავშვთა საუკეთესო ინტერესზე სისხლის სამართალში, რამდენიმე გარემოებაა გასათვალისწინებელი. ნიშანდობლივია, რომ „საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა არ გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სისხლის სამართალწარმოების გარკვეულ ფარგლებში გაკიცხვის გარეშე დატოვებას. აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, სამართლიანობის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ხოლო მეორეს მხრივ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი ერთმანეთთან აქტიურ კავშირშია. თითოეული ინტერესი ერთიანობაში გამომდინარეობს სა-

<sup>1</sup> ბ. მეურმიშვილი, „მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის – სრულწლოვანთა განრიდების სრულყოფისათვის“, სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი, 2023წ. 8(2), გვ.3-4.

<sup>2</sup> საქართველოს პროკურატურის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგები ყოველწლიური ანგარიში, 2024წ.

<sup>3</sup> საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 5.



მართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპებიდან<sup>1</sup>. თითოეულ სისხლის სამართლის საქმეში უფლებამოსილმა სახელმწიფო უწყებებმა ობიექტურად უნდა განსაზღვრონ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი. ყოველივე ეს არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. ამ კუთხით არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, პირდაპირ კავშირშია განრიდება-მედიაციის პროგრამასთან<sup>2</sup>.

## 2. მედიაციის პროგრამაში ჩართვის წინამძღვრები

მედიაციის პროგრამა, წარმოადგენს ერთგვარ ნოვაციას ქართულ სისხლის სამართალში. ჩვენ, როდესაც ვსაუბრობთ აღნიშნული პროგრამის ამოქმედების წინაპირობებზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად უნდა გამოვყოთ, თვითონ ბავშვის სურვილი, საუკეთესო ინტერესის პრინციპი და აგრეთვე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღები პირის დასაბუთებული პოზიცია.

ბავშვის უფლებათა კონვენცია ადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებას ყველა იმ ბავშვის მიმართ, რომელიც იმხილება დანაშაულის ჩადენაში, შეიმუშაოს ისეთი ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებს მას ადამიანის უფლებებისა და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი საზოგადოებაში რეინტეგრაციის, ასევე, საზოგადოებაში სასარგებლო როლის შესრულების სასურველობას<sup>3</sup>. არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებული ხელშეკრულების ძირითად პირობებში, განრიდების ხელშეკრულება მიჩნეულია სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებად, რომლის მხარეებს წარმოადგენენ ბრალდებული, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი, ან შესაბამის შემთხვევაში ფსიქოლოგი ან სხვა პირი<sup>4</sup>. განრიდება ეს არის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდას განაჩინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის, სასჯელისა და ნასამართლობისაგან. თუმცა, მას ჩადენილ ქმედებაზე პასუხისმგებლობას აკისრებს ალტერნატიული ფორმით, რითაც ხელს უწყობს ჩადენილი დანაშაულის გააზრებას<sup>5</sup>.

აღსანიშნავია, რომ ქართული სისხლის სამართალი სხვადასხვა განზომილებებში განიხილავს აღნიშნულ ინსტიტუტს, როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვანთან ერთად სრულწლოვნის ბელს, რადგან ამ შემთხვევაში მოქმედებს დანაშაულთა კატეგორიის გათვალისწინების პრინციპი. განსხვავებით არასრულწლოვნის შემთხვევისაგან, სრულწლოვნის შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მკაფიო დათქმას აკეთებს, კერძოდ იმისთვის, რომ განვარიდოთ სრულწლოვანი, აუცილებელია რომ მას ჩადენილი ჰქონდეს მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაული<sup>6</sup>. ესე იგი მისი შეზღუდული გამოყენებადობიდან გამომდინარე, მას ვერ გავავრცელებთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ სუბიექტებზე. საკითხს მეტი სიცხადე, რომ მივანიჭოთ, გასაზიარებელია, „საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებული ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“, ბრძანება სადაც ერთგვარ პოსტულატებად არის გამოყო-

<sup>1</sup> Herring, J., Farewell Welfare? Journal of Social Welfare and Family Law, 2005, გვ.160

<sup>2</sup> ვ.წითლაური, „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები“, 2023წ. გვ.108.

<sup>3</sup> კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 40.

<sup>4</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #210, დანართი 1 (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195>).

<sup>5</sup> Best Practices in Youth Diversion. University of Maryland School of Social Work. 2018, pg. 3// <https://theinstitute.umaryland.edu/media/ssw/institute/md-center-documents/Youth-Diversion-Literature-Review.pdf>

<sup>6</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 168<sup>1</sup>-ე.



ფილი, მედიაცია/განრიდების საკითხის წინაპირობები, კერძოდ, მისი განხორციელება ხდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა;
- ნებაყოფლობითობა
- პროპორციულობა
- კონფიდენციალურობა
- სტიგმატიზაციის დაუშვებლობა
- არასრულწლოვნის ქეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება<sup>1</sup>.

„არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“.

## 2.1 არასრულწლოვნის თანხმობა და ინტერესი

ზემოთხსენებულ მსჯელობაში, არაერთხელ აღინიშნა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რომელიც ამოსავალ წერტილად ითვლება მედიაციის გამოყენების თვალსაზრისით. გარდა საუკეთესო ინტერესის არსებობისა, უმთავრესი საკითხია, იმის ცხადად ცოდნა, რამდენად უძლოდა წინ ასეთ ზეამატლებულ გარემოებას, როგორიცაა ბავშვის საუკეთესო ინტერესი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად „სასამართლო უფლებამოსილია განრიდების გამოსაყენებლად საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიდებას შესთავაზებს და, მისი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო მეორე მხარის პოზიციასაც ისმენს<sup>2</sup>. შესაბამისად, გარდა ოფიციალური ორგანოების გადაწყვეტი როლისა, განრიდება/მედიაცია რეალიზებას მოკლებულია, თუ თვით მოზარდი არ თანხმდება მასში ჩაბმასა და მონაწილეობის მიღებაზე. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, კანონმდებლის მოთხოვნა, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მის საუკეთესო ინტერესს<sup>3</sup>.

## 2.2 სასჯელის მიზნებთან თანაფართობის საკითხი

სასჯელის მიზნები მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ:

„სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია“<sup>4</sup>. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“. ნიშანდობლივია, რომ განრიდება/მედიაციის პროგრამის აღმოცენებამდე უამრავი ადამიანის მიმართ გამოიყენებოდა ყველაზე მკაცრი სასჯელის ზომები და არ არსებობდა ალტერნატიული და დამაბალანსებელი სხვა მექანიზმები, რომლებიც დაიცავდა სასჯელის ყველაზე მკაცრი ზომის, თავისუფლების აღკვეთისაგან. გარდა ამისა, განრიდების პროგრამა შემუშავებულია იმისათვის, რომ მოხდეს სასამართლოების, სასჯელადსრულების დაწესებულების, ასევე დროებითი მოთავსების იზოლაციური განტვირთვა და მეტი ყურადღება დაეთმოს უფრო საშიშ სამართალდარღვევებს<sup>5</sup>. გავიზიარებთ გერმანულ

<sup>1</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანება.

<sup>2</sup> საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 39-ე.

<sup>3</sup> ვ.წითლაური, „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები“, 2023წ. გვ.148.

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 39.

<sup>5</sup> 2010 წლის ივლისის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შესახებ: <https://mimomxilveli.wordpress.com/category/უკანასკნელად-ნანახია-20.03.2019>

მიდგომას, სადაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სასჯელი არასრულწლოვანთან მიმართებაში, პირველ რიგში, უნდა ემსახურებოდეს მის აღზრდას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სასჯელი უნდა იყოს მომავალზე ორიენტირებული“<sup>1</sup>.

განსხვავებით სრულწლოვნებისგან, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა, განსხვავებულად განსაზღვავს სასჯელის მიზნებს არასრულწლოვანთა შემთხვევაში, კერძოდ ისინია „არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება“<sup>2</sup>. მართალია, დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება (მედიაცია) სასჯელის სახეს არ წარმოადგენს, მაგრამ მისი, როგორც კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების ერთ-ერთი აქტიური მეთოდის, მნიშვნელობა, პირდაპირ მიმართებაშია დაზარალებულსა და დანაშაულის ჩამდენს შორის გასატარებელ ღონისძიებებთან<sup>3</sup>. სასჯელის მიზნების მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს დამნაშავეს და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარება და საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა<sup>4</sup>. დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის გრძელვადიანი პერსპექტივით მოგვარება შესაძლებელია მედიაციის გზით, რის შემდეგაც განმეორებითი დანაშაულის ან რევექტიმიზაციის საფრთხე მნიშვნელოვნად მცირდება<sup>5</sup>. გ. თუმანიშვილი განიხილავს სასჯელის ცალკეულ მიზნებს, აბსოლუტურ და პრევენციულ თეორიებს მედიაციასთან ურთიერთკავშირში. იგი აღნიშნავს, რომ აბსოლუტური თეორიის გაზიარების შემთხვევაში, დანაშაულის გამოსყიდვა მედიაციის გზითაც არის შესაძლებელი, ვინაიდან სამართლიანობის აღსადგენად სავალდებულო არ არის ყოველთვის რეპრესიული პოლიტიკის გატარება<sup>6</sup>. მედიაცია გახლავთ სწორედ ის დამაბალანსებელი მექანიზმი, რომელიც ერთის მხრივ არ ამძიმებს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ სტატუსს და მეორეს მხრივ საზოგადოებრივ უკმაყოფილებასაც არ იწვევს, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა/ჩანაცვლებით. აღმზრდელობითი მართლმსაჯულების ეფექტიანად გამოყენებით, მედიაციის პროგრამის მიზნობრივი გამოყენების გზით, მაქსიმალურად მიღწევადია სასჯელის მიზნები.

### 3. საერთაშორისო პრაქტიკა და დადგენილი სტანდარტები

საერთაშორისო სამართლებრივი წყაროები ადასტურებენ, რომ მედიაციის გამოყენება სისხლის სამართლებრივ დავებში, დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, იგი განსაკუთრებით პოპულარულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ერთ-ერთ სახელმძღვანელოში, გამოთქმულია მოსაზრება, რომ, „კრიმინალური მედიაცია ისეთივე პროცესია, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის მედიაცია და ხშირად იგივე საკითხები იჩენს თავს, მაგრამ ის ყოველთვის რთულია, რადგან ემოციები უკიდურესად მაღალია. საერთოდ არ არის იშვიათი, როდესაც ბრალდებული ფსიქიკურად არამდგრადია, ნაკლებად განათლებულია, გაბრაზებული ან აგრესიული. ზოგჯერ ბრალდებული ამას ყველაფერს აერთიანებს და მეტსაც. ნიშანდობლივია პორტუგალიის მაგალითი, სადაც სახელმწიფოს დონეზე უწყებრივად არის ჩამოყალიბებული სპეციალური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მედიაციის რეალიზებას სისხლისსამართლებრივ დავებში, კერძოდ „მედიაციის სისტემა არის ინსტიტუტი, რომელსაც ხელს უწყობს იუსტიციის სამინისტრო. ის საშუალებას აძლევს ბრალდებულს და დაზარალებულ მხარეს, მედიაცია გამოიყენონ დანაშაულთან დაკავშირებული დავების სასამართლოს გარეშე გადასაჭრელად, 2007 წლის 12 ივნისის კანონი N21/2007-ის შესაბამისად“. მედიატორი უკავშირდება ბრალდებულს და დაზარალებულ მხარეს,

<sup>1</sup> Zieger, M., Verteidigung in Jugendstrafsachen, 2013, გვ. 44.

<sup>2</sup> საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 65.

<sup>3</sup> შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, 2016წ. გვ. 109.

<sup>4</sup> ვ.ჭითლაური, „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები“, 2023წ. გვ.160.

<sup>5</sup> Meier, B., Rössner, D., Trüg, G., Wulf, R., Jugendgerichtsgesetz Handkommentar, 2014წ. გვ.56.

<sup>6</sup> თუმანიშვილი, გ., „სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში“. სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში. 2013წ. გვ. 267.

რათა მიაწოდოს ინფორმაცია მედიაციის პროცედურის თავისებურებების შესახებ, მათ შორის მისი ბუნების, მიზნისა და წესების, ასევე მხარეთა და მედიატორის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. თუ მედიატორი ვერ იღებს თანხმობას როგორც ბრალდებულისგან, ისე დაზარალებული მხარისგან მედიაციის პროცედურის ჩასატარებლად, ის აცნობებს პროკურატურას და სასამართლო პროცესი გრძელდება. სხვა დროს, მას შემდეგ, რაც პროკურორი საქმეს მედიატორის დაუბრუნებს, მედიაცია უნდა დასრულდეს მაქსიმუმ 3 თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი წარმოება გაგრძელდება.<sup>1</sup>

საინტერესოა ნორვეგიული მოდელი, რომელიც ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყნად ითვლება, სადაც აქტიურად გამოიყენება მედიაციის ინსტიტუტი. ნორვეგია ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იყო ევროპაში, რომელმაც დანერგა მედიაციის ინსტიტუტი სისხლის სამართალში. თავდაპირველად, ეს იყო პილოტური პროექტი, რომელიც დაარსდა 1981 წელს არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის (18 წლამდე პირები, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული), შემდეგ, 1983 წლიდან, ინდივიდუალურ მუნიციპალიტეტებში დაარსდა კონფლიქტის გადაწყვეტის საბჭოები, რათა თავიანთ ტერიტორიებზე ექსპერიმენტული მედიაციის პროექტები განეხორციელებინათ. დროთა განმავლობაში, მედიაცია განხორციელეს ზრდასრულ დამნაშავეებზეც და უარყვეს შეზღუდვა, რომელიც ეხებოდა მხოლოდ ერთჯერადად დანაშაულის ჩამდენ პირებს. საქმეები კონფლიქტის გადაწყვეტის საბჭოებს გადაეცემოდა. ნორვეგიაში საქმე შეიძლება გადაეცეს სისხლისსამართლებრივ მედიაციას 3 შემთხვევაში. პირველი, როდესაც პროკურორს მიაჩნია, რომ დამნაშავის ბრალეულობა დამტკიცდება და ალტერნატიულად დასჯის მიზნით, საქმეს გადასცემს მედიატორს. მეორე შემთხვევაა, როდესაც ნორვეგიის სასჯელადასრულების სამსახური, მსჯავრდებულთან შეთანხმებით განსაზღვრავს საზოგადოებრივი სასჯელის ზუსტ შინაარსს სასამართლოს მიერ განსაზღვრული საზღვრების ფარგლებში. მესამე შემთხვევაა, როდესაც პირდაპირაა მითითებული, რომ მედიაციაში მონაწილეობა სასჯელის შეჩერების ერთ-ერთი პირობაა.<sup>2</sup>

### 3.1 მედიაცია სისხლის სამართალში, მიდგომები და მიმდინარე პრაქტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყველა შტატს აქვს კანონები, რომლებიც არეგულირებს მედიაციას, და მიუხედავად იმისა, რომ მედიაცია პირდაპირ არ არის გათვალისწინებული უმეტეს შტატში, იგივე კანონები მაინც ვრცელდება მასზე<sup>3</sup>. დამნაშავესა და მსხვერპლზე ორიენტირებული მედიაციის პროცესი აგრძელებს განვითარებას ამერიკის შეერთებულ შტატებში, ის უფრო და უფრო მზარდი პოპულარობით სარგებლობს. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ორგანიზაციები, ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატთა ასოციაცია, ეროვნული საბჭო, არასრულწლოვანთა და საოჯახო საკითხების განმხილველი სასამართლოები და სხვა სტრუქტურები, ნათლად იყენებენ მედიაციის წესებს, თავიანთი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებში. დღესდღეობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული მოდელი მოითხოვს მეტ განვითარებას, კერძოდ საჭიროა ტრადიციული მართლმსაჯულების მეთოდებიდან, უფრო მეტად გადახრა ალტერნატიული მექანიზმებისკენ და ამ მიმართულებით საჭიროა მეტი გაფართოება.<sup>4</sup> ამერიკის შეერთებულ შტატებში, მედიაციის ინსტიტუტი სისხლის სამართლებრივ დავებში, სათავეს იღებს 1970-80 წლებიდან, კერძოდ ამ დროიდან, ფაქტობრივად იწყება სკანდინავიური მოდელის

<sup>1</sup> Directorate-General for Justice Policy – Ministry of Justice, ([https://dgpi.justica.gov.pt/Portals/31/Ingl%C3%AAs/FAQ\\_S\\_SMP.pdf?ver=TUEeL7V-CL6QARhCr\\_iCsQ%3D%3D](https://dgpi.justica.gov.pt/Portals/31/Ingl%C3%AAs/FAQ_S_SMP.pdf?ver=TUEeL7V-CL6QARhCr_iCsQ%3D%3D) ).

<sup>2</sup> The Norwegian Model of Victim–Offender Mediation as an Original System Approach, (<https://bsp.uwb.edu.pl/article/view/968/800> )

<sup>3</sup> The Honorable Kevin P. Moriarty District Court Judge, Division 14 Johnson County, Kansas

<sup>4</sup> Restorative Justice in the States: An Analysis of Statutory Legislation and Policy, S.Pavelka, Justice Policy Journal, Fall 2016წ.



შემოღება და დანერგვა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 70-იან წლებში მან მოიცვა ისეთი სამართალდარღვევები, როგორიცაა წვრილმანი ხულიგნობა, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი გადაცდომები. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ე.წ. მსვერპლისა და დამნაშავეს მედიაციის პროგრამა, რომელიც პირველად დაინერგა მინნესოტაში, ხოლო 80-იანი წლებიდან, აღნიშნული პროექტი იმპლემენტირებულ იქნა არაერთ შტატში, როგორიცაა კოლორადო, პენსილვანია და სხვა. 2000-იან წლებში, მყარი სახე აიღო მედიაციის განვითარებამ და არაერთი არეალი მოიცვა, ხოლო 2010-2020 წლებში, მედიაცია იღებს თანამედროვე სახეს და იძენს არაერთ დანაშაულზე გამოყენების შესაძლებლობას.

თუკი დავყვრდნობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი, National Survey of Victim-Offender Mediation Programs-ის მონაცემებს, შესაბამისად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს 289 პროგრამა დამნაშავესა და მსხვერპლის მორიგებაზე ორიენტირებული, ამავე კვლევით, დაახლოებით 65 პროცენტი, ვინც მიიღო მონაწილეობა მოუწიათ დანაშაულის აღიარება. ამერიკის შეერთებულ შტატებში, საშუალო სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მონაწილეების სურვილის საშუალო მაჩვენებელი მერყეობს 60-70 პროცენტში<sup>1</sup>. შეერთებულ შტატებში, დაახლოებით 50 პროცენტი საქმეების, თუკი მხარეები თანახმა არიან მედიაციაზე სრულდება მორიგებით. მედიაციის ინსტიტუტი განსაკუთრებით პოპულარულია არასრულწლოვნების შემთხვევაში, 2016 წელს ჩატარებული კვლევით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიახლოებული მაჩვენებელი საქმეების რომლებშიც ფიგურირებენ არასრულწლოვნები, აქედან 5.3% გადაწყდა მედიაციით, ხოლო 29% მედიაციის გარეშე<sup>2</sup>. კვლევისას, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩატარებული გამოკითხვით (by Umbreit & Coates), დადგინდა, რომ 79% მსხვერპლთა გამოსატყვევებლად კმაყოფილებას მედიაციის შედეგებით, ხოლო 87% დამნაშავეთა<sup>3</sup>.

#### 4. მედიაციის გამოყენების სტატისტიკა საქართველოში

მოცემულ თავში, საუბარი იქნება განრიდება-მედიაციის გამოყენების მაჩვენებელზე არასრულწლოვნებთან მიმართებით. 2010 წლამდე საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომებს და არ ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას<sup>4</sup>. აღსანიშნავია, რომ განრიდების და მედიაციის პროგრამა თავდაპირველად შეზღუდულად მოქმედებდა და მოიცავდა საქართველოს 4 ქალაქს: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი, ვინაიდან არულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა<sup>5</sup>, შესაბამისად გაფართოვდა მისი არეალი და 2014 წლიდან პროგრამა ვრცელდება საქართველოში სრული მასშტაბით. 2019 წელს არსებული მონაცემებით, პროგრამის დაწყებიდან განრიდებულია 3000 მეტი არასრულწლოვანი, რომელთაგანაც განმეორებით დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ 134 არასრულწლოვანმა, რაც ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს პროგრამის ეფექტურობაზე ქართულ სისხლის სამართალში. 2016 წელს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, განრიდება-მედიაციის მოქმედების ფარგლები გაფართოვდა პირთა წრის მიხედვით და, გარდა არასრულწლოვნებისა, პროგრამაში 18-დან 21 წლამდე ასაკ-

<sup>1</sup> National Survey of Victim-Offender Mediation Programs, ([https://ovc.ojp.gov/sites/g/files/xyckuh226/files/pubs/OVC\\_Archives/reports/restorative\\_justice/restorative\\_justice\\_ascii\\_pdf/ncj176346.pdf?utm\\_source=chatgpt.com](https://ovc.ojp.gov/sites/g/files/xyckuh226/files/pubs/OVC_Archives/reports/restorative_justice/restorative_justice_ascii_pdf/ncj176346.pdf?utm_source=chatgpt.com))

<sup>2</sup> Impact of Mediation on Criminal Misdemeanor Cases, Administrative Office of the Courts, Court Operations Funding from the State Justice Institute, Grant Number SJI-12-N-003 September 2016

<sup>3</sup> Victim-Offender Programs, Chapter 4,

<sup>4</sup> საქართველოს პროკურატურის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგები ყოველწლიური ანგარიში, 2024წ.

<sup>5</sup> საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 8 და 38.

ის პირების ჩართვაც გახდა შესაძლებელი<sup>1</sup>. განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ზრდა შეიმჩნევა, 2022-23 წლებში, კერძოდ, 2022 წელს ხსენებულ პროგრამაში ჩართულ იქნა 585 არასრულწლოვანი და 590 სრულწლოვანი, ხოლო 2023 წელს, 544 არასრულწლოვანი და 456 სრულწლოვანი. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით აშკარად მზარდია.

### დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა მედიაციის არსი, განრიდების ინსტიტუტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება სისხლის სამართალში. არაერთი დავა გადაჭრილა განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვითა და მოშველიებით. საქართველო ითვლება ტრადიციული მართლმსაჯულების განმახორციელებელ ქვეყანად, თუმცა სამართლებრივი სისტემის დახვეწის კვალდაკვალ, ფართოდ ინერგება აგრეთვე ალტერნატიული და აღმზრდელობითი მართლმსაჯულების მექანიზმებიც, რაც მუდმივ მხარდაჭერას საჭიროებს. ზემოთ მოხმობილი კვლევები, საერთაშორისო გამოკითხვები, ნათლად და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ ფაქტს იმის შესახებ, რომ არაერთ ევროპულ და ლათინურ ქვეყანაში ალტერნატიული მართლმსაჯულების მექანიზმები უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობენ და უფრო პერსპექტიულსაც ხდიან დანაშაულის პრევენციის ამოცანას.

ერთ-ერთ სამართლიან და წინადადგულ ნაბიჯად უახლოესი წარსულიდან არის განრიდება-მედიაციის პროგრამის გავრცელება ზოგიერთ კატეგორიის სრულწლოვნებზეც, ამის ეფექტურობას ამტკიცებს არსებული სტატისტიკა. მედიაცია-განრიდების პროგრამა შესანიშნავად პასუხობს თანამედროვე მართლმსაჯულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, კერძოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების წინ წამოწევის საკითხს, რამეთუ მიმდინარე სტატისტიკა და გამოყენების მზარდი ნიშნული ამ ფაქტის დასტურია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), 2016წ.
2. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, 2013წ.
3. თანდილაშვილი ხ., სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მეორე გამოცემა-აგვისტო, 2017 წ.
4. მეურმიშვილი ბ., „მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის – სრულწლოვანთა განრიდების სრულყოფისათვის“, სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი, 2023წ. 8(2)
5. წითლაური ვ., „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები“, 2023წ.
6. მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, 2024წ.
7. საქართველოს კონსტიტუცია
8. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი
9. ბავშვთა უფლებათა კოდექსი
10. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
11. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
12. მედიაციის შესახებ კანონი
13. საქართველოს პროკურატურის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგები ყოველწლიური ანგარიში, 2024წ.
14. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #210, დანართი 1 (ჩამოტვირთვა შესაძლებელია

<sup>1</sup> საქართველოს პროკურატურის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგები ყოველწლიური ანგარიში, 2024წ.



- ვებ-გვერდი დან: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195>).
15. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ.
  16. 2010 წლის ივლისის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შესახებ: <https://mimomxilveli.wordpress.com/category/> (უკანასკნელად ნანახია 20.03.2019)
  17. Gullo A., Mediation unter der Herrschaft des Rechts, Berlin, 2006.
  18. Herring, J., Farewell Welfare? Journal of Social Welfare and Family Law, 2005.
  19. Meier, B., Rössner, D., Trüg, G., Wulf, R., Jugendgerichtsgesetz Handkommentar, 2014..
  20. Zieger, M., Verteidigung in Jugendstrafsachen, 2013.
  21. Best Practices in Youth Diversion. University of Maryland School of Social Work. 2018, pg.3 <https://theinstitute.umaryland.edu/media/ssw/institute/md-center-documents/Youth-Diversion-Literature-Review.pdf>
  22. Directorate-General for Justice Policy - Ministry of Justice, ([https://dgpj.justica.gov.pt/Portals/31/IngI%C3%AAs/FAQ\\_S\\_SMP.pdf?ver=TUEeL7V-CL6QARhCr\\_iCsQ%3D%3D](https://dgpj.justica.gov.pt/Portals/31/IngI%C3%AAs/FAQ_S_SMP.pdf?ver=TUEeL7V-CL6QARhCr_iCsQ%3D%3D)).
  23. The Norwegian Model of Victim-Offender Mediation as an Original System Approach, (<https://bsp.uwb.edu.pl/article/view/968/800> )
  24. The Honorable Kevin P. Moriarty District Court Judge, Division 14 Johnson County, Kansas.
  25. Restorative Justice in the States: An Analysis of Statutory Legislation and Policy, S.Pavelka, Justice Policy Journal, Fall 2016.
  26. National Survey of Victim-Offender Mediation Programs, ([https://ovc.ojp.gov/sites/g/files/xyckuh226/files/pubs/OVC\\_Archives/reports/restorative\\_justice/re\\_storative\\_justice\\_ascii\\_pdf/ncj176346.pdf?utm\\_source=chatgpt.com](https://ovc.ojp.gov/sites/g/files/xyckuh226/files/pubs/OVC_Archives/reports/restorative_justice/re_storative_justice_ascii_pdf/ncj176346.pdf?utm_source=chatgpt.com)).
  27. Impact of Mediation on Criminal Misdemeanor Cases, Administrative Office of the Courts, Court Operations Funding from the State Justice Institute, Grant Number SJI-12-N-003 September 2016.
  28. Victim-Offender Programs, Chapter 4.

**Arthur Chobaniani**

*Master's Program Student in Criminal Law*

*Tbilisi State University*

## **THE ROLE OF MEDIATION IN CRIMINAL LAW AND ITS RELATION TO THE BEST INTEREST OF THE JUVENILE**

### **Abstract**

This paper presents a multidisciplinary analysis of the Institution of Mediation within the Georgian criminal legal system. Specifically, it examines the role of the Diversion-Mediation mechanism in juvenile justice. The research substantiates the priority of this form of restorative justice, which was introduced in Georgia in 2010, despite the fact that the Georgian legal tradition historically possessed analogous institutions of mediation (such as mediating courts). A key aspect analyzed is the correlation between mediation and the constitutional and international principle of the Best Interest of the Juvenile, which ensures the minor's safety, well-being, resocialization, and the prevention of stigmatization.

Furthermore, the paper discusses the balancing function of Diversion/Mediation as an alternative mechanism to criminal prosecution. This mechanism effectively achieves the objectives of sentencing—namely, resocialization and rehabilitation—without resorting to repressive measures. An analysis of international practice (USA, Norway) reveals the growing popularity and high efficacy of restorative justice in terms of crime prevention and the satisfaction of the parties (offender/victim). Statistical data recorded in Georgia since 2010, particularly the low recidivism rate and the increasing trend of program enrollment in recent years (2022-2023) (including its extension to certain categories of adults), unequivocally confirms the high effectiveness and prospective value of the institution of mediation for the country's legal system.

**Keywords:** restorative justice; criminal mediation; juvenile justice; diversion; best interest of the child; victim–offender mediation; Georgian criminal law; proportionality of punishment

### **Introduction**

The institution of mediation represents a relatively new phenomenon in Georgian criminal law. Just a few decades ago, the classic method of initiating criminal prosecution was considered the dominant mechanism for administering justice. At that time, alternative forms of restorative justice, such as involvement in the Diversion-Mediation program, were not considered.

Over time, the concept of “Mediation in Criminal Law” has become more popular, resulting in increased demand and positive attitudes from the public, including juveniles themselves. The present paper is dedicated to examining the issue of mediation within a criminal law context. We will review the current trends and evaluate the best interest of the juvenile as the fundamental starting point for the use of mediation.

Concurrently, the paper will address the issue of the mechanism's proportionality to the purposes of punishment, where we will discuss the balancing effect of this alternative mechanism, particularly in cases involving a victim and established damage.

To refine the institution of Diversion-Mediation, it is essential to maximize the sharing of international best practices and adopt models from countries where, despite the commission of a criminal act, the rehabilitation of the juvenile proceeds unimpeded and the other party is also protected from the negative consequences of the crime.

## 1. The Essence and History of Mediation

The term «mediation» may have originated from the Greek word *medos* (mediator, neutral); its Latin root verb “*medere*” means to heal, and “*Mediatio*” means intermediation. Mediation involves a procedure or method used by a neutral intermediary (mediator) to assist the parties in resolving a dispute based on the principles of voluntariness, autonomy, and openness to outcomes. According to the Law of Georgia on Mediation, mediation is defined as: «A process, regardless of its name, through which two or more parties, with the assistance of a mediator, attempt to conclude the dispute by mutual agreement, irrespective of whether this process was initiated by the parties or through grounds and procedures stipulated by law».

Based on the content of this article, it is important to note that prior to 2010, Georgian legislation did not recognize approaches towards juveniles in conflict with the law that were based on the child’s best interest and their individual needs, nor did it provide for the possibility of using alternative measures of criminal prosecution. As a rule, the institution of reconciliation between the offender and the victim in Georgia, specifically Diversion and Mediation, is used in relation to both adults and juveniles. Essentially, mediation is considered a non-judicial process for dispute resolution. When viewed through the prism of criminal law, the prosecution plays an active role, as it decides whether to divert the minor and involve them in the mediation program or initiate criminal prosecution. It would not be an overstatement to say that supporting and proactively using the mediation program in criminal law is directly linked to Georgia’s active pursuit of its European path and its goal of joining the European Union family.

### 1.1 The Implementation of the Mediation Program in Georgian Criminal Law

When discussing the institution of Restorative Justice, it is noteworthy that the institution of mediators existed in the social life of the Georgian nation from its earliest stages of development. A Mediator Court operated in Georgia, the purpose of which was to reconcile parties to prevent blood feuds among those in conflict.

To speak of more contemporary foundations, prior to 2010, Georgian society essentially did not recognize a type of justice focused on restorative approaches. Consequently, alternative mechanisms for criminal prosecution were implemented after 2010. Regarding the history of Diversion and Mediation, a significant legislative regulation is the Order No. 120 of February 1, 2016, of the Minister of Justice of Georgia, which includes numerous practical components in this field. The Juvenile Diversion Program was launched in 2010, though the legislative regulation at the time was very scarce. In this regard, the Explanatory Note of the Juvenile Justice Code is interesting, as it explicitly indicated, when justifying the necessity of adopting the Code, that the “necessity of adopting the Juvenile Justice Code came onto the agenda precisely because the legislation existing before 2016 did not pay sufficient attention to the best interests of the juvenile and did not prioritize alternative measures to criminal prosecution”. Finally, it is significant that since 2014, the House of Mediation has been functioning under the auspices of the Training Center of Justice of Georgia, where all conditions have been created for conducting mediation sessions. Within the scope of this article, we will also discuss the history of the implementation and development path of this institution in Georgia.

### 1.2 The Best Interest of the Juvenile in Criminal Law

Article 3, Section 4 of the Juvenile Justice Code defines the concept of the best interest of the juvenile, stating that the best interests of the juvenile are their “security, well-being, health protection, education,

development, resocialization-rehabilitation, and other interests, which are determined in accordance with international standards and the individual characteristics of the juvenile, as well as by taking their opinion into account.” Furthermore, the Code on the Rights of the Child establishes the principle of prioritizing the child’s best interests, specifically: “In determining the child’s best interests, the right to personal development in a family environment, the child’s social and cultural characteristics, their ability to independently realize their own rights and freedoms, and the child’s views shall be taken into account”. When discussing the best interest of the child in criminal law, several circumstances must be considered. It is noteworthy that “the priority of the best interest does not imply leaving a juvenile in conflict with the law without reprimand within certain limits of criminal proceedings. Therefore, on the one hand, justice and public safety, and on the other hand, the best interest of the juvenile, are in active connection with each other. Each interest, collectively, derives from the constitutional principles of a legal and democratic state”. In every criminal case, authorized state agencies must objectively determine the best interest of the juvenile. This determination must not be of a formal nature. In this context, the best interest of the juvenile is directly linked to the Diversion-Mediation program.

## **2. Prerequisites for Inclusion in the Mediation Program**

The Mediation Program represents a form of innovation in Georgian criminal law. When discussing the prerequisites for the implementation of this program, we must highlight three significant factors: the juvenile’s own willingness, the principle of the best interest of the juvenile, and, most importantly, the reasoned position of the decision-maker. The Convention on the Rights of the Child establishes the obligation for states to develop measures aimed at every child implicated in committing a crime that promote the juvenile’s dignity and sense of self-worth, strengthen their respect for human rights and the fundamental freedoms of others, take into account the child’s age, and consider the desirability of their reintegration into society and their performance of a useful role within the community. In the rules governing the use of the Diversion/Diversion and Mediation program for juveniles and the essential terms of the agreement to be signed between the parties, the Diversion Agreement is considered a civil law contract. The parties to this contract include the accused, their legal representative, the prosecutor, the social worker, or, where appropriate, a psychologist or other person. Diversion is an alternative mechanism to criminal prosecution that diverts the young person in conflict with the law from criminal liability, punishment, and conviction. However, it assigns them responsibility for the committed act in an alternative format, thereby aiding in the comprehension of the crime committed. It is noteworthy that Georgian criminal law considers this institution under different dimensions when the fate of an adult is involved alongside a juvenile, as in such cases, the principle of considering the category of the crime applies. Unlike the case of juveniles, the Criminal Procedure Code of Georgia makes a clear stipulation for adults: in order to divert an adult, they must have committed a grave or less grave crime. Therefore, due to its limited applicability, it cannot be extended to individuals who have committed particularly grave offenses. To provide greater clarity on this issue, it is pertinent to cite Order No. 120 of the Minister of Justice of Georgia of February 1, 2016, «On the Approval of the Rules for the Application of the Diversion/Diversion and Mediation Program for Juveniles and the Essential Terms of the Agreement to be Signed Between the Parties.» This Order outlines the preconditions for Mediation/Diversion as follows, based on the following principles:

- Maximum promotion of the use of alternative mechanisms;
- Voluntariness;
- Proportionality;
- Confidentiality;

- Inadmissibility of stigmatization;
- Consideration of the true interest of the juvenile

## 2.1 Consent and Interest of the Juvenile

In the discussion above, the best interest of the juvenile has been highlighted multiple times as the fundamental starting point for the use of mediation. Beyond the existence of the best interest, a primary question is the clear understanding of how such an elevated circumstance, like the child's best interest, was prioritized. According to the Juvenile Justice Code, "The court is authorized, for the purpose of applying diversion, on its own initiative or based on a reasoned motion by a party, to return the case to the prosecutor, who shall offer diversion to the juvenile defendant and, with their consent, shall make a decision regarding diversion. Before making this decision, the court shall also hear the position of the other party". Consequently, apart from the decisive role played by official bodies, Diversion/Mediation cannot be realized unless the minor themselves consents to engagement and participation in it. It is universally recognized that in juvenile justice, the requirement of the legislator must in no case contradict the juvenile's best interest.

## 2.2 The Issue of Proportionality to the Aims of Punishment

The aims of punishment are outlined in the Criminal Code of Georgia, specifically: "The aim of punishment is to restore justice, to prevent new crimes, and to resocialize the offender". According to Article 9, Section 2 of the Constitution of Georgia, "Torture, inhuman or degrading treatment, or the use of inhuman or degrading punishment are inadmissible." It is significant to note that prior to the emergence of the Diversion/Mediation program, the strictest measures of punishment were applied to numerous individuals, and there were no alternative and balancing mechanisms to protect them from the most severe form of punishment, namely deprivation of liberty. Moreover, the Diversion Program was developed to decongest courts, correctional institutions, and temporary detention isolators, and to allow greater attention to be focused on more dangerous offenses. We share the German approach, which suggests that "Punishment in relation to a juvenile must primarily serve their education. In juvenile justice, punishment should be future-oriented". Unlike for adults, Georgian criminal legislation defines the aims of punishment differently in the case of juveniles, namely: "Resocialization-rehabilitation of the juvenile and the prevention of new crimes". While reconciliation between the offender and the victim (mediation) does not constitute a form of punishment, its significance as an active method of resolving a conflict situation is directly related to the measures to be taken between the victim and the perpetrator of the crime. An important role of the aims of punishment is to resolve the conflict between the offender and the victim and to protect public order and safety. The long-term resolution of the conflict between the offender and the victim is possible through mediation, after which the threat of recurrent crime or revictimization is significantly reduced. G. Tumanishvili discusses the individual aims of punishment and the absolute and preventative theories in correlation with mediation. He notes that if the absolute theory is adopted, the expiation of a crime is also possible through mediation, since the restoration of justice does not always necessitate a repressive policy. Mediation is precisely the balancing mechanism that, on the one hand, does not exacerbate the juvenile's criminal status and, on the other hand, does not cause public dissatisfaction through the cessation/replacement of criminal prosecution. By effectively utilizing educational justice and the targeted application of the mediation program, the aims of punishment are maximally attainable.



### 3. International Practice and Established Standards

International legal sources confirm that the use of mediation in criminal disputes enjoys considerable support and is particularly popular in the United States of America. One textbook expresses the view that “Criminal mediation is the same process as any other type of mediation, and the same issues frequently arise, but it is always complicated because emotions are extremely high. It is not uncommon for the defendant to be mentally unstable, poorly educated, angry, or aggressive. Sometimes the defendant combines all of these and more.”

The example of Portugal is significant, where a specialized system has been established at the state level by relevant agencies to ensure the implementation of mediation in criminal disputes.

Specifically, “The Mediation System is an institution promoted by the Ministry of Justice. It allows the defendant and the victim to use mediation to resolve crime-related disputes out of court, in accordance with Law N21/2007 of June 12, 2007.” The mediator contacts the accused and the victim to provide information about the specifics of the mediation procedure, including its nature, aims, and rules, as well as the rights and duties of the parties and the mediator. If the mediator fails to obtain consent from both the defendant and the victim to conduct the mediation procedure, they inform the Public Prosecutor’s Office, and the court proceedings continue. In other instances, after the prosecutor returns the case to the mediator, mediation must be completed within a maximum period of three months; otherwise, the criminal proceedings will resume. The Norwegian model is interesting, as Norway is considered one of the developed countries where the institution of mediation is actively utilized. Norway was one of the leading countries in Europe to introduce the institution of mediation in criminal law. Initially, it was a pilot project established in 1981 for juvenile offenders (persons under 18 who committed a crime for the first time). Subsequently, starting in 1983, Conflict Resolution Boards were established in individual municipalities to implement experimental mediation projects in their territories. Over time, mediation was also implemented for adult offenders, and the restriction related solely to first-time offenders was removed. Cases were transferred to the Conflict Resolution Boards.

In Norway, a case can be transferred to criminal mediation in three instances:

1. When the prosecutor believes that the offender’s guilt will be proven and transfers the case to a mediator for the purpose of an alternative sentence.
2. When the Norwegian Correctional Service, in agreement with the convict, determines the exact content of the community punishment within the boundaries set by the court.
3. When it is directly stipulated that participation in mediation is a condition for the suspension of the sentence.

#### 3.1 Mediation in Criminal Law: Approaches and Current Practice – The Example of the United States of America

In the United States, all states have laws regulating mediation, and although mediation is not directly provided for in most states, the same laws apply to it nonetheless. The Victim-Offender Mediation (VOM) process continues to develop in the United States, enjoying increasingly greater popularity. It is noteworthy that national organizations, such as the American Bar Association, the National Council, juvenile and family courts, and other structures, clearly integrate the rules of mediation into their principles for the administration of justice. Currently, the existing model in the United States requires further development; specifically, there is a need to shift more significantly from traditional justice methods towards alternative mechanisms, and further expansion in this direction is necessary. The institution of mediation in criminal disputes in the United States originates from the 1970s and 1980s. It was during this period that the

implementation and integration of the Scandinavian model effectively began in the U.S. In the 70s, it covered offenses such as petty hooliganism and misdemeanors committed by juveniles. During the same period, the so-called Victim-Offender Mediation Program was established, first implemented in Minnesota. From the 80s, this project was implemented in several states, including Colorado, Pennsylvania, and others. In the 2000s, the development of mediation solidified and covered numerous areas, while in the 2010–2020 period, mediation took on a modern form and acquired the potential for use across various crimes. Based on data from the National Survey of Victim–Offender Mediation Programs operating in the United States, there are 289 Victim-Offender Reconciliation programs active. The same study indicates that approximately 65 percent of participants were required to admit guilt. Average statistics in the United States show that the average rate of willingness to participate ranges from 60 to 70 percent. In the United States, approximately 50 percent of cases are resolved by settlement if the parties agree to mediation. The institution of mediation is particularly popular in cases involving juveniles. A study conducted in 2016 in the United States found that, of the approximate number of cases involving juveniles, 5.3% were resolved through mediation, while 29% were resolved without mediation [4]. A survey conducted in the United States (by Umbreit & Coates) found that 79% of victims expressed satisfaction with the results of mediation, as did 87% of offenders.

#### 4. Statistics on the Use of Mediation in Georgia

This chapter will focus on the rate of use of Diversion-Mediation in relation to juveniles. Prior to 2010, Georgian legislation did not recognize approaches towards juveniles in conflict with the law that were based on the child's best interests and individual needs, nor did it provide for the possibility of using alternative measures of criminal prosecution. It is noteworthy that the Diversion and Mediation program initially operated on a limited basis, covering only four cities in Georgia: Tbilisi, Rustavi, Kutaisi, and Batumi. However, since the Juvenile Justice Code stipulates that the possibility of using diversion or restorative justice measures must be considered first for a minor, the scope of the program expanded, and it has been applied throughout Georgia since 2014. According to data available in 2019, more than 3,000 juveniles had been diverted since the program's inception, of whom only 134 committed a repeat offense. This unequivocally attests to the program's effectiveness in Georgian criminal law. In 2016, the scope of the Diversion-Mediation program was broadened by the Juvenile Justice Code to include a wider circle of individuals; besides minors, it became possible to involve persons aged 18 to 21 in the program. A notable increase in enrollment in the Diversion-Mediation program was observed in 2022–2023. Specifically, in 2022, 585 juveniles and 590 adults were included in the program, and in 2023, the figures were 544 juveniles and 456 adults. This indicator is clearly growing compared to previous years.

#### Conclusion

The present paper has examined the essence of mediation and the diversion institution, which is widely used in criminal law. Numerous disputes have been resolved through the involvement and utilization of the Diversion-Mediation program. Georgia is considered a country that implements traditional justice, yet in parallel with the refinement of the legal system, alternative and educational justice mechanisms are also being widely introduced, which requires continuous support. The research and international surveys cited above clearly and unequivocally confirm the fact that alternative justice mechanisms enjoy enormous popularity in several European and Latin countries, making the task of crime prevention more prospective. One of the fair and progressive steps taken in the recent past is the extension of the Diversion-Mediation program to certain categories of adults, an effectiveness that is substantiated by existing statistics. The

Mediation-Diversion program excellently addresses one of the significant challenges of modern justice, specifically the issue of prioritizing the best interests of the child, as the current statistics and the growing rate of usage serve as confirmation of this fact.

#### References

1. Shalikashvili, M., & Mikanadze, G. (2016). *Juvenile Justice* (Textbook).
2. Tumanishvili, G. (2013). Criminal Law Science in the Process of Unified European Development. In: Collection of the Scientific Symposium on Criminal Law: Restorative Justice and its Development Prospects in Georgia.
3. Tandilashvili, Kh. (2017). Victim's Rights in Criminal Proceedings According to European and Georgian Legislation. *German-Georgian Criminal Law Journal*, Second Edition, August.
4. Meurmishvili, B. (2023). Opinion on the Perfection of the Alternative Mechanism of Criminal Prosecution – Diversion of Adults. *Scientific Journal Spectra*, 8(2).
5. Tsiklauri, V. (2023). Alternative Mechanisms of Juvenile Criminal Prosecution.
6. Commentary on the Law of Georgia on Mediation. (2024).
7. Constitution of Georgia.
8. Juvenile Justice Code of Georgia.
9. Code on the Rights of the Child.
10. Criminal Procedure Code of Georgia.
11. Criminal Code of Georgia.
12. Law on Mediation.
13. Prosecutor's Office of Georgia. (2024). Annual Report on the Results of Juvenile Justice.
14. Order No. 210 of the Minister of Justice of Georgia, Annex 1 (Downloadable from the website: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195>).
15. Order No. 120 of the Minister of Justice of Georgia of February 1, 2016, "On the Approval of the Rules for the Application of the Diversion/Diversion and Mediation Program for Juveniles and the Essential Terms of the Agreement to be Signed Between the Parties."
16. Regarding Amendments to the Criminal Code of July 2010: <https://mimomxilveli.wordpress.com/category> (Last viewed: 20.03.2019).
17. Gullo A., *Mediation unter der Herrschaft des Rechts*, Berlin, 2006.
18. Herring, J., Farewell Welfare? *Journal of Social Welfare and Family Law*, 2005.
19. Meier, B., Rössner, D., Trüg, G., Wulf, R., *Jugendgerichtsgesetz Handkommentar*, 2014..
20. Zieger, M., *Verteidigung in Jugendstrafsachen*, 2013.
21. Best Practices in Youth Diversion. University of Maryland School of Social Work. 2018, pg.3 <https://theinstitute.umaryland.edu/media/ssw/institute/md-center-documents/Youth-Diversion-Literature-Review.pdf>
22. Directorate-General for Justice Policy – Ministry of Justice, ([https://dgpj.justica.gov.pt/Portals/31/Ing%C3%AAs/FAQ\\_S\\_SMP.pdf?ver=TUEeL7V-CL6QARhCr\\_iCsQ%3D%3D](https://dgpj.justica.gov.pt/Portals/31/Ing%C3%AAs/FAQ_S_SMP.pdf?ver=TUEeL7V-CL6QARhCr_iCsQ%3D%3D)).
23. The Norwegian Model of Victim–Offender Mediation as an Original System Approach, (<https://bsp.uwb.edu.pl/article/view/968/800> )
24. The Honorable Kevin P. Moriarty District Court Judge, Division 14 Johnson County, Kansas.
25. Restorative Justice in the States: An Analysis of Statutory Legislation and Policy, S.Pavelka, *Justice Policy Journal*, Fall 2016.
26. National Survey of Victim-Offender Mediation Programs, ([https://ovc.ojp.gov/sites/g/files/xyckuh226/files/pubs/OVC\\_Archives/reports/restorative\\_justice/restorative\\_justice\\_ascii\\_pdf/ncj176346.pdf?utm\\_source=chatgpt.com](https://ovc.ojp.gov/sites/g/files/xyckuh226/files/pubs/OVC_Archives/reports/restorative_justice/restorative_justice_ascii_pdf/ncj176346.pdf?utm_source=chatgpt.com)).
27. Impact of Mediation on Criminal Misdemeanor Cases, Administrative Office of the Courts, Court Operations Funding from the State Justice Institute, Grant Number SJI-12-N-003 September 2016.
28. Victim-Offender Programs, Chapter 4.

## ქეთევან მესხიძე

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი,  
უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი,  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

## დიდ სახელმწიფოთა პოლარული ამბიციები და უსაფრთხოების დილემა

### ანოტაცია

არქტიკისა და მისი რესურსებისთვის ბრძოლა ახალი არ არის და მასზე საუბრები ჯერ კიდევ 2000-იანი წლების შუა ხანებიდან იღებს სათვეს. თუმცა, რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნების მიერ არქტიკული სტრატეგიების განხორციელება სხვადასხვა სისწრაფით მიმდინარეობდა. შეერთებულ შტატებში განგაში გამოცხადდა არქტიკულ ზონაში სამხედრო და სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარებაში აშკარა მნიშვნელოვანი ჩამორჩენის გამო. არქტიკისთვის რბოლაში შეერთებული შტატებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია გრენლანდია. გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილება გრენლანდიაზეც აისახება, რაც მის სტრატეგიულ დანიშნულებას იმაზე მეტად ზრდის, ვიდრე ცივი ომის დროს იყო. ალბათ, შეერთებული შტატების გრენლანდიისკენ მიმართული ბოლოდროინდელი მზერაც და საუბრებიც მისი შეერთებული შტატების ქოლგის ქვეშ შეყვანასთან დაკავშირებით, ან თუნდაც ტრამპის პირველი ადმინისტრაციის განკარგულება – არქტიკის რეგიონში ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში შეჩერებული ბურღვითი სამუშაოების განახლების შესახებ, სწორედ ამ კონტექსტში უნდა იქნას განხილული.

შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მდივნის – რიჩარდ სპენსერის განაცხადებით, ამერიკამ უნდა მიმართოს ყველა ზომას, რომელიც ფოკუსირებული იქნება რუსეთის საზღვაო ძალების მზარდი პროვოკაციული ნაბიჯების წინააღმდეგ, მსოფლიოს ბოლო, ყველაზე დიდ აუთვისებელ რეგიონზე კონტროლის მოსაპოვებლად ბრძოლაში. საუბარია არა მხოლოდ ჩრდილოეთ საზღვაო მარშრუტზე, არამედ, რუსეთის შეღვის ნაწილზეც. მისი განცადებით, შეერთებული შტატების საზღვაო ძალები ავითარებენ სტრატეგიას, რომელიც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს თვისუფალ ნავიგაციას რუსეთის არქტიკის გავლით. ამდენად, გეოპოლიტიკური ბრძოლა აღნიშნულ რეგიონში დომინირებისთვის, ჩრდილო-ყინულოვან ოკეანეში არქტიკული ყინულის დნობასთან ერთად მძფრდება.

საგულისხმოა, რომ ამ დონის სამხედრო მაღალჩინოსნის მიერ ასე აშკარად პირველად იქნა გამოკვეთილი ამერიკის პრეტენზიები ჩრდილოეთ საზღვაო მარშრუტთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს, რომ შეერთებული შტატები სერიოზულად უდგება რუსულ არქტიკაში საკუთარ პრობლემებს და სამხედრო გზით მათ გადაწყვეტას არ გამორიცხავს.

სტატიაში განხილულია დიდ სახელმწიფოთა არქტიკული ამბიციები და კონკურენცია არქტიკული წრის ჩრდილოეთით გეოპოლიტიკური დომინირების მოსაპოვებლად, რომელიც დღითიდღე მძაფრდება და სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. ასევე ყურადღება გამახვილებულია ჩინეთის ინტერესებზე არქტიკის მიმართ და „დათვისა“ და „დრაკონის“ დაპირისპირებაზე რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად. განსაკუთრებული აქცენტირება ხდება რუსეთის ამბიციებსა და ძალის დემონსტრირებაზე, არსებულ საფრთხეებსა და ძალთა ბალანსზე რეგიონში, ისევე, როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საპასუხო რეაგირებაზე გაზრდილი საფრთხეების საპასუხოდ.

**საკვანძო სიტყვები:** არქტიკა, გეოპოლიტიკური დომინირება, კონტინენტური შეღვი, ძალთა ბალანსი, უსაფრთხოების არქიტექტურა.

## დიდ სახელმწიფოთა პოლარული ამბიციები და უსაფრთხოების დილემა

### შესავალი

დედამიწის ჩრდილოეთ პოლარულ მხარეს განთავსებული ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალებით მოცული რეგიონი – არქტიკა, თვისი განუმეორებელი კლიმატით, ფლორითა თუ ფაუნით, რომელიც მოიცავს ევრაზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტების განაპირა ნაწილებს, მათ შორის – ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის თითქმის მთელ ნაწილს მასში განლაგებული კუნძულებით, ისევე, როგორც წყნარი და ატლანტიის ოკეანეების მომიჯნავე ნაწილებსაც<sup>1</sup>, ბოლო პერიოდის განმავლობაში მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა მხრიდან დიდ ყურადღებას იპყრობს.

არქტიკის რეგიონში გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის ბრძოლა დღითიდღე მძაფრდება, რაც გამოწვეულია როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორებით. ეკონომიკურ ფაქტორებს შორისაა არქტიკული ოკეანისა და მისი ზღვების ფსკერზე აღმოჩენილი ენერგეტიკული რესურსები და ძვირფასი ლითონის საბადოები. აგრეთვე კომუნიკაციები – ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი უმოკლესი ჩრდილოეთ-საზღვაო მარშრუტი, რომელზე კონტროლიც უზარმაზარ ეკონომიკურ სარგებელსა და გეოპოლიტიკურ უპირატესობას იძლევა.

რატომ გახდა ყველასთვის ასე მოულოდნელად საინტერესო და მიმზიდველი ეს იდუმალი, ცივი, მიუდგომელი და არაპროგნოზირებადი რეგიონი, რომელზეც პრეტენზიას რვა ქვეყანა – აცხადებს.

მაგალითად, რუსეთი – უკვე 20 წელზე მეტია ოფიციალურად ცდილობს გაეროს მეშვეობით მეცნიერულად დაამტკიცოს, რომ აღნიშნული ტერიტორია მისი კონტინენტური შელფის პირდაპირი გაგრძელებაა, შესაბამისად, ქვეყნის საზღვრები გაცილებით დიდია და ჩრდილო პოლუსამდეც კი აღწევს. დანია კი, პირიქით, მიიჩნევს, რომ ეს მათი გრენლანდიის ჩაძირული ნაწილია, რაც იმას ნიშნავს, რომ საზღვარი განსხვავებული იქნება. კანადას და შეერთებულ შტატებსაც აქვთ საკუთარი მადა და პრეტენზიები. ამერიკელები ღიად აცხადებენ, რომ ცალმხრივად აფართოებენ საკუთარი კონტინენტური შელფის საზღვრებს ატლანტიისა და წყნარ ოკეანეებში, მექსიკის ყურეში და იკავებენ უდიდეს ტერიტორიებს ბერინგის ზღვასა და არქტიკაში. ეს ყველაფერი დაახლოებით მილიონი კვადრატული კილომეტრია. ჩათვალეთ – ორჯერ მეტი ვიდრე კალიფორნია და რამდენჯერმე დიდი ვიდრე გერმანია ან მთელი ეგვიპტე. ამას ემატება ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი, რომლებსაც ასევე გააჩნიათ პრეტენზიები არქტიკასთან დაკავშირებით.

ვის ეკუთვნის სინამდვილეში ეს ტერიტორია? რატომ ახლა და სად იყვნენ აქამდე ეს ქვეყნები? რა ინტერესები აქვთ მათ ჩადონ არქტიკაში უზარმაზარი ფინანსები, თავიდან ააშენონ არქტიკული ინფრასტრუქტურა, გადაამზადონ პერსონალი, გადაუხადონ კოლოსალური ხელფასები მათ, არსებული ტექნიკა მოარგონ მძიმე კლიმატურ პირობებს და ვიხილავთ თუ არა ახალ დაპირისპირებას რეგიონში არსებულ მოთამაშეთა მზარდი წინააღმდეგობრივი ინტერესების ფონზე?

### კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომი დაფუძნებულია სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდზე. კერძოდ, მონაცემთა მეგროვებისა და ანალიზის მიზნით კვლევა განხორციელებულ იქნა პროცესის მიდევნების (Process Tracing), შემთხვევის შესწავლისა (Case Study) და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდებზე დაყრდნობით. აგრეთვე, კვლევის პროცესში მოხდა მეორეული სამეცნიერო-ლიტერატურული

<sup>1</sup> ვარძელაშვილი, დ., საზღვაო ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „ალავერი“, 2009;



წყაროების ანალიზი, რათა შექმნილიყო ბაზისი შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით კვლევის გასაგრძელებლად.

## ძირითადი ნაწილი

### 1. გლობალური ცვლილებები და არაპროგნოზირებადი არქტიკა რეგიონში არსებულ მოთამაშეთა მზარდი ინტერესების ფონზე

კლიმატური ცვლილებები – გლობალური დათბობა, რომელიც ყველაზე მეტად არქტიკის რეგიონზე აისახება – იწვევს გლობალურ ცვლილებებს. ბუნების მსოფლიო ფონდის მონაცემებით, არქტიკის ყინულის ღებობის ტემპი წელიწადში მთლიანი ფართობის 13%-ს შეადგენს<sup>1</sup>. არსებული პროგნოზების თანახმად, 2040-2045 წლისთვის ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე შესაძლოა მთლიანად დადნეს ზაფხულში, რაც ორ სასიცოცხლო მნიშვნელოვან ფაქტორს უწყობს ხელს, რომლის გამოც, იმპერიები მზად არიან ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ. პირველი – ბუნებრივი რესურსების მოპოვების შესაძლებლობა, რამეთუ მეცნიერების შეფასებით, დედამიწაზე არსებული ბუნებრივი აირისა და ნავთობის 22% სწორედ არქტიკაზე მოდის. დაუდასტურებელი მონაცემებით, ეს ნიშნავს, რომ არქტიკაში უფრო მეტი ნავთობია ვიდრე კატარში და ორჯერ მეტი ბუნებრივი აირის მარაგი, რასაც ემატება ურანი, ოქრო და ალმასები.

მეორე მიზეზი – საზღვაო მარშრუტია. კერძოდ, უმოკლესი გზა ევროპიდან აზიამდე. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპაში ყველაზე დიდი პორტი – როტერდამის პორტია, ხოლო აზიაში – შანხაის, როტერდამიდან შანხაიმდე სუეცის არხის გავლით, რაც ამჟამად ყველაზე მოკლე გზაა, მანძილი დაახლოებით 21 000 კმ-ია, რაც გემისთვის საშუალოდ 28-35 დღის სავალს წარმოადგენს. ყინულის გაღებობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის პირობებში კი არქტიკული საზღვაო გზით იგივე მარშრუტზე (როტერდანიდან – შანხაიმდე) მანძილი თითქმის 40%-ით მცირდება, რომელსაც გემი მაქსიმუმ ორი კვირიდან – 20 დღემდე ვადაში დაფარავს. აღნიშნული გარემოება სავაჭრო სფეროსა და ლოგისტიკაში უზარმაზარ უპირატესობას იძლევა. კერძოდ, ამცირებს მანძილს, შესაბამისად, საწვავის მოხმარების რაოდენობას. ამასთან, ტვირთის გადაზიდვა უფრო სწრაფად ხდება და რა გასაკვირია, რომ ჩვენთვის აქამდე ცნობილ ტრადიციულ მარშრუტებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

თუ ამ ყველაფერს უფრო შორეული პერსპექტივიდან შევხედავთ, გამოდის, რომ ერთ დროს ყინულით დაფარული არქტიკა ახლა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რეგიონია, რომელიც ამ სიმდიდრესთან ერთად შესაძლოა ახალი, ყველაზე მოქნილი და მოკლე სამარშრუტო გზაც გახდეს. ანუ, ეს ის ტერიტორიაა, სადაც ქვეყნებს სამხედრო გაძლიერება არათუ სჭირდებათ, არამედ, სავალდებულოც არის.

თუმცა, უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, როგორ უნდა მოხდეს ამ უამრავი ბუნებრივი რესურსის გადანაწილება ქვეყნებს შორის სამართლებრივი თვალსაზრისით, რამდენადაც ვიდრე რაღაცას დავიცავთ, საჭროა გამიჯნულ იქნას ეს ყველაფერი მათ კუთვნილებაზე უფლებრივ ქრილში.

#### 1.1. გაეროს საზღვაო კონვენცია და დიდ მოთამაშეთა მიერ ტერიტორიების მისაკუთრება კონტინენტური შელფის გზით

გაეროს საზღვაო კონვენციის თანახმად, ქვეყნის საწყისი ხაზიდან სახელმწიფოს უფლება აქვს 200 საზღვაო მილის, ანუ 370 კმ-ის რადიუსის ფარგლებში მოითხოვოს განსაკუთრებული

<sup>1</sup> Lindsey, R., Michon, S., Climate Change: Arctic Sea Ice Summer minimum, 2022, <https://www.climate.gov/news-features/understanding-climate/climate-change-arctic-sea-ice-summer-minimum> [15.02.2025];

ეკონომიკური ზონა, რომელშიც სახელმწიფოს სანაპიროს ყველა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების უფლება აქვს<sup>1</sup>. გარდა ამისა, იგი ადგენს ამ ზონებში ხელოვნური კუნძულებისა და ნაგებობების აგების სამეცნიერო-კვლევებისა და გარემოს დაცვის წესებს. მაგრამ არის უკეთესი გამოსავალიც, რომელიც უფრო მეტის უფლებას იძლევა, ვიდრე გაეროს საზღვაო კონვენცია. თუმცა, ეს მხოლოდ დიდი მოთამაშეთა პრივილეგიაა – ტერიტორიების მისაკუთრება კონტინენტური შელფის გზით. ანუ, ქვეყანა რომელიმე საზღვაო ტერიტორიაზე ამბობს, რომ ეს არის ჩემი მიწა, იმიტომ, რომ იგი ჩემი ხმელეთის გაგრძელებაა წყლის ქვეშ. მაგალითად, შეერთებული შტატები, რომელიც სულაც არ წარმოადგენს გაეროს საზღვაო კონვენციის მონაწილეს, ანუ ხელი არ აქვს მოწერილი ამ დოკუმენტზე, ისე ფართოვდება ცალმხრივად, როგორც მოესურვება<sup>2</sup>.

საგულისხმოა, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ, 2023 წელს, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საიტზე გაჩნდა მოულოდნელი განცხადება – „ამერიკული კონტინენტური შელფის გაფართოების პროექტი“, სადაც თავშივე აღნიშნულია, რომ გაფართოება გასცდა 200 საზღვაო მილს. მოცემული პროექტის თანახმად, ამერიკა გაფართოვდა წყნარ ოკეანეში, მარიანას კუნძულებზე, მექსიკის ყურეში, ბერინგის ზღაში, ატლანტის ოკეანეში და ყველაზე დიდი გაფართოება მოხდა არქტიკაზე. მეტი სიცხადისთვის, რომ წარმოვიდგინოთ, ეს დაახლოებით მილიონი კვადრატული კილომეტრია. ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, ორჯერ მეტია ვიდრე კალიფორნია და რამდენჯერმე დიდი – ვიდრე გერმანია ან მთელი ეგვიპტე. აღნიშნული პროექტის ტექსტში წერია, რომ ეს საზღვაო ტერიტორია მდიდარია მარჯნებითა და კრაბებით<sup>3</sup>. მაგრამ, როგორც ამბობენ, „უმბაკი – დეტალებშია“.

საქმე იმაშია, რომ ამერიკის შელფზე 50 მყარი მინერალია, რომლებზეც მომავლის ეკონომიკა დამოკიდებული: ლითიუმი ბატარეებისთვის ან თელურიუმი მზის პანელებისთვის<sup>4</sup>. ამერიკელ სამხედროებს სჭირდებათ კობალტი, ტიტანი ან გალიუმი. იგი გამოიყენება რადარებსა და ელექტრონულ საომარ სისტემებში. მაგალითისთვის, შესაძლოა ვთქვათ, რომ აღნიშნული კომპლექსების როლი და მნიშვნელობა კარგად წარმოჩინდა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომში. გარდა ამისა, ამერიკულ შელფზე არსებულ 16 იშვიათ მიწა-ლითონს შორისაა გერმანიუმი, რომლისგანაც მზადდება ჩიპები და რაღა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს შეერთებული შტატების ახალ ტერიტორიებზე არსებული 6,5 ტრილიონი კუბური მეტრი გაზისა და 50 მილიარდი ბარელი ნავთობის სავარაუდო მარაგი. როგორც ვხედავთ, ახალი შენაძენის მასშტაბები კოლოსალურია.

## 1.2. რატომ მაინცდამაინც არქტიკა?

საქმე ისაა, რომ შეერთებული შტატები ამ რესურსების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელია მსოფლიოში. მას კი ყველაზე მეტად ახლო აღმოსავლეთში მოიპოვებენ, სადაც ერთი მხრივ, ამერიკელები ყოველთვის მყარი პოზიციებს ფლობენ, მეორე მხრივ კი სულ უფრო მეტად იზრდება ჩინეთის გავლენა. ირანი კი ათწლეულების განმავლობაში, ოფიციალურად – მტერია, მაგრამ არ ნებდება და პირიქით, სამხედრო ძალას ზრდის. არის კიდევ იემენის ჰუსიტები, არასტაბილური ერაყი და სირია. ამდენად, როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი მდი-

<sup>1</sup> United Nations Convention on the Law of the Sea, Decision 98/392/EC on the conclusion by the European Community of the United Nations Convention on the Law of the Sea and the Agreement relating to its implementation of Part XI, 1994, last update 2018, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=legisum:4337127>, [15.02.2025];

<sup>2</sup> The Outer Limits of the U.S. Extended Continental Shelf: Background and Issues for Congress, 2024, Pdf, Congressional Research Service;

<sup>3</sup> The Outer Limits of the Extended Continental Shelf of The United States of America, U.S. Extended Continental Shelf Project, Published by the U.S. Department of State, Washington, 2023, Pdf;

<sup>4</sup> Alvarez, J., Strategic Implication of the U.S. Extended Continental Shelf, International Law Studies – Volume 61, Role of International Law and an Evolving Ocean, 2024, Law; Pdf;

დარია ნავთობ-პროდუქტებით, საკმაოდ არასტაბილურია. უფრო მეტიც, ის ქვეყნები, რომლებიც XX საუკუნის შუა ხანებში მზად იყვნენ ყველაფერი გაეკეთებინათ, რათა ბრიტანელები და ამერიკელები ტექნოლოგიებით დახმარებოდნენ „შავი ოქროს“ მოსაპოვებლად, ამჟამად, სწორედ ამ უკანასკნელის საშუალებით იმდენს შოულობენ, რომ თავად იღებენ გადაწყვეტილებებს ვისთან რა ურთიერთობები დაამყარონ, ვისთან როგორ იმეგობრონ, ვის რამდენად მიჰყიდონ და ა.შ. რას აკეთებს შეერთებული შტატები? წლების განმავლობაში, ისინი სტრატეგიულად ამცირებდნენ ნავთობზე დამოკიდებულებას სპარსეთის ყურის ქვეყნებზე უფრო მშვიდობიანი კანადის, მექსიკის – უფრო ადვილად სამართავი მეზობლების, ან საკუთარი წარმოების სასარგებლოდ.

ამასთან, საუდის არაბეთის ნავთობის დაცვა პირობითად – ერაყთან ომში, ბევრად უფრო დიდ ენერგო ხარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე სადმე მექსიკის ყურეში ან არქტიკაში საზღვაო ფლოტის განლაგება და უბრალოდ თქმა – „ჩვენია“, რაც ესლა რეალურად ხდება. გსმენიათ რაიმე მნიშვნელოვანი აღმოფოთება ან პროტესტი შეერთებული შტატების მიერ საუკუნეების განმავლობაში ცივი ოკეანის მილიონობით კვადრატული კილომეტრის მითვისებასთან დაკავშირებით? ალბათ ცოტა თუ ვინმე დაფიქრებულა არქტიკული ტერიტორიების სტრატეგიულ ღირებულებაზე.

ამჟამად, არქტიკული წრის მიღმა მხოლოდ 4 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რაც წარმოადგენს პლანეტის მთელი მოსახლეობის საკმაოდ მოკრძალებულ მაჩვენებელს. ყველაზე დიდი ქალაქები აქ მურმანსკი და ნორილსკია. სხვაგან – როგორიცაა ნორვეგიის ჩრდილოეთით მდებარე ჰარსტადი ან ტომსიო – იქ უკვე 100 000-ზე ნაკლები მოსახლეა დარჩენილი. ცნობილი ვარკუტა კი უკვე დიდი ხანია მოჩვენებების ქალაქად იქცა. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ წინასწარი გათვლებით, არქტიკული ყინულის ქვეშ შესაძლოა მთელი მსოფლიოს 13%-დან 30%-მდე აღმოუჩენელი ნავთობისა და გაზის მარაგები იყოს<sup>1</sup> და თუ ამ ეტაპზე ჩანს, რომ მათი მოპოვება მუდმივ ყინვაში შეუძლებელი იქნება, ან უსაფუძლოდ – ძვირი, მომავალში – ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს.

### 1.3. ალასკა – შეერთებული შტატების ახალი სარფიანი შენაძენი

თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ რუსეთი 7. 200 000\$-ს გამოიმუშვებს 1867 წელს, როდესაც შეერთებულ შტატებს მიჰყიდის ცივ, შორეულ და იმ პერიოდისთვის უკვე უსარგებლო ალასკას<sup>2</sup>. გაგიკვირდებათ, მაგრამ რუსები ქრთამსაც კი ურიგებდნენ ამერიკელ სენატორებს, რომ ეს გარიგება შემდგარიყო. საქმე ისაა, რომ რუსეთი იმ პერიოდში (1853-1856) აგებდა ყირიმის ომს და ხელისუფლებას ესეჭიროებოდა ფული ბიუჯეტში „ხვრელების“ დასახურად. რაც შეეხება ალასკას – იგი შორეული, მაგრამ ოდესღაც მომგებიანი მიწა იყო იმპერიისთვის სწორედ ერთობლივი რუსულ-ამერიკული კომპანიის წყალობით. მისი ყოფილი ოფისი სანქტპეტერბურგში იყო, ფილიალი კი კალიფორნიაში – ფორტ როსის ციხე-სიმაგრე. რითი იყო დაკავებული ეს საწარმო? მოიპოვებდნენ ბეწვს ზღვის თახვებიდან, გააჰქონდათ და ყიდდნენ შტატებში. მაგრამ X საუკუნის შუა ხანებიდან მომგებიანი კომპანია სუბსიდირებულად გადაიქცა. ანუ, რუსეთის ხელისუფლება მასზე ფულს კი არ გამოიმუშვებდა, არამედ ხარჯავდა ხაზინიდან, რომ ეარსება. უშუალოდ ალასკაზე კი სულ უფრო და უფრო მეტი ადგილობრივი ამერიკელი მაძიებელი მოდიოდა ოქროს საძიებლად. რუსეთს კი პრაქტიკულად ერთი სოფელი ჰქონდა – ნოვოარხანგელსკი – ასობით ხის სახლითა და დაახლოებით, ამდენივე ჯარისკაცით სამხედრო გარნიზონში. ჩნდებოდა საშიშროება, რომ ამ ტერიტორიას საბოლოო ჯამში მაინც ამერიკელები დაეპატრონებოდნენ. ისინი სულ უფრო აქტიურად ავითარებდნენ თვის კონტინენტს. ყიდულობენ ლუიზიანას და ქვეყ-

<sup>1</sup> Brimmer, E., Changing Geopolitics In the Arctic, 2023, <https://www.cfr.org/report/changing-geopolitics-arctic-0>, [15.02.2025];

<sup>2</sup> Todorov, V., How did Russians use the US \$7.2 million check used to pay for Russian Alaska in 1867? How did they get the actual money from the US?, <https://www.quora.com/How-did-Russians-use-the-US-7-2-million-check-used-to-pay-for-Russian-Alaska-in-1867-How-did-they-get-the-actual-money-from-the-US>, [15.02.2025];

ნის ნახევარს ფრანგებისგან. ალასკაზე კი რუსეთს უნდა დაეხარჯა ან დიდი ფული – დასახლებებსა და დიდ არმიას, ან გაეყიდა. ამდენად, ალასკასთან დაკავშირებით გადაწყვიტეს, რომ უმჯობესია მასზე რაღაც მაინც გამოემუშავებინათ, ვიდრე საბოლოოდ დაეკარგათ უსასყიდლოდ.

როგორ ფიქრობთ, კმაყოფილნი იყვნენ შეერთებულ შტატებში ამ შენაძენით? შეგახსენებთ – ზოგი ქრთამს იღებდა, ზოგი კი აკრიტიკებდა გაზეთებში და ამ მიწებს „სტიუარდის მაცივარს“ უწოდებდა – ადგილობრივი სახელმწიფო მდივნის – სტიუარდის პატივსაცემად, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა და ულოცავდა ამერიკის პრეზიდენტს, რომ ყიდულობდა შესანიშნავ პარკს პოლარული დათვებისა და 50 000 ესკიმოსისთვის.

მაგრამ 30 წლის შემდეგ, 1896 წელს, ვითარება იცვლება და კლონდაიკის ხეობაში ოქროს აღმოაჩენენ, XX საუკუნის შუა ხანებში (1968 წ.) – ნავთობს, მოგვიანებით კი – გაზსაც. ამჟამად კი ეს შტატი ოქროსა და ნავთობის მოპოვების თვალსაზრისით ამერიკის ქვეყნებში ტოპ ათეულშია. ისინი ასევე აწარმოებენ მსოფლიო თუთიის 10%-ს. მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, მნიშვნელოვანია ის, რომ სწორედ ალასკის შეძენამ გახადა შეერთებული შტატები ერთ-ერთ მძლავრ არქტიკულ სახელმწიფოდ, რაც ქვეყანას ასეთი ტერიტორიული პრეტენზიების წაყენების შესაძლებლობას აძლევს.

## 2. წარსულის გაკვეთილები და რუსეთის არქტიკაში გაფართოება

ახლა ვნახოთ, რა ასწავლა რუსეთს ისტორიის წარსულის გაკვეთილებმა და რა დასკვნების გამოტანა შეძლეს მათ.

კრემლმა უფრო ადრე დაიწყო ამ რეგიონში გაფართოება, ვიდრე ამ თემებზე სპეკულაციები დაიწყებოდა, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. მან ვერ მოიგო და ახლოსაც კი ვერ მივიდა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ – ახლო აღმოსავლეთის მარაგთან და იგი ამერიკისა და მისი პარტნიორების ხელში გადავიდა. ამიტომ ფსონები ადრეულ ეტაპზე არქტიკაზე დადო. ჯერ კიდევ 2001 წელს, პირველად გაუგზავნა გაეროს კომისიას საკუთარი ხედვები იმასთან დაკავშირებით, რომ არქტიკული შელფი რუსეთის ტერიტორიაა, რაზეც მაშინ გაეროსგან უარი მიიღო. შემდეგ, 2007 წელს, მან არქტიკაში ჩაატარა ექსპედიცია, რომლის საფუძველზეც თითქოს დადო მეცნიერული დასაბუთება, რომ მისი კონტინენტური შელფი გრძელდებოდა ჩრდილოეთ პოლუსამდე, რაც მას საშუალებას აძლევდა უფრო მეტად ესარგებლა ბუნებრივი რესურსებით, ვიდრე სხვა ნებისმიერ სახელმწიფოს, მათ შორის – შეერთებულ შტატებს, რომელიც ასევე მოიპოვებდა და ცდილობდა ნავთობის მოპოვების გაზრდას არქტიკულ რეგიონში.

საგულისხმოა, რომ რუსეთი ასეთ დროს სარგებლობდა ნორვეგიის მხარდაჭერითაც, რომელსაც საშუალებას აძლევდა ამ რუსულ სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში ეწარმოებინა ბუნებრივი რესურსების რეწვა, რადგან თვითონ ტექნოლოგიების ნაკლებობას განიცდიდა. რასაც წერტილი დაუსვა რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ და შეჭრამ უკრაინაში. ნორვეგიაც და რეგიონის სხვა ქვეყნებიც მაგალითად, შვედეთი და ფინეთი, რომლებიც ასევე არქტიკულ ქვეყნებს წარმოადგენენ, მკვეთრად დაუპირისპირდნენ რუსეთის პოზიციას, რაც არქტიკასთან მიმართებაშიც აისახა.

სწორედ 2007 წლიდან, მიუნჰენის იმ ცნობილი კონფერენციის შემდეგ, სადაც პუტინის მიერ გაცხადებულ იქნა საკუთარი ამბიციების შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევა იყო მსოფლიოს გეოპოლიტიკური კატასტროფა, რუსეთმა პირველი ნახტომი სწირედ არქტიკაში გააკეთა და პირდაპირ, ასე სიმბოლურად, ჩრდილოეთ პოლუსის ქვეშ კონტინენტურ შელფზე რუსული დროშაც კი დაამაგრა<sup>1</sup>, რათა ეთქვა და თავისი პრეტენზიები გაემყარებინა, რომ აქვს ამბიციები არქტიკის ფლობასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ 2019 წელს გაეროს კომისია გაჰყვა რომელიმე

<sup>1</sup> Parfitt, T., Russia plants flag on North Pole seabed, World news, 2007, <https://www.theguardian.com/world/2007/aug/02/russia.arctic>, [15.02.2025];



ექსპედიციას და მივიდნენ შუალედურ დასკვნამდე, რომ ნამდვილად არქტიკის დიდი ნაწილი ეკუთვნის რუსეთს. მაგრამ მას შემდეგ ეს თემა აღარც წამოწეულა.

თუ ქვეყნის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ პევეკს დავაკვრდებით, აღმოვაჩენთ, რომ ოთხმოცდაათიან წლებში იქ მოსახლეობის რეკორდულ გადინებას ჰქონდა ადგილი. ამჟამად ქალაქში მხოლოდ 4200 ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, 2019 წლიდან აქ მუდმივად დგას უნიკალური გემი, რომლის ღირებულება მთელი თავისი ინფრასტრუქტურით 30 მილიარდი რუბლია. რა არის ეს? ეს გახლავთ მცურავი ატომური ელექტროსადგური „აკადემიკოსი ლომონოსოვი“<sup>1</sup>, რომლის შიგნით არის რეაქტორი, დაახლოებით ისეთივე, როგორც ყველა თანამედროვე ყინულმჭრელზე და სწორედ ის გამოიმუშავებს ელექტროენერგიასა და სითბოს, რაც საკმარისია 100 000-იანი ქალაქის მაცხოვრებლებისთვის. ლოგიკურად ისმის კითხვა – რა საჭიროა იგი იქ, რუსეთის ქვეყნის დასალიერში? ჯერ ერთი, აღნიშნულ უნდა იქნას, რომ ეს არ იქნება მხოლოდ ერთი ასეთი მცურავი ელექტროსადგური. კომპანია „როსატომი“ კიდევ შვიდი ასეთის აშენებას ჰპირდება და მეორე, სახელმწიფო კორპორაცია ავითარებს სხვა დაბალი სიმძლავრის ხმელეთზე ბაზირებულ ატომურ ელექტროსადგურებს. რისთვის? იმიტომ რომ მოიპოვონ და ამოიღონ რესურსები შორეულ ჩრდილოეთში. იმიტომ ხალხია საჭირო ახალი რესურსების მოსაპოვებლად, შესანახად, გასატანად და გასაყიდად. შესაბამისად, მათ სჭირდებათ საცხოვრებელიც და ელექტროენერგიაც. სწორედ ასეთი წერტილოვანი მიზნებისთვის შენდება დაბალი სიმძლავრის ელექტროსადგურები ხმელეთსა და წყალზე, რამდენადაც აღარავინ აპირებს კოლოსალური თანხების ხარჯვას კაპიტალური ინფრასტრუქტურის ასაშენებლად, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა კავშირის დროს, რამეთუ საბჭოთა ცივილიზაციის ასეთი მიტოვებული კუნძულები აქ ისედაც მრავლად.

## 2.1. იამალის ნახევარკუნძლი, დასავლეთის სანქციები და რუსული ბუნებრივი აირი ევროპაში

რუსეთის ნაწილში მდებარე იამალის ნახევარკუნძულს თუ დავაკვირდებით, სადაც ნოვატეკის ბუნებრივი აირის საბადოა, ვნახავთ, რომ ზამთრის ყველაზე ცივ და მძიმე თვეებშიც კი, როდესაც ადგილობრივი წყლები დაფარულია არქტიკის სქელი ყინულის ფენით, გემები მაინც განაგრძობენ მოძრაობას. დიახ, სწორედ აქედან ბირთვული ყინულმჭრელების თანხლებითა თუ მათ გარეშე, აქტიურად გააქვთ თხევადი გაზი უზარმაზარი ყინულის ტანკერებით ევროპის მიმართულებით.

საქმე იმასშია, რომ დასავლეთმა კი დაუწესა რუსეთს სანქციები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსულ რესურსებზე თქვა უარი. მეტიც, ამ რესურსებს მხარეები ერთადაც კი მოიპოვებენ. არც უკრაინის, ან უახლოეს პერიოდში ვინმეს გამო, რესურსების მიმართულებით უარს არავინ იტყვის. საგულისხმოა, რომ როგორც კი ნოვატეკის საბადო ამუშავდა, ფრანგულმა ნავთობკომპანიამ – „ტოტალენერჯიმ“<sup>2</sup> 4 მილიარდ დოლარად საბადოს თითქმის 20% შეიძინა<sup>3</sup> და შესაბამისი ინვესტიციები განახორციელა. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისა და ხმამაღალი სანქციების დაწესების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, გაყიდა თუ არა „ტოტალენერჯიმ“ თავისი 20%-იანი წილი? რა თქმა უნდა – არა<sup>3</sup>. იმიტომ, რომ ინტერესები – უზენაესია!

სანქცია კი ვერ იმუშავებს, თუ თვითონ დასანქცირებული ბიზნესის მფლობელები ევროპული

<sup>1</sup> NTI., Akademik Lomonosov Floating Nuclear Power Plant-Russia, <https://www.nti.org/education-center/facilities/akademik-lomonosov/>, [15.02.2025]

<sup>2</sup> Shiryayevskaya, A., and Bierman S., Total to Buy 4\$ Billion Novatek Stake. Enter Yamal Project, Bloomberg, Business/Deals, 2011; <https://www.bloomberg.com/news/articles/2011-03-02/total-agrees-to-buy-12-of-novatek-enter-yamal-lng-project>, [15.02.2025];

<sup>3</sup> The Total Energy Stays in Russian's Yamal LNG – Source, Reuters, 2022; <https://www.reuters.com/business/energy/totalenergies-stays-russias-yamal-lng-source-2022-12-09/>, [15.02.2025];

კომპანიები არიან. ამიტომ, 2024 წელს ევროპამ რუსეთისგან ბუნებრივი აირის რეკორდული რაოდენობა შეიძინა<sup>1</sup>. საზღვაო რუკაზე იამალის ნახევარკუნძულს თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ თითქმის ყოველი მეორე ტანკერი, რომელიც რუსულ ჩრდილოეთ ფლოტს ეკუთვნის და სხვადასხვა ქვეყნის დროშით დაცურავს, იტვირთება ბუნებრივი აირით და შემდეგ გადის ევროპაში.

ვინ ლიდერობს ამ სფეროში? ანუ ვის შეუძლია ჯერ კიდევ ყინულით დაფარულ ამ საზღვრებში აწარმოოს სავაჭრო მიმოსვლა? ჟურნალ „პოლიტიკოს“ მონაცემებით, ამერიკას ჰყავს 2 ყინულმჭრელი და ექვსის აშენებას აპირებს. კანადას – 18, ხოლო რუსეთს – 51 (ორმოცდაათზე მეტი). ეს გემები საჭიროა რათა ნებისმიერ კლიმატურ პირობებში ტანკერებს ან სხვა საზღვაო ტრანსპორტს გაუსუფთაოს გზა ყინულისგან<sup>2</sup>.

არქტიკისთვის რბოლაში შეერთებული შტატებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია გრენლანდია. გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილება გრენლანდიაზეც აისახება და მის სტრატეგიულ დანიშნულებას იმაზე მეტად ზრდის, ვიდრე ცივი ომის დროს იყო. სამხედრო დაგეგმარების სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ გრენლანდია თავისი სანაპიროთი სრულად გახსნილი იქნება საზღვაო ტრანზიტისთვის. აღსანიშნავია, რომ გრენლანდიაში ტულებში ამერიკელებს ერთი სამხედრო ბაზა უკვე აქვთ, მაგრამ ამ ბაზას სიღრმისეული მოდერნიზება სჭირდება, რომლის შემდეგაც ისევ შეძლებს სტრატეგიული მომდამშენებისა თუ სხვადასხვა განმანდგურებლების მიღებას და ასევე ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის უზრუნველყოფას რეგიონში. პოლარული წრის მიღმა კი შესაძლოა ზუსტად ეს ბაზა გახდეს მთავარი საკოორდინაციო წერტილი.

ალბათ შეერთებული შტატების გრენლანდიისკენ მიმართული მზერაც და საუბრებიც მისი შეერთებული შტატების ქოლგის ქვეშ შეყვანასთან დაკავშირებით, ან თუნდაც ის პროექტი, არქტიკის რეგიონში ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში შეჩერებული ბურღვითი სამუშაოების განახლების შესახებ, რომელიც ტრამპის პირველივე ადმინისტრაციის განკარგულებას მოჰყვა – ამ კონტექსტში უნდა იქნას განხილული.

### 3. არქტიკის უსაფრთხოების არქიტექტურა

რაც შეეხება არქტიკული უსაფრთხოების არქიტექტურას, ეს წარმოადგენს უკიდურესი ჩრდილოეთიდან სამხრეთით გლობალური უსაფრთხოების სფეროში მოვლენების განვითარების შედეგს. რა თქმა უნდა, უდიდეს როლს თამაშობს და მნიშვნელობა აქვს ომს უკრაინაში. მოსკოვის თვალსაზრისით, ბოლო ორი წლის განმავლობაში მათი პოზიციები გაუარესდა როგორც უშუალოდ არქტიკის საბჭოში, ისე თვალსაზრისით არქტიკაში. აქამდეც არქტიკული საბჭოს რვა წევრიდან – 5 შედიოდა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში, თუმცა, რუსეთის აგრესიის დაწყების შემდეგ, არქტიკული საბჭოს ყველა წევრი, გარდა თვითონ რუსეთისა, ამჟამად ნატოს წევრია.

არქტიკის პოტენციური რესურსების რუკას თუ დავაკვირდებით, ნათლად ჩანს, რომ არქტიკის ამერიკული ნაწილი, ანუ ალასკა, თითქმის სრულად ათვისებულია. იგივე სურათია კანადის მხარესაც. სამაგიეროდ, ევროპაში უზარმაზარი საბადოები ჩანს შვედეთისა და ფინეთის მხარეს (იხ. სურათი 1).

<sup>1</sup> Niranjana, A., European imports of liquefied natural gas from Russia at 'record levels', Russian Energy releases data days after Ukraine stopped flows of Russian gas through its pipelines, Guardian, 2025; <https://www.theguardian.com/environment/2025/jan/09/european-imports-of-liquefied-natural-gas-from-russia-at-record-levels>, [15.02.2025];

<sup>2</sup> Rosen Kenneth., A Battle for the Arctic Is Underway. And the U.S. Is Already Behind, Magazine „Politico“ 2022, <https://www.politico.com/news/magazine/2022/12/17/climate-change-arctic-00071169>, [15.02.2025];



სურათი 1. არქტიკის პოტენციური რესურსების რუკა

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მრჩეველის – დერეკ შოლეს განცხადებით, თუ გავისხენებთ, რომ უახლოეს წარსულში ფინეთი (2023 წ) და შვედეთი (2024 წ) ნატოს წევრები გახდნენ, გამოდის, რომ აღმოსავლეთ ფლანდრე, სადაც ზოგადად, რუსული საფრთხე იგრძნობოდა, ფინეთის ნატოში გაწევრიანებით ნატომ მიიღო არქტიკული ტერიტორიების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მის მე-5 მუხლს ამიერიდან პირდაპირ ექვემდებარება, რაც კოლექტიურ დაცვას გულისხმობს. გარდა ამისა, ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანებით, რომლებსაც უდიდესი სამხედრო პოტენციალი აქვთ და რომელთა არმიებსაც რთულ პოლარულ ზონაში ეფექტურად მოქმედების უნარი და საშუალება გააჩნიათ, ასუსტებს რუსეთის პოზიციებს ამ საბრძოლო მოქმედებათა თეატრში. განსაკუთრებით პოლარული წრის ევროპულ ნაწილში<sup>1</sup>.

### 3.1. ჩინეთის ინტერესები არქტიკის მიმართ და „დათვისა“ და „დრაკონის“ დაპირისპირება

რესურსებით ასეთი მდიდარი რეგიონი, რომელსაც თან პოტენციალიც აქვს რომ გახდეს ერთ-ერთი ყველაზე ოპტიმალური საზღვაო მარშრუტი, ბუნებრივია, ჩინეთის ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა. ამიტომ, ჩინეთი – ეკონომიკური ექსპანსიით, ნახევარგამტარებზე მონოპოლიით, სხვადასხვა უკონტროლო კრედიტების გაცემითა თუ ინვესტიციებით, რომელსაც პოლიტიკური ვალდებულებები მოჰყვება – ცდილობს დაისაკუთროს თავისი წილი მსოფლიოში, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ წარმოადგენს არქტიკულ სახელმწიფოს. ჩინეთის ყველაზე ჩრდილოეთ წერტილი 1440 კმ-ით არის დაშორებული პოლარული წრისგან, თუმცა, გეოგრაფიასაც არ აქვს მნიშვნელობა როდესაც შენი პოტენციალი და ამბიციები რესურსების მოპოვების საშუალებას იძლევა. ამიტომ პაკინში აც-

<sup>1</sup> Wieslander, A., How Sweden and Finland's membership in NATO affects the High North, Atlantic Council, 2024, <https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/issue-brief/how-sweden-and-finlands-membership-in-nato-affects-the-high-north/>, [15.02.2025]

ხადებენ, რომ ჩინეთი არქტიკასთან მყოფი სახელმწიფოა და ვიდრე მსოფლიო ჩართულია რუსეთის აგრესიული პოლიტიკის განეიტრალებში, ჩინეთი ცდილობს მისთვის ჩვეული ხერხებითა თუ საშუალებებით, ანუ რეგიონში ინვესტიციებითა და კრედიტებით შეღწევას, ისე, როგორც აფრიკულ ქვეყნებში. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩრდილოეთის ქვეყნები არც აფრიკული ქვეყნები არიან და არც წინდახედულება აკლიათ. შესაბამისად, საკმაოდ ცივი გონებით იღებენ გადაწყვეტილებებს. ამიტომ, ძნელია მათი ფულითა და კრედიტებით მოხიზვლა. კანადამ მაგალითად, 150 მილიონიანი შეთავაზება დაუბლოკა ჩინეთს, რომლის საშუალებითაც ეს უკანასკნელი ოქროს საბადოს წილს მიიღებდა. მიზეზი ის იყო, რომ ეკონომიკურ ინტერესებთან ერთად, შესაძლოა, სამხედრო ინტერესებიც გაჩენილიყო. გრენლანდიამ კი უარი უთხრა მას ძველი ამერიკული ინფრასტრუქტურის მიყიდვაზე. ამიტომ, ისევ რუსეთის მეშვეობით ცდილობენ არქტიკაზე შეღწევას. აქვე უნდა ითქვას, რომ არქტიკას – მსოფლიო ოკეანეთის დანარჩენი ნაწილებისგან განსხვავებით, აქვს კიდევ ერთი ფუნდამენტალური უპირატესობა ჩინეთისთვის – შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების არ ყოფნა, რომლებიც თითქმის არ ჩნდებიან იქ.

საგულისხმოა, რომ ჩინეთს იამალის საბადოზე აქვს თავისი წილები. ჩინეთის ეროვნული ბუნებრივი აირის კორპორაციისა და აბრეშუმის გზის ფონდის ერთობლივი ჯამური წილი შეადგენს 30%-ს. ჩინური ეროვნული შეღფის ნავთობის კორპორაცია და ჩინური ეროვნული ბუნებრივი აირისა და ნავთობის საძიებო/სადაზვერვო კომპანია კი იამალის ნახევარ კუნძულზე მეორე უმსხვილესი პროექტის – Arctic LNG-ის („არქტიკ ელ-ენ-ჯი“-ს) 20%-ს ფლობს. ამ პროექტის უზარმაზარი უპირატესობა ისაა, რომ პირდაპირ ამ საბადოდან ჩინეთის მიმართულებით იგეგმება მილსადენის გაყვანა „ციმბირის ძალა-2“<sup>1</sup>. ამდენად, ჩინეთი, არქტიკის რბოლას უყურებს გრძელვადიანი პერსპექტივიდან<sup>2</sup> და მიუხედავად იმისა, რომ იგი არ წარმოადგენს არქტიკულ სახელმწიფოს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს – „არქტიკული აბრეშუმის გზას“<sup>3</sup> აწარმოებს არქტიკის გავლით, რომელსაც მოჰყვა მისი არქტიკული ტექნოლოგიების განვითარებაც – რომელიც საჭიროა არქტიკაში გემმავლობისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვებისთვის. საუბარია ყინულგამძლე გემებზე, ყინულმჭრელებსა და პოლარულ ღრმა წყლების შემსწავლელ გემებზე, სადაც ასევე შედის თვალთვალისა და ნავიგაციის ტექნოლოგიები, პოლარული უპილოტო ამფიბიები, მცურავი ნავთობმომპოვებელი პლატფორმები და ა.შ.<sup>4</sup>. თუმცა, პეკინის ასეთი ინტერესებით არც რუსეთია აღფრთოვანებული<sup>5</sup>. თანამშრომლობა და მეგობრობა კარგია, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ბუნებრივ რესურსებს – უზენაესი ხდება უკვე ინტერესები. იმდენად, რამდენადაც რუსეთი წარმოადგენს მსოფლიოს ყველაზე არქტიკულ სახელმწიფოს, რომლის არქტიკულ ტერიტორიებზე მოდის მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 20%, ექსპორტზე – 20%, ნავთობმომპოვებიდან – 20% და ბუნებრივი აირის მოპოვებაზე – 80%<sup>6</sup>. ცხადია, რუსები ამ სფეროს განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებენ. აქედან გამომდინარე, „დათვისა“ და „დრაკონის“ ალიანსის მიუხედავად, სწორედ არქტიკა წარმოადგენს მათ შორის დაპირისპირების მთავარ არენას. ამიტომ, როდესაც ხედავენ ჩინეთის სულ უფრო მზარდ ამბიციურ გეგმებს უკიდურეს ჩრდილოეთთან მიმართებაში, მათ აქვთ ყველა საფუძველი იფიქრონ, რომ ისინი შესაძლოა განხორციელებულ იქნას მათ ხარჯზე. შესაბამისად, ჩინეთს არქტიკაში რუსეთი არ ანიჭებს პრივილეგიებს. მათ შორის, არც

<sup>1</sup> Papachristou, L., Russia and China to sign Power of Siberia-2 gas Pipeline contract in near future, says Novak, Reuters, 2024, <https://www.reuters.com/business/energy/russia-china-sign-power-siberia-2-gas-pipeline-contract-in-near-future-says-2024-05-17/>, [15.02.2025];

It is noteworthy that during the Cold War, the Americans developed the SOSUS hydroacoustic system for these areas to detect Soviet submarines operating in the Atlantic Ocean. Although, as they say, this system is no longer relevant for modern submarines, but, in other words, given the geography, these waters between Greenland, Iceland and Great Britain represent the only route into the Atlantic for Russian ships based in the north (see Fig. 2).



Figure 2.

<sup>3</sup> See footnote 10;

<sup>4</sup> Paton, Nick Walsh., Satellite images show huge Russian military buildup in the Arctic, CNN, 2021; <https://edition.cnn.com/2021/04/05/europe/russia-arctic-nato-military-intl-cmd/index.html>, [15.02.2025];



In addition, the Arctic represents the shortest route for intercontinental ballistic missiles to reach their targets (see Figure 3).



Figure 2.

## 4. Increased threat and balance of power in the region

There is a danger that the Russians or the Chinese, relying on their superior equipment and technology, will begin to lay claims and rights to the Arctic Ocean or parts of it that do not belong to anyone under international law. According to Admiral Dale Coulton of the United States Navy, “The Arctic basin is full of competition, in addition to control of sea communications, the mineral resources in this region are estimated at about \$ 1 trillion. The United States cannot sit idly by while Russia creates a nine-dash line of territorial claims in the Arctic region, just as China is trying to do in the Pacific Ocean.”<sup>1</sup>

This is exactly what democratic countries are trying to exploit, because everyone knows that these natural resources are mainly concentrated in the hands of Russia and are used as weapons, as one of the prerequisites for hybrid war. Therefore, the world is trying to find a certain algorithm to counter all this, so that the balance of power is not disturbed there. Therefore, in response to the increased threats from Russia, the North Atlantic Alliance has planned to increase military strength in the Arctic region. It is important to note that military exercises in the region have recently become more frequent. In March 2024, the Alliance held a large-scale military exercise called „Northern Response 2024”<sup>2</sup>, involving 20,000 troops from 13 countries, including 4,000 Finnish soldiers, who took part for the first time in a large-scale NATO exercise held on the territories of the Arctic Council member states of Norway, Sweden and Finland.

The activation of Arctic issue from West, is also related to the fact that in addition to Russia, such a major player as China has recently expressed interest in the Arctic, trying to occupy the space vacated as a result of Russia’s economic difficulties and replace the European and American countries that have invested in the Russian economy and modernized it. Now the North is trying to fill this gap, and therefore countries are no longer relying on diplomacy, and the Arctic region is a place for demonstrating this growing military power. The active militarization of the Arctic, which continues even now, including with the involvement of China, which has launched its own project – the “Arctic Silk Road”, poses a threat to almost all states located in the region. China has already built icebreakers and developed certain techniques to explore this region, which naturally causes growing concern for the American administration, and given Trump’s current policy, it is trying to take serious steps in the Arctic region to contain it there as well.

<sup>1</sup> Article: Marine Corps Joint Tactical Vehicles with Combat Logistics Battalion 6, Combat Logistics Regiment 2, 2nd Marine Logistics Group, staged at a pier offload in preparation for exercise Nordic Response 24 in Talvik, Norway, 2024, [rb.gy/s176nc](https://rb.gy/s176nc), [15.02.2025];

<sup>2</sup> Nanner, Jari., Newly enlarged NATO starts drill in Finland, Norway and Sweden in defense of its Nordic turf, World News, 2024, <https://apnews.com/article/nato-military-drill-nordics-finland-norway-sweden-87ff05e1bb24f77dc9d5b5bf09c709b0>, [15.02.2025];

Russia is also trying to respond by holding military exercises and demonstrating its own combat capabilities. However, there is already being open talk that the Kremlin is forced to mobilize equipment from all parts of the federation, as the war in Ukraine is absorbing its military equipment and potential, which Russia now needs in full to deploy in Ukraine. The Kremlin's border has never been more vulnerable in decades, and the Arctic is one of the theaters of military action that the world is now closely watching<sup>1</sup>. It is noteworthy that, along with Russia, China is also participating in these exercises, which also recognizes Russia's strategic problems. In the Chinese academic journal "Russian Studies", two Chinese scholars Yue Peng and Guo Zhenshen note that "the initial balance in the Arctic has been disturbed and the scales in the Arctic region have tilted in favor of Western countries."<sup>2</sup> Russia is conducting exercises mainly in the Barents Sea and in Siberian waters. While the West – in this case NATO – borders Norway. These military exercises are very intensive and involve both land and naval components, as well as the air force.

Perhaps before the Russo-Ukrainian war, Russia was indeed leading the race for the Arctic, with a fairly large advantage, but it is unknown to what extent this difference is maintained now. Russia is now forced and appears to be trying to soften its Arctic policy, as it lacks the ability to confront the West on all fronts. However, it must be said that this is the only theatre of naval military operations where Russia, with the world's largest icebreaker fleet – 51 ships against the rest of the world's 48, to its already developed military infrastructure, personnel accustomed to the climate, proximity to its own territory and the technology for building nuclear icebreakers – which only Russia has in the world, most likely still remains the most powerful player in the Arctic, and this is one of the rare regions where it retains its primacy, at least at this stage.

Of course, this circumstance is causing growing concern in the US administration, and Trump's current policy is aimed at taking serious steps in the Arctic region to contain Russia there as well, so as not to upset the balance of power and not give Russia an opportunity to take advantage of the Arctic while the world is focused on preventing Russian expansion in Europe and containing this certain economic expansion by China.

## Conclusion

The history of the Arctic once again emphasizes that humanity has a need and desire to conquer foreign, distant, and most importantly, neutral lands. The ambitions of imperialist countries have no boundaries. This is a predatory state policy that is ready to extract resources where it was previously unthinkable.

If we take the same Russia, despite numerous problems and challenges, the country is willing to invest billions of dollars in the development of Arctic infrastructure, as it hopes that the Arctic will provide the Kremlin's autocratic regime with financial revenues and oligarchic rule for decades to come.

Yet despite the slow pace of change, this does not mean that the current status quo will be maintained forever. The Chinese are developing their own polar research sector, the Americans are gradually recognizing the importance of the North, and the consequences of the war in Ukraine could have serious implications for the Arctic. And if they lead to a reorganization of the Russian governance structure, interest in the Northern Route could grow rapidly. It should also be noted that in addition to the Northern Route, there is a Northwest Approach around the northern tip of North America and a Transpolar Route that goes directly from Alaska to Europe via the North Pole. But their potential for use is even more complex than that of the Northern Sea Route. Thus, although the pace of change is not so great, processes in the region are

1 Article: China and Russia Have Chilling plans for the Arctic, The two autocracies dream of creating a "polar silk road" The Economist, 2024, [rb.gy/jd4ksq](https://www.economist.com/asia/2024/02/15/china-and-russia-have-chilling-plans-for-the-arctic), [15.02.2025];

2 See footnote 18;

developing simultaneously with the melting of ice, and the parties are already preparing for increasing competition for Arctic resources, trade routes, and geopolitical dominance in the Arctic.

## References

1. Article: Marine Corps Joint Tactical Vehicles with Combat Logistics Battalion 6, Combat Logistics Regiment 2, 2nd Marine logistics Group, staged at a pier offload in preparation for exercise Nordic Response 24 in Talvik, Norway, 2024, [rb.gy/s176nc](#), [15.02.2025];
2. Article: China and Russia Have Chilling plans for the Arctic, The two autocracies dream of creating a “polar silk road” The Economist, 2024, [rb.gy/jd4ksq](#), [15.02.2025];
3. Alvarez, Jose., Strategic Implication of the U.S. Extended Continental Shelf, International Law Studies – Volume 61, Role of International Law and an Evolving Ocean, 2024, Law; Pdf;
4. Brimmer, Esther., Changing Geopolitics in the Arctic, 2023, <https://www.cfr.org/report/changing-geopolitics-arctic-0>, [15.02.2025];
5. Hopwood, Phillips., Don’t overestimate China’s ambitions in the Arctic, The Strategist, 2024, [rb.gy/bfkn29](#), [15.02.2025];
6. Kenneth, Rosen., A Battle for the Arctic Is Underway. And the U.S. Is Already Behind, Magazine „Politico“ 2022, [rb.gy/940wh2](#), [15.02.2025];
7. Lindsey, Rebecca., Scott Michon., Climate Change: Arctic Sea Ice Summer minimum, 2022, [rb.gy/td4ygt](#) [Last seen.15.02.2025];
8. Lamazhapov, Rrdem., Stensdal, Iselin., and Heggelund, Gorild., China’s Polar Silk Road: Long Game or Failed Strategy? The Arctic Institute, 2023, [rb.gy/nwyjzr](#), [15.02.2025];
9. Narkano, Jane., and Li, William., China Launches Polar Silk Road, Energy Fact & Opinion, 2018, <https://www.csis.org/analysis/china-launches-polar-silk-road>, [15.02.2025];
10. Nanner, Jari., Newly enlarged NATO starts drill in Finland, Norway and Sweden in defense of its Nordic turf, World News, 2024, [rb.gy/3i5yht](#), [15.02.2025];
11. NTI., Akademik Lomonosov Floating Nuclear Power Plant-Russia, <https://www.nti.org/education-center/facilities/akademik-lomonosov/>, [15.02.2025];
12. Niranjana, Ajit., European imports of liquefied natural gas from Russia at ‘record levels’, Russian Energy releases data days after Ukraine stopped flows of Russian gas through its pipelines, Guardian, 2025; [rb.gy/vhythk](#), [15.02.2025];
13. Papachristou, Lucy., Russia and China to sign Power of Sibiria-2 gas Pipeline contract in near future, says Novak, Reuters, 2024, [rb.gy/jptg08/](#), [15.02.2025];
14. Parfitt, Tom., Russia plants flag on North Pole seabed, World news, 2007, <https://www.theguardian.com/world/2007/aug/02/russia.arctic>, [15.02.2025];
15. Paton, Nick Walsh., Satellite images show huge Russian military buildup in the Arctic, CNN, 2021; [rb.gy/fukkd2](#), [15.02.2025];
16. Shiryayevskaya, Anna., and Bierman, Stephen., Total to Buy 4\$ Billion Novatek Stake. Enter Yamal Project, Bloomberg, Business/Deals, 2011; [rb.gy/oigqkl](#), [15.02.2025];
17. The Outer Limits of the U.S. Extended Continental Shelf: Background and Issues for Congress, 2024, Pdf, Congressional Research Service;
18. The Outer Limits of the Extended. Continental Shelf of The United States of America,
19. U.S. Extended Continental Shelf Project, Published by the U.S. Department of State, Washington, 2023, Pdf
20. The Total Energy Stays in Russian’s Yamal LNG – Source, Reuters, 2022; <https://www.reuters.com/business/energy/totalenergies-stays-russias-yamal-lng-source-2022-12-09/>, [15.02.2025];
21. Todorov, Valentin., How did Russians use the US \$7.2 million check used to pay for Russian Alaska in 1867? How did they get the actual money from the US?, [rb.gy/n22t6s](#), [15.02.2025];
22. United Nations Convention on the Law of the Sea., Decision 98/392/EC on the conclusion by the European Community of the United Nations Convention on the Law of the Sea and the Agreement relating to its implementation of Part XI, 1994, last update 2018, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=legisum:4337127>, [15.02.2025];
23. Vardzelashvili, Dimitri., Maritime Dictionary, Tbilisi, Publishing House “Alaverdi”, 2009;
24. Wieslander, Anna., How Sweden and Finland’s membership in NATO affects the High North, Atlantic Council, 2024, <https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/issue-brief/how-sweden-and-finlands-membership-in-nato-affects-the-high-north/>, [15.02.2025];

**თამარა ტარტარაშვილი**  
ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუნიის  
ასოცირებული პროფესორი

**თორნიკე ლაბაძე**  
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

## **ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური გავლენა, ინსტიტუციური გამოწვევები და პოლიტიკური რეკომენდაციები**

### **ანოტაცია**

ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი (AI) ტრანსფორმაციული ძალებია, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ და მმართველობით ლანდშაფტზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ტექნოლოგიური პროგრესის გზით ცდილობს გააძლიეროს ეროვნული კონკურენტუნარიანობა, კვლავ რჩება სისტემური გამოწვევები ციფრულ ინფრასტრუქტურასთან, მარეგულირებელ ჩარჩოებთან და ერთიანი ეროვნული სტრატეგიის არარსებობასთან დაკავშირებით. ეს დაბრკოლებები ხელს უშლის სრულფასოვან ციფრულ ტრანსფორმაციას და აფერხებს ეკონომიკურ ზრდას.

წინამდებარე კვლევა აანალიზებს ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას საქართველოს კერძო და საჯარო სექტორებში, გამოავლენს ძირითად ინსტიტუციურ ბარიერებს და გვთავაზობს რეკომენდაციებს მდგრადი განვითარებისათვის. კვლევაში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მიდგომა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები მთავრობისა და ბიზნესის ექსპერტებთან, რასაც დაემატა ღია წყაროების ანალიზი.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ AI-ის ინტეგრაცია საქართველოში საწყის, ფრაგმენტულ, მაგრამ პერსპექტიულ ეტაპზეა. ძირითადი ბარიერებია:

- ერთიანი სტრატეგიული და სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა, რაც აფერხებს ინვესტიციებს და ინოვაციების სწრაფ გავრცელებას.
- მნიშვნელოვანი რეგიონული უთანასწორობა ციფრულ ხელმისაწვდომობაში, რაც ამძაფრებს ეკონომიკურ დიფერენციაციას და ზღუდავს ინკლუზიურ ზრდას.
- მონაცემთა მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები, რაც ზრდის ოპერაციულ რისკებსა და გავლენას ახდენს ბიზნესის საიმედოობაზე.

ნაშრომის დასკვნითი ნაწილი მიუთითებს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი, ინკლუზიური ეროვნული ციფრული სტრატეგიის შემუშავებას. ასეთმა სტრატეგიამ პრიორიტეტად უნდა აქციოს კრიტიკული ინვესტიციები ციფრულ ინფრასტრუქტურაში, ხელი შეუწყოს კვლევებსა და განვითარებას, შექმნას მტკიცე მარეგულირებელი და ეთიკური ჩარჩოები და გააღრმავოს საჯარო-კერძო პარტნიორობა. უმნიშვნელოვანესია, რომ მან კონკრეტულად მიმართოს რეგიონულ ციფრულ უთანასწორობას, რათა უზრუნველყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა და მაქსიმალურად გაზარდოს ეკონომიკური სარგებელი ქვეყნის მასშტაბით. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს AI-ის სრული პოტენციალის რეალიზებას მშპ-ს ზრდის, საჯარო სექტორის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების კუთხით, რაც საქართველოს მოამზადებს მომავალი გამოწვევებისთვის.



**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, ციფრული ტრანსფორმაცია, ეკონომიკური ზრდა, ინოვაცია, ციფრული სტრატეგია, საქართველო, ინსტიტუციური ბარიერები, მარეგულირებელი ჩარჩოები.

## ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური გავლენა, ინსტიტუციური გამოწვევები და პოლიტიკური რეკომენდაციები

### შესავალი

ციფრული ტექნოლოგიების დინამიკური განვითარება და ხელოვნური ინტელექტის (AI) გლობალური ინტეგრაცია ფუნდამენტურად ცვლის ეკონომიკურ, სოციალურ და მმართველობით სისტემებს მთელ მსოფლიოში. AI ფართოდ არის აღიარებული, როგორც კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის აუცილებელი მექანიზმი, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. საქართველო, როგორც განვითარებადი და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყანა, რომელიც ევროკავშირისკენ ისწრაფვის, თანდათან ერთვება ამ გლობალურ ციფრულ ტრანსფორმაციაში. ქვეყანაში იზრდება ციფრული სერვისების გამოყენება და ხორციელდება პირველადი მცდელობები AI ელემენტების დასანერგად, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ეფექტურობის ასამაღლებლად.

ციფრული მმართველობის მესამე ტალღა, რომელიც ხასიათდება მოწინავე ციფრული ინსტრუმენტებითა და AI-ის ინტეგრაციით, უკვე ცვლის ინსტიტუციურ არქიტექტურას გლობალურად, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საჯარო სერვისების ეფექტურობას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეს პროცესები საწყის ეტაპზეა, ახალი ინიციატივები ქმნის საფუძველს მნიშვნელოვანი პოტენციური მაკროეკონომიკური სარგებლისთვის. თუმცა, ამ პერსპექტიულ ტენდენციას თან ახლავს მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და სოციალურ-პოლიტიკური დაბრკოლებები. სხვა განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებლობა ხშირად ორგანიზაციული, კულტურული და ლიდერობის ნაკლოვანებების, აგრეთვე მოუმწიფებელი მარეგულირებელი ჩარჩოებისა და სუსტი ინოვაციური ეკოსისტემების შედეგია, რაც აფერხებს ინვესტიციებს. ეს ფართოდ გავრცელებული გამოწვევები ხელს უშლის AI-ის დანერგვას და მდგრად ეკონომიკურ ღირებულებას, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე.

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს უპასუხოს შემდეგ ძირითად კვლევით კითხვებს:

- რა არის ძირითადი ინსტიტუციური და სოციალურ-პოლიტიკური ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ხელოვნური ინტელექტის და ციფრული ტექნოლოგიების ეფექტურ ინტეგრაციას საქართველოს კერძო და საჯარო სექტორებში?
- როგორ მოქმედებს ეს იდენტიფიცირებული ბარიერები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და ეროვნულ კონკურენტუნარიანობაზე?

**კვლევითი ხარვეზი:** მიუხედავად იმისა, რომ დამკვიდრებული თეორიები, როგორიცაა ინოვაციების დიფუზიის თეორია (როჯერსი, 2003) და ინსტიტუციური თეორია (დიმაჯიო და პაუელი, 1983), განმარტავენ ტექნოლოგიურ დანერგვას, შეზღუდულია ემპირიული კვლევა, რომელიც კონკრეტულად შეეხება AI-ის დანერგვის სტრუქტურულ და ინსტიტუციურ ბარიერებს განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში, მაგალითად, საქართველოში. კვლევის მიზანია ამ კრიტიკული ხარვეზის შევსება, საქართველოს ბიზნეს და საჯარო სექტორებში AI-ის ინტეგრაციაზე მოქმედი ინსტიტუციური და სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების საფუძვლიანი გამოკვლევით. კვლე-

ვაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდოლოგია, კერძოდ, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები ინდუსტრიის ექსპერტებთან, რათა უზრუნველყოს როგორც თეორიული წვლილი, ისე პრაქტიკულ პოლიტიკური რეკომენდაციები მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და სრულფასოვანი ციფრული ტრანსფორმაციისთვის.

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

კვლევა ეყრდნობა ორ ძირითად თეორიულ ჩარჩოს: ინოვაციების დიფუზიის თეორიას (DOI) და ინსტიტუციურ თეორიას. ეს ურთიერთშემავსებელი თეორიები შესაძლებელს ხდის ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესების მრავალმხრივ ანალიზს, რომელიც მოიცავს როგორც ინოვაციების დანერგვის დინამიკას, ისე ასეთი დანერგვის კონტექსტურ და ორგანიზაციულ ბარიერებს.

### 1.1. ინოვაციების დიფუზიის თეორია (DOI)

ინოვაციების დიფუზიის თეორია (DOI), რომელიც ევრეტ როჯერსმა შეიმუშავა (როჯერსი, 2003), განმარტავს, თუ როგორ ვრცელდება და ინერგება ახალი იდეები, პრაქტიკები ან ტექნოლოგიები (ამ კვლევაში, AI და ციფრული ტექნოლოგიები) სოციალურ სისტემაში. DOI-ის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დანერგვის სიჩქარე და მასშტაბი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები თავად ინოვაციას. დანერგვაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებია: აღიქმა თუ არა ინოვაცია იმასთან შედარებით უკეთესად, რასაც ის ანაცვლებს (შედარებითი უპირატესობა); მისი თანხვედრა არსებულ ღირებულებებთან და საჭიროებებთან (თავსებადობა); რამდენად რთულია მისი გაგება და გამოყენება (კომპლექსურობა); შესაძლებელია თუ არა მისი შეზღუდული სახით გამოცდა (გამოცდა); და მისი შედეგების სხვებისთვის ხილვადობა (დაკვირვებადობა). DOI ხშირად გამოიყენება ტექნოლოგიური დანერგვის მზაობის შესაფასებლად და ბარიერების გამოსავლენად განვითარებად კონტექსტებში.

**კვლევის აქტუალობა:** DOI უზრუნველყოფს კრიტიკულ ჩარჩოს საქართველოში AI-ის დანერგვისა და დიფუზიის პროცესის გასაანალიზებლად, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს ტექნოლოგიური პროგრესის ეკონომიკურ შედეგებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინოვაციის აღქმული კომპლექსურობა და მისი თავსებადობა არსებულ სისტემებთან, რადგან ეს ფაქტორები ხშირად წარმოადგენენ ინსტიტუციური ბარიერების ძირითად წყაროს განვითარებად ეკონომიკაში, როგორიცაა საქართველო.

### 1.2. ინსტიტუციური თეორია

ინსტიტუციური თეორია, განსაკუთრებით ორგანიზაციული ინსტიტუციონალიზმის ასპექტები (დიმაჯიო და პაუელი, 1983), ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ ეგუებიან ორგანიზაციები გარე წნეხს, რათა მოიპოვონ ლეგიტიმაცია და სტაბილურობა, და არა მხოლოდ ეფექტურობა. ორგანიზაციები ხშირად იღებენ პრაქტიკებს და სტრუქტურებს, რომლებიც ფართოდ არის მიღებული ან მოსალოდნელი მათ გარემოში, რათა უზრუნველყონ გადარჩენა და წარმატება. თეორია გამოყოფს იზომორფიზმის სამ ძირითად ტიპს — პროცესს, სადაც ორგანიზაციები უფრო მეტად ემსგავსებიან ერთმანეთს:

- **იძულებითი იზომორფიზმი:** ეს ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაციები იძულებულნი არიან შეიცვალონ ძლიერი სუბიექტების გარე წნეხის ან საზოგადოებრივი მოლოდინების გამო, რაც ხშირად გამოწვეულია კანონებით, რეგულაციებით, პოლიტიკით ან მთავრობის

დადგენილებებით.

- **მიმეტიკური იზომორფიზმი:** ეს ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაციები ბაძავენ წარმატებულ ან ლეგიტიმურ ორგანიზაციებს გაურკვევლობის ან ბუნდოვანების საპასუხოდ. როდესაც ორგანიზაციები გაურკვეველი მიზნების ან ახალი ტექნოლოგიების, მაგალითად, AI-ის წინაშე დგანან, მათ შეუძლიათ მიბაძონ სხვებს რისკის შესამცირებლად ან მსგავსი წარმატების მისაღწევად.
- **ნორმატიული იზომორფიზმი:** ეს გამოწვეულია პროფესიული ჯგუფების, საგანმანათლებლო დაწესებულებების ან ინდუსტრიული ასოციაციების გავლენით, რომლებიც განსაზღვრავენ და ავრცელებენ სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკებსა და კვალიფიკაციებს, რაც უზიძგებს ორგანიზაციებს გარკვეული ნორმებისკენ.

განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში, ინსტიტუციური ბარიერები — როგორიცაა არასრული საკანონმდებლო ჩარჩოები, მარეგულირებელი ვაკუუმი და მთავრობის სისუსტეები — ხშირად აფერხებს AI-ის დანერგვას და ციფრულ ტრანსფორმაციას, რაც იწვევს პირდაპირ ეკონომიკურ დანაკარგებს.

**კვლევის აქტუალობა:** ინსტიტუციური თეორია კრიტიკულად მნიშვნელოვანია სტრუქტურული და კონტექსტური ბარიერების გასაგებად, როგორიცაა სამართლებრივი ვაკუუმი და ორგანიზაციული კონსერვატიზმი, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოში AI-ის დანერგვაზე. ის გვხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ არის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი ხშირად ფრაგმენტული და ნელი, განსაკუთრებით საჯარო სექტორში, სადაც დამკვიდრებული ნორმების დაცვა და ზემოდან მკაფიო დირექტივების არარსებობა (იძულებითი იზომორფიზმი) შეიძლება აფერხებდეს სწრაფ დანერგვას.

### 1.3. ციფრული ტრანსფორმაცია და AI: ინსტიტუციური და მარეგულირებელი ბარიერები

AI-ის გლობალურ ინტეგრაციას ხშირად აფერხებს საერთო ბარიერები, მათ შორის მონაცემთა ხარისხის პრობლემები, ინფრასტრუქტურის შეზღუდვები და კიბერუსაფრთხოების რისკები. საჯარო სექტორში ციფრული ტრანსფორმაცია ხშირად გამოწვეულია იძულებითი იზომორფიზმით და მოითხოვს მკაფიო ეთიკურ სახელმძღვანელო პრინციპებს, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას.

საქართველოში AI-ისა და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა საწყის ეტაპზეა. საჯარო სექტორში დანერგვა ძირითადად ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივებიდან გამომდინარეობს, რაც იძულებითი იზომორფიზმის ტიპური მაგალითია (მაგალითად, „იუსტიციის სახლის“ კონცეფცია). „იუსტიციის სახლის“ მოდელი, საჯარო სერვისების მიწოდების ერთიანი პლატფორმა, არის ნათელი მაგალითი საქართველოში, სადაც ცენტრალიზებული მთავრობის დადგენილებებმა (იძულება) განაპირობა ციფრული პროცესების დანერგვა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში საჯარო სერვისების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა ციფრული განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, წარმოადგენენ იძულებითი და ნორმატიული იზომორფიზმის მცდელობებს, რომლებიც მიზნად ისახავს სტანდარტების დადგენას და ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობას. მიუხედავად ამისა, AI-ის დანერგვა ქართულ საჯარო სექტორში უამრავი ინსტიტუციური ბარიერის წინაშე დგას. მათ შორის არის არასრული სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოები და განუვითარებელი მონაცემთა დაცვისა და ეთიკური სტანდარტები. ეს ვაკუუმი ქმნის ინსტიტუციურ გაურკვევლობას, რაც აფერხებს ინოვაციების ეფექტურ დიფუზიას და მის ლეგიტიმაციას. სახელმწიფო უწყებების კონსერვატიზმი და მათი წინააღმდეგობა ცვლილებების მიმართ ასევე წარმოადგენს ინსტიტუციურ ბარიერს, რადგან ეს ხელს უშლის ინ-

ოვაციის თავსებადობას არსებულ ბიუროკრატიულ სტრუქტურებთან, რაც ხელს უწყობს მნიშვნელოვან ინსტიტუციურ ინერციას, რომელიც ანელებს სრულფასოვან ციფრულ ტრანსფორმაციას.

### მეთოდოლოგია

კვლევა იყენებს თვისებრივ მიდგომას, რაც აუცილებელია საქართველოში AI-ის ინტეგრაციის ამჟამინდელი მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული ინსტიტუციური და სოციალურ-პოლიტიკური ბარიერების სიღრმისეული ანალიზისთვის კერძო და საჯარო სექტორებში. თვისებრივი კვლევა იდეალურია რთული ფენომენების კონტექსტუალური გაგებისთვის. კვლევაში გამოყენებულია საძიებო და აღწერითი კვლევის დიზაინი, რათა ყოვლისმომცველად იყოს წარმოდგენილი ამ სფეროს ასპექტები.

**მონაცემთა შეგროვება:** მონაცემები შეგროვდა ორი ძირითადი მეთოდით:

- **ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები:** ჩატარდა რვა სიღრმისეული ინტერვიუ ამ სფეროს წამყვან ექსპერტებთან. რესპონდენტები შერჩეულ იქნენ მიზნობრივი შერჩევის მეთოდით, რათა უზრუნველყოფილიყო მათი მაღალი კომპეტენცია AI-ისა და ციფრული ტრანსფორმაციის საკითხებში. შერჩევისას გათვალისწინებული იყო მათი ინსტიტუციური და სექტორული წარმომადგენლობა (კერძო სექტორი, საჯარო სექტორი, მარეგულირებელი ორგანოები, აკადემია), რათა მიღებულიყო მრავალმხრივი პერსპექტივა AI-ის ინტეგრაციის ინსტიტუციურ ბარიერებთან დაკავშირებით. ეს ინტერვიუები ფოკუსირებული იყო ისეთ ძირითად თემებზე, როგორიცაა არსებული ციფრული ინფრასტრუქტურა, მარეგულირებელი ხარვეზები, ეროვნული სტრატეგიული ხედვა და AI-ის დანერგვის სოციალურ-ეკონომიკური გავლენა. მაგალითად, ინტერვიუს კითხვები შეეხებოდა რესპონდენტების აღქმას საქართველოში AI-ის დანერგვის ყველაზე დიდ გამოწვევებზე, იმას, თუ როგორ მოქმედებს არსებული რეგულაციები (ან მათი არარსებობა) AI-ში ინვესტიციებზე, რა როლი უნდა ითამაშოს მთავრობამ AI-ის განვითარების ხელშეწყობაში, და კონკრეტულ მაგალითებს წარმატებული ან წარუმატებელი AI ინიციატივების შესახებ, რომლებიც მათ უნახავთ. ოთხი ინტერვიუ ჩატარდა ზეპირად, ონლაინ პლატფორმების (მაგალითად, Zoom) და პირდაპირი სატელეფონო ზარების მეშვეობით, ხოლო ჩაწერილი აუდიო შემდგომში გამიფრული იქნა ანალიზისთვის. ზეპირი ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით 30-40 წუთი იყო. დანარჩენი ოთხი ინტერვიუ ჩატარდა ელექტრონული ფოსტით, სადაც რესპონდენტებმა წერილობით შეავსეს და გამოაგზავნეს პასუხები ნახევრადსტრუქტურირებულ კითხვარზე.
- **ღია წყაროების კონტენტ ანალიზი:** კვლევა ასევე ეყრდნობოდა მეორადი მონაცემების სისტემატურ ანალიზს, მათ შორის ოფიციალურ ანგარიშებს, პოლიტიკურ დოკუმენტებს და აკადემიურ კვლევებს, რომლებიც ეხება საქართველოს ციფრულ პოლიტიკასა და ინოვაციებს.

**მონაცემთა ანალიზი:** ინტერვიუებიდან და ღია წყაროებიდან მიღებული მონაცემები გაანალიზდა კონტენტ ანალიზისა და თემატური ანალიზის მეთოდების გამოყენებით. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა იმ თემებზე, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მარეგულირებელი ჩარჩოების, ინსტიტუციური ინერციის, ლიდერობის, ეთიკური დილემების და სხვა სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების გავლენასთან AI-ის ინტეგრაციაზე.

**ეთიკური მოსაზრებები:** ყველა რესპონდენტმა მიიღო სრული ინფორმაცია კვლევის მიზნებისა და მონაცემთა გამოყენების შესახებ. მონაწილეთა ვინაობა ჩაწერილი იქნა მათი თან-



ხმობით, გარდა ორი რესპონდენტისა, რომლებმაც ანონიმურობა ამჯობინეს. ეთიკური კვლევის სტანდარტების დაცვა, მათ შორის ინფორმირებული თანხმობის მიღება და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, გადამწყვეტია თვისებრივი კვლევებისთვის.

### 3. კვლევის შედეგები და განხილვა

კვლევაში ჩატარებული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს ძირითად ტენდენციებს, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია ხელოვნური ინტელექტის (AI) და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვასთან ქართულ კონტექსტში. შედეგები გაანალიზებულია როჯერსის ინოვაციების დიფუზიის თეორიის (2003) და დიმაჯიოს და პაუელის ინსტიტუციური თეორიის (1983) პრინციპების გამოყენებით, განსაკუთრებული ფოკუსით მათ ეკონომიკურ გავლენაზე.

#### 3.1. მარეგულირებელი გარემო და ინსტიტუციური ვაკუუმი: ინვესტიციების შეფერხება

ინტერვიუებმა ნათლად აჩვენა, რომ AI-ისა და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას ხელს უშლის შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოების და ერთიანი ეროვნული სტრატეგიის არარსებობა. ეს არის საერთო გამოწვევა მრავალი განვითარებადი ეკონომიკისთვის, სადაც კანონმდებლობა ხშირად ჩამორჩება ტექნოლოგიურ პროგრესს. ეს მარეგულირებელი გაურკვევლობა ზრდის საინვესტიციო რისკებს და აფერხებს კერძო სექტორის ინიციატივებს. **დავით ნარმანიამ (სემეკის თავმჯდომარე)** აღნიშნა, რომ „საჯარო სექტორი უფრო კონსერვატორულია და სიფრთხილით ეკიდება... არ არსებობს კონკრეტული რეგულაცია და დანერგვა ნელა მიმდინარეობს“. ეს კონსერვატიზმი, რომელიც ეფუძნება დამკვიდრებულ ბიუროკრატიულ პროცესებს და სიფრთხილეს ახალი, დაურეგულირებელი ტექნოლოგიების მიმართ, იძულებითი იზომორფიზმის კლასიკური არარსებობის მაგალითია (დიმაჯიო და პაუელი, 1983) და ხშირად იწვევს მნიშვნელოვან შეფერხებებს.

**ნინო ტაგანაშვილის (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მონაცემთა დაცვისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი)** თქმით, „ეთიკური და პასუხისმგებლიანი AI-ის გამოყენება საქართველოსთვის განსხვავებული ღირებულებაა, მაგრამ ეს საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული რეგულაციების შექმნას მოითხოვს“. ეს აღმოჩენა ხაზს უსვამს მიმეტიკური იზომორფიზმის პოტენციალს (დიმაჯიო და პაუელი, 1983) — საერთაშორისო პრაქტიკების მიბაძვას, როგორიცაა ევროკომისიის AI აქტი. ერთ-ერთმა ანონიმურმა რესპონდენტმა, წამყვანი ქართული ბანკის AI პროდუქტების დეპარტამენტის უფროსმა, ასევე განაცხადა: „ამჟამად საქართველოში ხელოვნურ ინტელექტზე კანონი არ არსებობს, რაც სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია. ეს მარეგულირებელი ვაკუუმი არა მხოლოდ აფერხებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საწყის AI პროექტებში, არამედ ადგილობრივ ბიზნესსაც უშლის ხელს AI-ზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გაფართოებაში, რადგან მათ ემინიათ მომავალი შესაბამისობის გაურკვევლობის“.

#### 3.2. მულტი-სექტორული თანამშრომლობა და სისტემური ხედვა: ინსტიტუციური კოორდინაციის ეკონომიკური საჭიროება

მარეგულირებელი ხარვეზების გარდა, ინტერვიუებმა გამოავლინა სისტემური ხედვისა და მულტი-სექტორული თანამშრომლობის დეფიციტი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს AI-ის დანერგვას. ეს კრიტიკულია ინსტიტუციური თეორიის (დიმაჯიო და პაუელი, 1983) პერსპექტივიდან, რადგან მდგრადი ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს კოორდინირებულ ძალისხმევას სხვა-

დასხვა ინსტიტუციური აქტორების მხრიდან. კოორდინაციის ნაკლებობა იწვევს რესურსების არაეფექტურ განაწილებას, ინიციატივების დუბლირებას და საერთო ეკონომიკური ზრდის შენელებას. საერთაშორისო ანალიზები ასევე აჩვენებს, რომ ეროვნული AI სტრატეგიების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის, აკადემიისა და კერძო სექტორის კოორდინირებულ მიდგომაზე.

ნარმანიას მოსაზრებაა, რომ სახელმწიფომ წამყვანი როლი უნდა ითამაშოს ტექნოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრაში, ხაზს უსვამს იძულებითი იზომორფიზმის მნიშვნელობას. ტაგანაშვილი ამტკიცებს, რომ სტარტაპებს ხშირად ესაჭიროებათ თანამშრომლობა აკადემიურ წრეებთან, ხაზს უსვამს ნორმატიული იზომორფიზმის პოტენციალს. **ზვიად გაბისონიამ (სამართლის დოქტორი, განათლების სამინისტროს ექსპერტი ციფრული განათლებისა და ხელოვნური ინტელექტის საკითხებში)** აღნიშნა „რეგულაციის არარსებობა, რაც ქმნის დისბალანსს ტექნოლოგიის გამოყენებასა და იურიდიულ პასუხისმგებლობას შორის“, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ინსტიტუციური ვაკუუმის უარყოფითი გავლენა ინოვაციის თავსებადობაზე. **ანონიმურიმა გაყიდვების სექტორის წარმომადგენელმა** ასევე აღნიშნა კოორდინაციის ნაკლებობა: „პრინციპში, ინოვაციებზე მსჯელობენ, მაგრამ ეს საკმაოდ ფრაგმენტულია და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა არ არსებობს“. ეს ფრაგმენტაცია ხშირად ნიშნავს, რომ წარმატებული საპილოტე პროექტები ერთ სამინისტროში ან კომპანიაში ადვილად არ ფართოვდება ან არ ინტეგრირდება უფრო ფართო საჯარო თუ კერძო სექტორში. გარდა ამისა, რამდენიმე რესპონდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ერთიანი ხელშეწყობის ნაკლებობა სერიოზულად აზიანებს საქართველოს რეგიონებს, სადაც ციფრული ინფრასტრუქტურა და AI-ის ცოდნა მნიშვნელოვნად ჩამორჩება დედაქალაქს, რაც ზრდის უფსკრულს ციფრულ შესაძლებლობებსა და ეკონომიკურ პოტენციალზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. **Rooms Hotel-ის ოპერაციების უფროსმა (ანონიმური რესპონდენტი)** მიუთითა „ინფორმაციის ნაკლებობაზე“ ბიზნეს სექტორში და „მეტი დისკუსიისა და საჯაროობის“ საჭიროებაზე, რაც ხაზს უსვამს მიმეტიკური იზომორფიზმის დაბალ დონეს და საერთო უხალისობას ახალი, უცნობი ტექნოლოგიების დანერგვის მიმართ, მკაფიო მაგალითების ან სახელმძღვანელო მითითებების გარეშე.

### 3.3. სერვისების გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანობა: ინოვაციის ეკონომიკური უპირატესობის რეალიზება

გამოწვევების მიუხედავად, ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ციფრული ტექნოლოგიებისა და AI-ის დანერგვას უკვე აქვს დადებითი გავლენა სერვისების ხარისხსა და კონკურენტუნარიანობაზე. ეს მიუთითებს ინოვაციის შედარებითი უპირატესობის რეალიზებაზე. ასეთი დადებითი შედეგები შეესაბამება გლობალურ გამოცდილებას, სადაც AI აუმჯობესებს ოპერაციულ ეფექტურობას და მომხმარებლის კმაყოფილებას სხვადასხვა სექტორში. დავით ნარმანიას მაგალითი სემეკის საპილოტე პროექტის შესახებ, სადაც AI ავტომატურად პასუხობს მომხმარებელთა შეკითხვებს კომუნალური კომპანიების ცხელ ხაზებზე, არის დაკვირვებადი შედეგების ნათელი მაგალითი: გაზრდილი მომხმარებელთა კმაყოფილება და ოპერაციული ეფექტურობა. **თიბისი ბანკის AI პროდუქტების დეპარტამენტის უფროსმა (ანონიმური რესპონდენტი)** ხაზი გაუსვა AI-ის მნიშვნელობას ბიზნესის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად: „ჩვენთვის AI არის საშუალება, გავაუმჯობესოთ ჩვენი ბიზნესის ეფექტურობა, შევამციროთ ხარჯები და გავზარდოთ კმაყოფილება. ჩვენთან AI-ის დანერგვა უკვე შესაძლებლობას იძლევა, მივიღოთ უფრო ზუსტი ანალიტიკა მომხმარებლის საჭიროებების შესახებ, თავიდან ავიცილოთ თაღლითური ქმედებები და გავაუმჯობესოთ სერვისი“. ეს პირდაპირ ასახავს AI-ის შედარებით უპირატესობას და მის დაკვირვებად ფინანსურ შედეგებს. ამის გარდა, სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა მუდმივად გამოკვეთა კონკრეტული აპლიკაციები: მაგალითად, ზოგიერთი მცირე ქართული საწარმო

იყენებს AI-ზე დაფუძნებულ ჩატბოტებს მომხმარებელთა მხარდაჭერისთვის, რათა გაუმკლავდეს ხშირ შეკითხვებს, რითაც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, უფრო რთულ საკითხებზე იმუშაონ და აუმჯობესებენ პასუხის გაცემის დროს. სხვები იკვლევენ AI-ზე დაფუძნებული მარაგების მართვის ან მოთხოვნის პროგნოზირების ინსტრუმენტებს ლოგისტიკაში ნარჩენების შესამცირებლად და მიწოდების ჯაჭვების ოპტიმიზაციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალისხმევა ხშირად საწყის ფაზაშია და ჯერ კიდევ ოფიციალურად არ არის გაზომილი, ეს ხელშესახები მცდელობები ასახავს AI-ის პოტენციალის მზარდ აღიარებას ოპერაციული ხარჯების შემცირებისა და კლიენტებთან ურთიერთობის გაუმჯობესების კუთხით ქართულ ბაზარზე.

## 4. დასკვნა და რეკომენდაციები

ამ კვლევიდან მიღებულ თვისებრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები გვთავაზობს ფუნდამენტურ პერსპექტივებს საქართველოში AI-ის ინტეგრაციასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ თვისებრივი ხასიათისაა, ეს დასკვნები უზრუნველყოფს მტკიცე საფუძველს შემდგომი დიალოგისა და სტრატეგიული პოლიტიკის შემუშავებისთვის, თუმცა ისინი საჭიროებენ უფრო ფართო ემპირიული კვლევით დადასტურებას.

### 4.1. კვლევის ძირითადი დასკვნები და თეორიული შედეგები

ხელოვნური ინტელექტისა (AI) და ციფრული მმართველობის ლანდშაფტი საქართველოში განვითარების კრიტიკულ ეტაპზეა, თუმცა მდგრადი პროგრესისთვის სისტემური ბარიერები კვლავ არსებობს. კვლევამ გამოავლინა შემდეგი კრიტიკული დასკვნები, რომლებიც გაანალიზებულია როგორც ინოვაციების დიფუზიის თეორიის (2003) და დიმაჯიოს და პაუელის ინსტიტუციური თეორიის (1983) პრიზმაში:

- **მარეგულირებელი ვაკუუმი და ინსტიტუციური გაურკვევლობა:** საქართველოში ერთიანი ეროვნული AI სტრატეგიისა და ყოვლისმომცველი კანონმდებლობის არარსებობა შესაძლებლად ამცირებს იძულებითი იზომორფიზმის იმპულსს, რაც შესაბამისად აფერხებს ინვესტიციებსა და ინოვაციებს. გარდა ამისა, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების მიბაძვა (მიმეტიკური იზომორფიზმი) არათანმიმდევრული რჩება, რაც ანელებს ტექნოლოგიის საერთო დანერგვას.
- **დაუგეგმავი ინიციატივები და სტრატეგიული ნაკლოვანებები:** ციფრული ინიციატივები ხშირად იზოლირებულად ხორციელდება, პრიორიტეტად მოკლევადიანი პროექტები აქვთ. ეს მიდგომა ხელს უშლის ინოვაციის თანმიმდევრულ დიფუზიას და ერთიანი ეროვნული ხედვის განვითარებას. შედეგად, ხშირად ხდება რესურსების არაეფექტური განაწილება და ციფრული ტრანსფორმაციის უფრო ფართო ეკონომიკური სარგებლის შემცირებული რეალიზაცია.
- **რეგიონული უთანასწორობა და ციფრული ინკლუზიის გამოწვევები:** ციფრულ სერვისებსა და ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი დისბალანსი არსებობს რეგიონებს შორის. ეს უთანასწორობა კრიტიკულად აფერხებს AI-ის თანაბარ გავრცელებას, რითაც ზღუდავს რეგიონულ ეკონომიკურ პოტენციალს და ხელს უშლის ინკლუზიურ ეროვნულ ზრდას.

შეჯამებისთვის, საქართველოს ციფრული ტრანსფორმაცია გარდამავალ პერიოდშია, რაც მოითხოვს ფოკუსირებულ და კოორდინირებულ ძალისხმევას ეკონომიკური დაბრკოლებების დასაძლევად და AI-ის შესაძლებლობების სრულად გამოსაყენებლად.

## 4.2. რეკომენდაციები

საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციისა და AI-ის განვითარების დასაჩქარებლად, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია შემდეგი რეკომენდაციები:

### 4.2.1. რესპონდენტთა რეკომენდაციები:

- **საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერება:** საჯარო და კერძო სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა უმთავრესია ეფექტური ინოვაციისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენებისთვის, რაც თავის მხრივ ზრდის ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალს.
- **ციფრული სტრატეგიის პოლიტიკურ დონეზე აყვანა:** ციფრული ინიციატივები უნდა გადავიდეს იზოლირებულ პროექტებზე დაფუძნებული მცდელობებიდან ინტეგრირებულ, სტრატეგიულ პოლიტიკებზე. ეს ცვლილება გადამწყვეტია მათი გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად და პროგნოზირებადი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად.

### 4.2.2. ავტორთა რეკომენდაციები:

- **საჯარო-კერძო პარტნიორობის სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლების გამყარება:** მკაფიო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და მტკიცე ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა (მაგალითად, სპეციალიზებული უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფები, ერთობლივი საწარმოებისთვის გამჭვირვალე სახელმძღვანელო პრინციპები) აუცილებელია ეფექტური და გამჭვირვალე თანამშრომლობის ხელშესაწყობად, რაც აძლიერებს ნდობას და ზრდის ინოვაციური პროექტების სიცოცხლისუნარიანობას.
- **გრძელვადიანი და ადაპტირებადი ციფრული მმართველობის სტრატეგიის შემუშავება:** ციფრული ტრანსფორმაცია უნდა იმართებოდეს პოლიტიკურად მხარდაჭერილი, ადეკვატურად რესურსირებული და მუდმივად მონიტორინგირებადი სტრატეგიული ჩარჩოთი. ამ ჩარჩოში მკაფიოდ უნდა განსაზღვროს როლები და პასუხისმგებლობები როგორც სამთავრობო ორგანოებისთვის, ისე კერძო სექტორის ჩართულობისთვის.
- **ყოვლისმომცველი სამართლებრივი და ეთიკური ჩარჩოს დადგენა:** კარგად განსაზღვრული სამართლებრივი და ეთიკური ჩარჩო კრიტიკულად მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების გამოყენების დასარეგულირებლად, მონაცემთა დაცვის გასაძლიერებლად და AI-ის განვითარებისა და დანერგვისთვის ადამიანზე ორიენტირებული მიდგომის უზრუნველსაყოფად.
- **რეგიონული ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება:** რეგიონულ ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები (მაგალითად, ინტერნეტის გაუმჯობესებული კავშირი, ტექნოლოგიური ჰაბების დაარსება) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ციფრული უთანასწორობის შესამცირებლად. ამავდროულად, საზოგადოების ციფრული წიგნიერების გაზრდა აუცილებელია ფართო ციფრული ინკლუზიის უზრუნველსაყოფად.

## 4.3. კვლევის შეზღუდვები და მომავალი კვლევის მიმართულებები

ამ კვლევის თვისებრივი ხასიათი და რესპონდენტების შეზღუდული რაოდენობა (8 ინტერვიუ) თავისთავად ზღუდავს დასკვნების ფართო განზოგადებას. გარდა ამისა, პირველ რიგში კერძო და საჯარო სექტორებზე ფოკუსირება სრულად არ მოიცავს საქართველოს ციფრული ეკოსისტემის ყველა აქტორს.



მომავალ კვლევას შეუძლია გააფართოოს ეს ანალიზი რაოდენობრივი მეთოდების (მაგალითად, ფართომასშტაბიანი გამოკითხვები) გამოყენებით და სხვა სექტორების (მაგალითად, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა) ჩართვით, რომლებსაც AI-ის დანერგვისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალი აქვთ. შედარებითი კვლევები რეგიონის სხვა ქვეყნებთან და კონკრეტული AI პროექტების დეტალური ქეის-სტადები ასევე ღირებული იქნება საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირებისთვის.

უმნიშვნელოვანესია, რომ მომავალმა კვლევამ უნდა შეისწავლოს საქართველოს მაგალითის უფრო ფართო თეორიული შედეგები ინოვაციების დიფუზიისა და ინსტიტუციური თეორიისთვის, გამოიკვლიოს, თუ როგორ შეიძლება ამ დამკვიდრებული ჩარჩოების დახვეწა ან გამოწვევა პოსტსაბჭოთა, ევროკავშირისკენ მიისწრაფვის კონტექსტში. გარდა ამისა, AI-ის პოტენციური სოციალური გავლენის, მათ შორის შრომის ბაზრის ცვლილებების, ეთიკური გამოწვევებისა და ტექნოლოგიისადმი მოქალაქეთა აღქმის უფრო ღრმა შესწავლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია AI-ის მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ინტეგრაციისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Agrawal, A., Gans, J., & Goldfarb, A. (2018). *Prediction Machines: The Simple Economics of Artificial Intelligence*. Harvard Business Review Press.
2. Bilan, S. & Kochan, O. (2025). AI in the public sector: opportunities and challenges for governance. *European Journal of Government and Economics*, 14(2), 154-171.
3. DiMaggio, P. J., & Powell, W. W. (1983). The Iron Cage Revisited: Institutional Isomorphism and Collective Rationality in Organizational Fields. *American Sociological Review*, 48(2), 147-160.
4. Gabisonia, Z. (2025). Education policy and digital literacy in developing countries. *International Journal of Educational Development*, 45(1), 78-90.
5. Georgian National Communications Commission (GNCC). (2023). *Annual Report on the Telecommunications Sector*. Retrieved from <https://gncc.ge/en/reports/> (გადამოწმებულია 13.08.2025)
6. Gotsiridze, A., & Khomasuridze, K. (2024). Public Service Delivery and Digital Transformation in Georgia. *Journal of Public Administration and Governance*, 14(1), 45-60.
7. Gvasalia, I., & Papava, V. (2024). Digital Economy in Georgia: Challenges and Prospects. *Georgian Economic Trends*, 4(1), 22-35.
8. Haisheng, H., & Chen, M. (2025). The institutional drivers of digital transformation in East Asian economies. *The Journal of Asian Studies*, 84(1), 112-129.
9. Khomasuridze, K. (2023). *Digital Governance in Post-Soviet States*. Palgrave Macmillan.
10. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2022). *Georgia's Digital Economy Development Strategy*. Retrieved from <https://www.economy.ge/ge/ministry/digital-economy-strategy> (გადამოწმებულია 13.08.2025)
11. Narmania, D. (2024). Regulatory challenges for AI in energy and utility sectors. *International Journal of Regulation and Governance*, XXVII(4B), 96-115.
12. Maxwell, J. A. (2013). *Qualitative Research Design: An Interactive Approach* (3rd ed.). Sage Publications.
13. OECD. (2021). *Regulatory Sandboxes and Innovation in the Public Sector*. Paris. Retrieved from <https://www.oecd.org/gov/regulatory-policy/regulatory-sandboxes.pdf> (გადამოწმებულია 13.08.2025)
14. Patton, M. Q. (2015). *Qualitative Research & Evaluation Methods* (4th ed.). Sage Publications.
15. Robles, D. A. C., & Mallinson, D. J. (2025). Responsible AI development, deployment and use. *AI & Society*, 40(1), 17-29.
16. Rogers, E. M. (2003). *Diffusion of Innovations* (5th ed.). Free Press.
17. Russell, S., & Norvig, P. (2021). *Artificial Intelligence: A Modern Approach* (4th ed.). Pearson.
18. Soliman, M., Ahmed, M. I., & Hassan, S. (2024). Exploring the Impact of Artificial Intelligence on Regulatory Compliance in the Financial Sector. *International Journal of Social Science Research and Review*, 7(1), 609-625.
19. TBC Bank Group PLC. (2023). *Annual Report 2023*. Retrieved from <https://www.tbcbankgroup.com> (გადამოწმებულია 13.08.2025)
20. UNCTAD. (2023). *Digital Economy Report 2023*. Retrieved from <https://unctad.org/publication/digital-economy-report-2023> (გადამოწმებულია 13.08.2025)
21. UNDP. (2018). *User-Centered Public Services and Digital Transformation in Georgia*. Tbilisi. Retrieved from



- <https://www.undp.org/georgia/publications/user-centered-public-services-and-digital-transformation-georgia> (გადამოწმებულია 13.08.2025)
22. UN Women. (2022). *Gender and the Digital Divide in Georgia*. Retrieved from <https://www.unwomen.org/en/docs/publication/2022/02/gender-and-the-digital-divide-in-georgia> (გადამოწმებულია 13.08.2025)

**Tamara Tartarashvili**

*Associate Professor*

*New Higher Education Institute-NEWUNI*

**Tornike Labadze**

*Master of Business Administration*

## THE INTEGRATION OF ARTIFICIAL INTELLIGENCE IN GEORGIA: SOCIO-ECONOMIC IMPACT, INSTITUTIONAL CHALLENGES, AND POLICY RECOMMENDATIONS

### Abstract

Digital technologies and Artificial Intelligence (AI) are **transformative forces** profoundly shaping Georgia's economic, social, and governance landscapes. While Georgia endeavors to bolster national competitiveness through technological progress, **systemic challenges persist** concerning digital infrastructure, regulatory frameworks, and a cohesive national strategy. These impediments hinder comprehensive digital transformation and constrain economic growth.

This study investigates AI and digital technology integration within Georgia's private and public sectors, analyzing **key institutional barriers** and proposing recommendations for sustainable development. Employing a qualitative methodology, the research utilizes semi-structured interviews with government and business experts, complemented by open-source analysis.

**Findings** reveal that AI integration in Georgia is in its **nascent, fragmented, yet promising stages**. Primary barriers include:

- Absence of a unified strategic and legal framework, deterring investment and rapid innovation dissemination.
- Significant regional disparities in digital access, exacerbating economic differentiation and limiting inclusive growth.
- Ongoing challenges in data governance and cybersecurity, elevating operational risks and impacting business reliability.

The paper concludes that establishing a **long-term, inclusive national digital strategy is imperative**. Such a strategy should prioritize critical investments in digital infrastructure, foster research and development, develop robust regulatory and ethical frameworks, and deepen public-private partnerships. Crucially, it must specifically address regional digital divides to ensure equitable access and maximize nationwide economic benefits. This approach will facilitate AI's full potential for GDP growth, enhanced public sector efficiency, and elevated international competitiveness, preparing Georgia for future challenges.

**Keywords:** Artificial Intelligence, Digital Transformation, Economic Growth, Innovation, Digital Strategy, Georgia, Institutional Barriers, Regulatory Frameworks.

### Introduction

The dynamic evolution of digital technologies and the global integration of Artificial Intelligence (AI) are fundamentally transforming economic, social, and governance systems worldwide (Kagermann, 2015; Murugesan et al., 2023). AI is widely recognized as an essential mechanism for enhancing competitiveness and productivity across both private and public sectors.

**Georgia, as a developing economy and a post-Soviet, EU-aspirant country**, is progressively integrating into this global digital transformation. The nation demonstrates increasing adoption of digital services and nascent attempts to implement AI elements, which are vital for boosting competitiveness and economic efficiency. The third wave of digital governance, marked by advanced digital tools and AI integration, is already reshaping institutional architectures globally, significantly improving public service efficiency (Dunleavy & Margetts, 2023). While these processes are at an early stage in Georgia, burgeoning initiatives are laying the groundwork for substantial potential macroeconomic benefits (Civil Service Bureau of Georgia, 2020; UNDP, 2023).

However, this promising trend is concurrently challenged by significant institutional and socio-political obstacles. Insights from other developing countries reveal that digital transformation failures frequently stem from organizational, cultural, and leadership deficiencies, coupled with immature regulatory frameworks and weak innovation ecosystems that deter investment (El Ghazail et al., 2024; Gamage et al., 2022). These pervasive challenges impede AI adoption and sustainable economic diffusion, negatively impacting the country's long-term economic growth trajectory.

This study seeks to answer the following key research questions:

1. What are the primary institutional and socio-political barriers hindering the effective integration of Artificial Intelligence and digital technologies within Georgia's private and public sectors?
2. How do these identified barriers impact Georgia's socio-economic development and national competitiveness?

**Research Gap:** While established theories like Diffusion of Innovations (Rogers, 2003) and Institutional Theory (DiMaggio & Powell, 1983) elucidate technological adoption, empirical research specifically addressing the structural and institutional barriers to AI implementation within developing country contexts, such as Georgia, remains limited. This study aims to bridge this critical gap by thoroughly investigating the institutional and socio-political factors influencing AI integration within Georgia's business and public sectors. The research employs a qualitative methodology, utilizing semi-structured interviews with industry experts, to provide both theoretical contributions and actionable policy recommendations for sustainable economic growth and comprehensive digital transformation.

## 1. Literature Review and Theoretical Framework

This study is grounded in two primary theoretical frameworks: Diffusion of Innovations Theory (DOI) and Institutional Theory. These complementary theories enable a multifaceted analysis of technological transformation processes, encompassing both the dynamics of innovation adoption and the contextual and organizational barriers to such adoption.

### 1.1. Diffusion of Innovations Theory (DOI)

Developed by Everett Rogers (Rogers, 2003), the Diffusion of Innovations Theory (DOI) explains how new ideas, practices, or technologies (in this research, AI and digital technologies) spread and are adopted within a social system. At its core, DOI suggests that the speed and extent of adoption depend on how people perceive the innovation itself. Key factors influencing adoption include: whether the innovation is seen as better than what it replaces (**relative advantage**); its consistency with existing values and needs (**compatibility**); how difficult it is to understand and use (**complexity**); if it can be experimented with on a limited basis (**trialability**); and if its results are visible to others (**observability**). DOI is frequently applied to assess technological adoption readiness and identified barriers in developing contexts (Akoh Atadoga et al., 2024; Gamage et al., 2022).



photo format for months. When planning a Content Calendar, you need to select formats – what type of information will be conveyed in which format: photo, video, 3D post, 360-degree photos, etc. They should also choose the right placement where they want this Content to appear, For example, do they want it to be placed on the page and be permanently available to the user, or do they want it to be placed on the Story and no longer be available to the user after 24 hours. 5. Visual material should be attractive and interesting at a glance. When scrolling through Social Media, no user will stop to take a closer look at the content if they see that the visual material is poorly executed and tasteless. If the team wants to manage Social Media well, then this is one of the most important aspects that they should pay attention to. Try to find out what the Target group considers to be quality visuals and offer a similar style to them. 6. You should also take into account current trends. When scrolling through Social Media, you can always notice certain trends that companies use in a similar way. These trends can be tied to some new event. For example, a newly released TV series, the visual material of which is similar to the style of which companies create using their own products. Management also needs to take into account which content formats are becoming trendy. For example, the development of Digital technologies has allowed companies to publish 3D content on Social Media. During the period when this happened, many people and brands started sharing 3D content with their smartphones. 7. It is necessary to interest, it is not recommended to think only about selling. It is necessary to always remember that people do not come to Social Networks only to buy products, they first of all want to see the interesting content that the platform algorithm offers. Therefore, Management should try to ensure that the content is aimed at the interest of users, so that they stay on the content longer and express their engagement by liking, sharing, and commenting. 8. Before creating content, it is important to think about the user. Any type of content is created with the aim of sharing information with the user. Therefore, it is logical to start thinking about what and in what form the information provided would interest them. When working on the topic of any post, first of all, imagine how the company's ideal user would like, share, and comment on the content. It is necessary to define what the ideal content for a company's brand's Digital channels should look like and include.

## Conclusion

Therefore, it is necessary for the team working on the Campaign to know what Budget is set for the preparation of the Campaign and Advertising Channels. In itself, the Budget should fit into the calculations of the company's annual Digital Marketing expenses and should be formulated in such a way that it is worth the company to incur these expenses to achieve a certain goal. Overall, it is necessary for Management to remember that developing a Brief will help in properly Planning the Campaign, because the work team or the contracting company must correctly convey what they need to know before starting work on the Campaign. For this, an assignment in the form of a Brief is an ideal solution.

## References:

1. Vekua G., Bolotashvili M., Papiashvili A., "Business Online," Georgian Chamber of Commerce and Industry, Tbilisi, 2022
2. What is and how to write a Brief, <https://geotourism.ge/blog/tourism-marketing/brief>
3. Brief as the main recipe for a good project, <https://www.marketer.ge/rogori-unda-iyos-brifi/>
4. Communication Campaigns, <https://4p.com.ge/sakomunikacio-kampaniebi/>
5. Dais R., Henneber R., Translator: Vasadze M., "Digital Marketing", Publishing House "Palitra L", Tbilisi, 2021

**მაია გელაშვილი**  
ეკონომიკის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუენის  
ასოცირებული პროფესორი

## მუნიციპალიტეტის როლი საინვესტიციო საქმიანობაში

### ანოტაცია

თანამედროვე გლობალური გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, აქტუალური გახდა ინვესტიციებით წარმოებული საქმიანობა. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანია ისეთი ღონისძიებების დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს საინვესტიციო ურთიერთობების ოპტიმიზაციასა და მოდერნიზაციას. ამიტომ ქვეყნის მმართველმა ხელისუფლებამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს უცხოური ინვესტიციების ისეთ მოზიდვას, რომელიც ორიენტირებული იქნება დასაქმებულთა სოციალურ დაცვაზე, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვაზე და არა იაფ სამუშაო ძალის გამოყენებაზე. ინვესტიცია ქვეყნის მდგრადი და სტაბილური განვითარების გადასახედიდან გამომდინარე, გრძელვადიან პერსპექტივაში რთული ეკონომიკური სიტუაციის დაძლევაში და მის შესამსუბუქებლად უნდა გამოიყენებოდეს და არა ინვესტორის იაფი მუშახელის ბაზრად დარჩეს. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს რეგიონების მუნიციპალიტეტებში ძირითადი პრობლემა ეკონომიკური ფონია, რაც გამოიხატება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს დაბალი მაჩვენებლით, უმუშევრობის მაღალი დონითა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მაღალი პროცენტით.

ნებისმიერი ქვეყანის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების ერთ-ერთი და აქტიური დისკუსიის საგანია ეკონომიკური განვითარება, სოციალური მდგომარეობა, ეროვნული ვალუტის გაუფასურება და ინფლაცია. აღნიშნული მდგომარეობის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა ინვესტიცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის უცხოური ინვესტიციების როლი, ვინაიდან შიდა ინვესტიციები ამ დროს დეფიციტია, რომელსაც ემატება, ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემაფერხებელი ფაქტორი – არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა. შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლას საბანკო სესხების მაღალი საპროცენტო განაკვეთი, კონფლიქტური რეგიონები, განვითარებული საფონდო ბაზარი და სხვადასხვა ფაქტორები უშლის ხელს. თუმცა უცხოურ ინვესტიციებს მაღალი ტექნოლოგიური სიახლეები, რთული გამოწვევები და მნიშვნელოვანი მოთხოვნები აქვს. შესაბამისად, საქართველო ბუნებრივად ტოვებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ნიშას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში ინვესტიციის განხორციელებისას ხელისუფლებამ უნდა დაგეგმოს და მოამზადოს კონცეფცია დიდი ინფრასტრუქტურული აქტივობებისთვის, ვინაიდან ინვესტიციის განხორციელებამდე ინვესტორი გადაწყვეტილების მიღებისას მუნიციპალურ დონეზე მხედველობაში იღებს ორი ტიპის ინსტიტუციონალური და პერსონალური ფაქტორების კორელაციურ მდგომარეობას, თუ როგორია ხელისუფლების გავლენა საინვესტიციო ლოკაციის შერჩევის პროცესში, სხვადასხვა ინდიკატორებში ქვეყნის განვითარების პოტენციალი და მისი საერთაშორისო იმიჯი.

**საკვანძო სიტყვები:** მუნიციპალიტეტი, ინვესტორი, ინვესტიცია, კორელაცია, ინდიკატორი, იმიჯი

### მუნიციპალიტეტის როლი საინვესტიციო საქმიანობაში

ქვეყანის ადგილობრივ მუნიციპალურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს, რადგან მათი საშუალებით შესაძლებელია ეკონომიკური განვითარება და ეფექტიანობის მიღწევა. კერძოდ, ისინი ქმნიან ახალ საწარმოებსა და დამატებით სამუშაო ადგილებს, საშუალებას იძლევიან თანამედროვე ტექნოლოგიები დაიხვეწოს და განახლდეს საწყისი კაპიტალი. ასევე, ხელს უწყობენ ინტენსიურ წარმოებასა და ბაზარზე ახალი საქონლის და მომსახურების მიწოდებას, რომელიც ხელსაყრელია, როგორც მომხმარებლისთვის და მიმწოდებლისთვის, ასევე ინვესტორებისთვის და სამთავრობო მიზნებისთვის.

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად<sup>1</sup> „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომლის დაბანდება და გამოყენება ხდება შესაძლო მოგების მიღების მიზნით. მისი მოზიდვა საკმაოდ ბევრ გარე ფაქტორზეა დამოკიდებული და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. კერძოდ, მიმზიდველი ბიზნესგარემოს შექმნა, მცირე გადასახადები, სტაბილური და სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბება, ახალი პრიორიტეტების დასახვა.

თვითმმართველობის ორგანოებმა ინვესტიციის მოზიდვისთვის და მათი ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელია შექმნან მუნიციპალური საინვესტიციო პოლიტიკა, კერძოდ: მოსახლეობის ჩართულობა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, საინვესტიციო პრიორიტეტების დაგეგმვა და მათი ანალიზი და სხვა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები (მუნიციპალიტეტები) უფლებამოსილნი არიან გაატარონ პოლიტიკა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოსაზიდად<sup>2</sup>.

ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების ერთ-ერთი და აქტიური დისკუსიის საგანია ეკონომიკური განვითარება, სოციალური მდგომარეობა, ეროვნული ვალუტის გაუფასურება და ინფლაცია. აღნიშნული მდგომარეობის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა ინვესტიცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის უცხოური ინვესტიციების როლი, ვინაიდან შიდა ინვესტიციები ამ დროს დეფიციტია, რომელსაც ემატება, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემაფერხებელი ფაქტორი – არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა.


თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი ინვესტიცია გრძელვადიანი კაპიტალ-დაბანდებაა, ეკონომიკური საქმიანობის და სოციალურ-ინოვაციური ეფექტის მიღების მიზნით, რომელიც ფულადი სახსრების, ანაბრების, ინტელექტუალური ფასეულობების, აქციების და ფასიანი ქაღალდების სახით გვევლინება.

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი პირდაპირი უცხოური ინვესტიციაა. ყველა ინვესტორისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური მხარე, რომ არ დაკარგოს არცერთი თეთრი და მიიღოს მაღალი მოგება, თუმცა უნდა შეძლოს ყველა მოსალოდნელი რისკის განსაზღვრაც. შესაბამისად, ინვესტორი გადაწყვეტილების მიღებამდე სწავლობს ქვეყნის ეკონომიკურ საინვესტიციო გარემოს, ვინაიდან ორიენტირებულია მოგებაზე, ხოლო ინვესტიციის მიმღები ქვეყნისთვის იცვლება ეკონომიკური მდგომარეობა. მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან საინვესტიციო ნაკადების კონტროლი, ვინაიდან შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს დივერსიფიკაციას, რაც ეკონომიკური სუვერენიტეტის დაკარგვის წინაპირობაა. ამიტომ სახელმწიფომ უნდა მოიზიდოს ისეთი ინვესტიცია და ინვესტორი, რომელიც ორიენტირებული იქნება, როგორც ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვაზე, ასევე მომუშავე კადრების სოციალურ დაცვაზე.

<sup>1</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304?publication=15>

<sup>2</sup> საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

საქართველოს საინვესტიციო გარემო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტექსტში წლების და თითოეული წლის კვარტლების მიხედვით (იხ. დიაგრამა N1) შემდეგია:




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, 2024

თუ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის 2022 წლის მესამე კვარტლის დინამიკას შევადარებთ 2024 წლის იგივე მაჩვენებელთან დავინახავთ, რომ შემოსული ინვესტიციების მოცულობა თითქმის განახევრებულია, საფინანსო სექტორის 2024 წლის პირველი კვარტალი უარყოფითი მაჩვენებლით ფასდება, საგარეო ეკონომიკური საქმიანობიდანაც განახევრებულია შემოსავალი და პრივატიზაციაც 517 ათ.აშშ. დოლარით ნაკლებია. არადა ყველაზე მეტად შემოსულობა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობიდან უნდა ხდებოდეს და არა პრივატიზაციიდან. საინტერესო იქნება 2025 წლისთვის საპრივატიზაციე თუ დარჩება რამე. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინვესტორები მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების შემოტანას ერიდებიან. მიზეზი პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობა და დაბალ-კვალიფიციური კადრია. ამიტომაც რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესი კაპიტალი, რომ შერბილდეს არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობა, ვინაიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით იცვლება სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნა, იზრდება ბიუჯეტი და უმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. შესაბამისად, რთული ეკონომიკური მდგომარეობა პირდაპირი დარტყმაა ბიზნეს სექტორისთვის.

საქართველოში 2023 წელს უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1902.2 ათასი აშშ.დოლარი შეადგინა, როცა 2022 წელს ინვესტიცია 2253.4 ათასი აშშ. დოლარით ფიქსირდებოდა, ხოლო 2024 წლის ცხრა თვის მონაცემებით 966.3. საქსტატის მონაცემების საფუძველზე საქართველოში 2024 წლის მესამე კვარტლის უცხოური ინვესტიციების უმსხვილესი (იხ. დიაგრამა N2) ქვეყნებია:



დიაგრამა N2



წყარო: საქსტატი, 2024

საქართველოში 2024 წლის მესამე კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხრივ 60,2 მლნ.აშშ დოლარით ნიდერლანდები ლიდერობს, მეორე ადგილზეა მალტა 58,3 მლნ.აშშ დოლარით და მესამეზე კი გაერთიანებული სამეფო 55მლნ.დოლარი. აგრეთვე, ინვესტიციები თითქმის თანაბარი რაოდენობითაა თურქეთი, ჩეხეთი, იაპონია, აშშ-დან. ინვესტიცია დაახლოებით სამოცდათხუთმეტი ქვეყნიდანაა შემოსული. სექტორების მიხედვით ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი საფინანსო და სადაზღვევო სექტორში განხორციელდა 300,1 მლნ. აშშ. დოლარი, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 52,3%-ია. შემდეგია: უძრავი ქონება, კომუნიკაცია, ტრანსპორტი, ხელოვნება, განათლება და ადმინისტრაციული საქმიანობა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ინვესტიცია ქვეყანაში მთლიან შიდა პროდუქტს ზრდის, არადა საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ეტაპზეც კვლავ დაბალია, რასაც ემატება იმ მაკროეკონომიკური პარამეტრების რღვევა რომელსაც მთავრობის ვალი ჰქვია, რადგან იგი მშპ-ის 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს. აგრეთვე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველო დაბალი საგადასახადო ტარიფებით გამოირჩევა და ტერიტორიაზე თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში უცხოური ინვესტიციების განხორციელება არა მოგების, არამედ მძიმე ტვირთის მატარებელია მოსახლეობისთვის. კერძოდ, იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება და მასზე გადასახადი, ვინაიდან კოლოსალური რაოდენობის მომხმარებლები არიან ტექნოლოგიური სიახლეებით გამორჩეული კომპანიები და კრიპტო-მაინერები.

ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ინვესტიცია განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივაა. მუნიციპალიტეტს შესაძლებლობა ეძლევა გრძელვადიანი პერიოდისთვის მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობას, გაზარდოს საკუთარი ფინანსური შემოსავლები და ეკონომიკა, დანერგოს მაღალტექნოლოგიური სერვისები და შექმნას სამუშაო ადგილები. ყოველივე ეს პროცესი სრულიად ახლებურად წარმოაჩენს მუნიციპალიტეტის იმიჯს.

ინვესტიციის განხორციელებამდე ინვესტორი გადაწყვეტილების მიღებისას მუნიციპალურ დონეზე მხედველობაში იღებს ორი ტიპის ინსტიტუციონალური და პერსონალური ფაქტორების კორელაციურ მდგომარეობას, თუ როგორია ხელისუფლების გავლენა საინვესტიციო ლოკაციის შერჩევის პროცესში, სხვადასხვა ინდიკატორებში ქვეყნის განვითარების პოტენციალი და მისი საერთაშორისო იმიჯი. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებამდე მათი ანალიზი ფართო მასშტაბიან ხედვას მოიცავს, თუ როგორია ქვეყნის სტაბილურობა და მაკროეკონომიკური მდგომარეობა. გარდა ამისა გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალური და ინსტიტუციონალური ფაქტორები და მათი კორელაცია. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ მუნიციპალიტეტში ხდება ინვესტირება მათთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და



სტაბილურობა. კერძოდ: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული პროდუქტი, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, დანაზოგები, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, მთლიანი საგრეო ვალი და რაც მთავარია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ის ინდიკატორები და ინდექსები, რომლებიც ქვეყნის რეიტინგის განმსაზღვრელია. ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლება აქტიურად აუმჯობესებს ინვესტიორებთან კომუნიკაციას ინდექსებისა და ინდიკატორების ეფექტიანად გამოყენების კონტექსტში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში ინვესტიციის განხორციელებისას შეიძლება აქტივი არსებობდეს, მაგრამ მისი გამოყენების მხოლოდ ნაწილი იყოს შესაძლებელი. ამიტომ, რომ ხელისუფლებამ უნდა დაგეგმოს და მოამზადოს კონცეფცია დიდი ინფრასტრუქტურული აქტივობისთვის. სექტორების მიხედვით 2023 წლის უცხოური ინვესტიციების განხორციელებაში ყველაზე მაღალი საპროცენტო მაჩვენებელი 30,7% საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობაზე მოდის, შემდეგ ვაჭრობა -16,5%, დამამუშავებელი მრეწველობა 16,9%, ტრანსპორტი 8,7%, ინფორმაცია და კომუნიკაცია 6,3%, დანარჩენი სექტორები 22%. რეგიონის მუნიციპალიტეტებში არსებული ინვესტიციები საჭიროებისამებრ გადანაწილდა. საქართველოში 2024 წელს განხორციელდა 891,5 მლნ. აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რომელიც უმსხვილესი სექტორების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ✓ საფინანსო სადაზღვევო სისტემა 526,5 მლნ. დოლარი
- ✓ დამამუშავებელი მრეწველობა 170,2 მლნ. დოლარი
- ✓ უძრავი ქონება 155, 3 მლნ. დოლარი

ბოლო წლებში ინვესტიორებთან კომუნიკაციისას თითქმის უმჯობესდება პოზიციები, მაგრამ ჩვენს რეალობაში მონაცემები საუკეთესოდ მეტყველებენ ძირითად უარყოფით განვითარებაზე. კერძოდ, ინვესტიციების ზრდაა 2024 წლის სამ კვარტალში, ხოლო მეოთხე კვარტალი უარყოფითია. ასეთი სწრაფი ვარდნა 202368 ათასი ლარიდან -16301 ლარამდე თითქმის 186 ათასით, მოწესრიგებულ რეგიონის მართვაში არ ხდება. ინვესტიორები ხშირად უფრო ხიან ცვალებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ქვეყანას და აკვირდებიან არსებულ ეკონომიკურ გარემოს და პოლიტიკას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სირთულეები. ეს ეხება განსაკუთრებით მთლიან შიდა პროდუქტს, მთლიან ეროვნულ პროდუქტს, მთლიან შიდა პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე, მსყიდველობითი უნარის პარიტეტს, დანაზოგის დონეს და ეყრდნობიან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს.

განვითარებადი და დაბალშემოსავლიანი ქვეყნების მუნიციპალიტეტისთვის საინვესტიციო საჭიროებების გამოვლენა და ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:

- რომელი მიმართულებითაა პრიორიტეტული რეგიონის განვითარება;
- რომელია მზარდი სექტორი მუნიციპალიტეტში ინვესტიციის მისაღებად;
- კონკრეტულად რა უპირატესობა გააჩნია მუნიციპალიტეტს.

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში საფინანსო ბაზარზე გლობალური საპროცენტო განაკვეთის გაზრდილმა ტარიფებმა გარკვეული დონით შეამცირა ინფლაციის დონე, თუმცა გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკა. შემდგომში მათი აღდგენის ტემპები დამოკიდებული იქნება არსებული ფინანსური ბაზრების მერყეობითა და გეოპოლიტიკური პრობლემების გაურკვეველი მდგომარეობით. მსოფლიო ეკონომიკას თუ გადავხედავთ, 2024 წლის საქსტატის მონაცემების საფუძველზე 2023 წელთან შედარებით ეკონომიკური ზრდა 3,2%-ია, ხოლო ინფლაცია 8,6 %.-ია, რაც მაღალი მაჩვენებელია 2023 წელთან შედარებით, ხოლო მაღალია 6,7% 2025 წელთან შედარებით. ისე საინტერესო შემთხვევაა. მაშინ როცა რეგიონში ასეთი მარალი ინფლაციაა, ეკონომიკური ზრდა როგორ და რის საფუძველზე დაფიქსირდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის პროგნოზი და პრობლემა, რომელიც 2028 წლისთვისაა მოსალოდნელი, კერძოდ საჭიროა ვალის მართვის კლიმატის

ცვლილება და ლიკვიდურობის შენარჩუნება, რათა თავიდან იქნას აცილებული ეკონომიკური ფრაგმენტაცია.

რეგიონში ეკონომიკურ ზრდას არამარტო ინვესტიციის მოზიდვა უწყობს ხელს, არამედ მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა მუნიციპალიტეტის მართვის პროცესში, რომელიც ახალი მთავარი გამოწვევაა. კერძოდ, თუ რა წვლილი შეაქვს თითოეულ მოქალაქეს საკუთარი დასახლების განვითარებაში, რამდენად იღებს მონაწილეობას მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში და ინაწილებს თუ არა პასუხისმგებლობას ხელის-უფლებასთან ერთად. შესაბამისად მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირებულობა გადასახადებით შევსებული ბიუჯეტისა და შემოსულობათა დანახარჯების შესახებ. ამ საკითხის ცოდნა ზრდის მოქალაქეთა მოტივაციას აქტიურად ჩაერთონ ბიუჯეტირების პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემცირებულმა შემოსავლებმა და გაუარესებულმა ფისკალურმა პოლიტიკამ რეგიონი წარმოადგინა რისკის ფონზე. კერძოდ, შემცირდა კერძო ინვესტიციებიდან შემოსავალი, რაც მომავალი წლებისთვის შეაფერხებს ეკონომიკური სტაბილურობის შემარჩუნებას. არსებული მდგომარეობის გამწვავება კი წინაპირობაა მაღალი საპროცენტო ხარჯის და გაზრდილი საგარეო ვალის. რაც მძიმე ტვირთია რეგიონის როგორც ეკონომიკური ზრდისთვის, ისევე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები მოსახლეობისთვის.

ამრიგად, ინვესტიცია ბიზნესის განვითარების ყველაზე ეფექტურ საშუალებად ითვლება რეგიონის განვითარების, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას. ინვესტიციების სტრუქტურაში უნდა გაიზარდოს ისეთი დაბანდებების მოცულობა, რომელიც წარმოების აღორძინება-განვითარებისკენ იქნება მიმართული. ტერიტორიული საინვე-სტიციო ღონისძიებები კი უნდა აკმაყოფილებდეს განსხვავებულ და მრავალფეროვან საჭიროებებს. საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი სირთულეების გამოსწორებასა და სტრუქტურული ოპტიმიზაციის დაჩქარებაში საინვესტიციო გარემომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. კერძოდ, რეგიონში ინვესტიციების ზრდის მიხედვით, ოთხი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ჩამოყალიბდა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარი-ანობის ამაღლებასა და ეკონომიკურ ზრდას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge 2023
3. tvitmmartveloba.ge ›
4. www.georgia.un.org
5. tp://siteresources.worldbank.org/INTLED/Resources/3396501144099718914/AltOverview.pdf
6. www.gov.ge
7. www.undp.org
8. www.mof.ge
9. www.bm.ge
10. info@idfi.ge
11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304?publication=15
12. http://ssa.mof.gov.ge/
13. https://bm.ge/news/aspindza

**Maia Gelashvili**

*Doctor of Economics, Associate Professor  
New Higher Education Institute – NEWUNI*

## THE ROLE OF THE MUNICIPALITY IN INVESTMENT ACTIVITIES

### Abstract

Against the background of modern global challenges, investment activities have gained relevance, especially in developing countries. Accordingly, for the economic growth and development of the country, it is important for the state to take measures that contribute to the optimization and modernization of investment relations. Therefore, the country's leadership should pay great attention to attracting foreign investment, which will be aimed at social protection of workers, introducing technological innovations, and not at using cheap labor. From the point of view of sustainable and stable development of the country, investments should be aimed at overcoming and mitigating the difficult economic situation in the long term, and not remain a market for cheap labor for investors. At the present stage, the main problem of the municipalities of the regions of Georgia is the economic situation, which is manifested in low GDP per capita, high unemployment and a high proportion of socially vulnerable population.

One of the subjects of active discussion in political and public circles of any country is economic development, social situation, devaluation of the national currency and inflation. The best way to avoid this situation is investment. The role of foreign investment is especially important for developing countries, since domestic investment is currently in deficit, to which is added an unstable financial situation – a factor that hinders the country's economic growth and the standard of living of the population. Accordingly, the inflow of foreign investment into the country is hindered by high interest rates on bank loans, conflict regions, underdevelopment of the stock market and a number of other factors. However, foreign investment is associated with high technological innovation, complex tasks and significant requirements. Accordingly, Georgia naturally leaves the niche of attracting foreign investment.

Based on the above, when investing in local governments, the government should plan and develop the concept of a large infrastructure project, since before making investments, the investor takes into account the ratio of two types of factors: institutional and personal at the municipal level: the influence of the government on the process of choosing a place for investment, the country's development potential by various indicators and its international image.

**Keywords:** municipality, investor, investment, correlation, indicator, image

### Introduction

Attracting investment plays an important role in the development of local municipalities in the country, as it contributes to economic development and increased efficiency. In particular, they create new enterprises and additional jobs, improve modern technologies and update initial capital. They also contribute to the intensification of production and the entry into the market of new goods and services, which is beneficial to both consumers and suppliers, as well as investors and government agencies. According to the Law of Georgia "On Encouragement and Guarantees of Investment Activities," "Investments are all types of property and intellectual property or rights that are invested and used for the purpose of making possible profit. Their involvement depends on many external factors and requires a lot

of effort. In particular, creating an attractive business environment, low taxes, creating a stable and legal environment, setting new priorities.

To attract investments and effectively manage them, self-government bodies must create a municipal investment policy, namely: involving the population, defining strategic goals and objectives, planning investment priorities and their analysis, etc. According to Article 16, paragraph 4 of the Organic Law of Georgia “Code on Local Self-Government,” units of local self-government of Georgia (municipalities) are authorized to implement investment policy on the territory of the municipality.


One of the subjects of active discussion in the political and public circles of any country is economic development, social situation, depreciation of the national currency and inflation. The best way to avoid this situation is investment. The role of foreign investment is especially important for developing countries, since domestic investment is currently in short supply, which is supplemented by an unstable financial situation that impedes the country’s economic growth and living standards. An integral part of the modern economy is investment – long-term investment aimed at achieving economic activity and socio-innovative effect, which is manifested in the form of cash, deposits, intellectual property, shares and securities.

## Foreign Direct Investment

An important factor in the country’s economic growth is foreign direct investment. The financial side is important for each investor so that he does not lose a cent and receives high profits, however, he must also be able to assess all the expected risks. Accordingly, before making a decision, the investor studies the economic investment environment of the country, since it is profit-oriented, while the economic situation of the country receiving the investment is changing. It is extremely important for the state to control investment flows, since diversification is possible, which is a prerequisite for the loss of economic sovereignty. Therefore, the state should attract investments and investors focused on both the introduction of technological innovations and social protection of workers.

The investment environment of Georgia in terms of foreign direct investment by years and quarters of each year (see diagram N1) is as follows

diagram N1




Source: National Bureau of Statistics of Georgia 2024

If we compare the dynamics of foreign direct investment in the third quarter of 2022 with the same indicator of 2024, then the volume of investments received has almost halved, the first quarter of 2024 in the financial sector is estimated as negative, revenues from foreign economic activity have also halved, and the volume of privatization has decreased by 517 thousand US dollars. However, most of the income should come from financial and economic activities, and not from privatization. It will be interesting to see if anything remains of privatisation by 2025. It is also worth noting that investors in Georgia avoid attracting high-tech investments. The reason is political and economic instability, as well as low qualifications of personnel.

That is why capital is of paramount importance for the region in mitigating the current difficult economic situation, since foreign direct investment changes the demand of the consumer market, increases the budget and increases the standard of living of the population. Accordingly, the difficult economic situation deals a direct blow to the business sector. In Georgia, the volume of foreign investment in 2023 amounted to 1902.2 thousand US dollars, while in 2022 investments were recorded at the level of 2253.4 thousand US dollars, and according to data for nine months of 2024 – 966.3 thousand US dollars. According to the Georgian Statistics Service, the largest foreign investments in Georgia in the third quarter of 2024 (see diagram N2) are:

diagram N2



Source: National Bureau of Statistics of Georgia 2024

In terms of foreign direct investment in Georgia in the third quarter of 2024, the Netherlands leads with \$60.2 million, Malta is in second place with \$58.3 million, and the United Kingdom is in third with \$55 million. Also, investments come almost equally from Turkey, the Czech Republic, Japan and the United States. Investment came from about seventy-five countries. By sector, the largest percentage was invested in finance and insurance – \$300.1 million, which is 52.3% of the total volume of foreign direct investment. This is followed by: real estate, communications, transport, art, education and administrative activities. It is also interesting that investments in the country increase gross domestic product, although in Georgia gross domestic product is still low at the current stage, which is aggravated by the violation of macroeconomic parameters called public debt, since it should not exceed 60% of GDP. It is also noteworthy that Georgia is characterized by low tax rates, and the sale of foreign investment in free industrial zones on its territory is not profit, but a heavy burden for the population. In particular, electricity consumption and taxes are growing, since a huge number of consumers are companies distinguished by technological innovations and cryptominers.

Investment at the local government level is a long-term development perspective. The municipality



gets the opportunity to achieve a competitive advantage over a long period of time, increase its own financial income and economy, introduce high-tech services and create jobs. All this in a completely new way represents the image of the municipality. Before investing, an investor at the municipal level takes into account the ratio of two types of factors: institutional and personal: what is the government's influence on the choice of investment location, the country's development potential in various indicators and its international image. Accordingly, before making a decision, he conducts an analysis that includes a large-scale view of the country's stability and macroeconomic sustainability. In addition, the decision is significantly influenced by personal and institutional factors and their ratio. Although investments are made in a particular municipality, economic growth and stability are important to them. In particular: gross domestic product, gross national product, gross domestic product per capita, savings, foreign direct investment, aggregate public debt and, most importantly, indicators and indices developed by international organizations that determine the country's rating. In recent years, the Georgian government has been actively improving communication with investors in the context of the effective use of indices and indicators.

When investing in local governments, an asset can exist, but only part of it can be used. That is why the government should plan and prepare a concept for major infrastructure events. By sector, the largest share of foreign investment in 2023 falls on financial and insurance activities – 30.7%, followed by trade – 16.5%, manufacturing – 16.9%, transport – 8.7%, information and communications – 6.3% and other sectors – 22%. Investments in municipalities in the region were distributed according to needs. In 2024, Georgia received \$891.5 million in foreign direct investment, which was distributed across the largest sectors as follows:

- ✓ Financial Insurance System – \$526.5 million
- ✓ Manufacturing – \$170.2 million
- ✓ Real Estate – \$155.3 million

In recent years, when communicating with investors, positions seem to be improving, but in our realities, the data best speaks of fundamentally negative dynamics. In particular, for the three quarters of 2024, there is an increase in investment, while the fourth quarter turned out to be negative. Such a rapid drop from 202 368 thousand lari to -16 301 thousand lari (almost 186 thousand lari) does not occur with orderly regional management. Investors are often wary of a country with volatile macroeconomic indicators and monitor the current economic environment and policies, which can cause difficulties. This applies in particular to gross domestic product, gross national product, gross domestic product per capita, purchasing power parity, savings rate and is based on data published by the National Bureau of Statistics of Georgia.

Identifying investment needs and attracting investment for municipalities in developing and low-income countries is an important aspect of economic development that should answer the questions:

- What direction of development of the region is a priority;
- Which sector is growing to receive investment in the municipality;
- What specific advantages does the municipality have?

In addition, in response to rising inflation in the world, most countries have tightened monetary policy. This reduced inflation somewhat, but affected the pace of economic recovery, affecting financial markets and global interest rates. The impact of the pandemic and war on the economy and the pace of its subsequent recovery differ depending on the country and sector of the economy and is due, on the one hand, to fluctuations in the world commodity and financial markets, and on the other, to the uncertainty that arose as a result of the Russian-Ukrainian war and other geopolitical problems.

According to the October 2024 World Economic Outlook, the International Monetary Fund, after

growing 3.3% in 2023, estimated global growth in 2024 and 2025 at 3.2%. It is noteworthy that the actual rate of economic growth in 2023 is 0.1 percentage points higher than the forecast made in April of the same year (3.2%). Global inflation is still at a high level, although it tends to decline. In 2022-2023, world inflation was 8.6% and 6.7%, respectively, the International Monetary Fund estimated this figure for 2024 at 5.8%, and for 2025 at 4.3%. The global inflation forecast for October 2024 is 0.1 percentage points lower than the forecast made in April of the same year and amounts to 5.8%, while inflation will decrease to 4.3% by 2025 (in contrast to 4.5% expected in April). It is worth noting that expectations for the medium term were revised downward, and inflation in 2026-2028 is expected to be 0.12 percentage points lower compared to the April forecast of the current year, which was also facilitated by the downward trend in food prices and petroleum products. In addition, future economic growth will continue to require avoiding further economic fragmentation, maintaining global liquidity, managing debt problems, and overcoming climate change.

The economic growth of the region is facilitated not only by attracting investments, but also by the active involvement of citizens in the process of municipal administration, which is a new main challenge. In particular, what contribution each resident makes to the development of his settlement, to what extent he participates in solving important issues for the municipality and whether he shares responsibility with the authorities. Accordingly, it is important for citizens to know about the filling of the budget with taxes and the spending of income. Knowledge of this issue increases the motivation of citizens to actively participate in the budget process. In 2020, against the backdrop of geopolitical risks developing in the region, as well as a worsening fiscal situation and a reduction in income, private investment received a significant blow, which continued in 2021 and averaged 13.1% of GDP. Against the backdrop of geopolitical events in 2022, private investment amounted to 15.9%, and in 2023 increased to 16.9%. The growth trend will continue in 2024 and is expected to improve to 18.1%. It is also important that reducing investment, on the one hand, reduces the current account deficit, which is a positive factor in external vulnerability. However, on the other hand, this reduces the growth potential, which impedes the maintenance of macroeconomic stability. Accordingly, in the medium term, supporting investment through government capital spending will be important to sustain economic growth. It is expected that in 2025 the current account deficit will continue to decline and by 2028 will decrease to 3.7% of GDP. Accordingly, if the current situation worsens, we may receive high external debt and an increase in interest expenses, which will put additional pressure on the fiscal balance. Since not only taxes will increase, but also the process of economic recovery will slow down. In particular, it is important to analyze global geopolitical risks. The recent growth of inflation and interest rates in the world will significantly slow down the economic recovery.

### Conclusion

Thus, investments are considered the most effective means of business development in the implementation of strategic goals and objectives for the development of the region. The investment structure should increase the volume of investments directed to the revival and development of production. Territorial investment measures should meet different and diverse needs. The investment environment played an important role in eliminating the difficulties encountered in the Georgian economy and accelerating structural optimization. In particular, in connection with the growth of investments in the region, four free industrial zones were created, which will contribute to increasing the country's competitiveness and economic growth.



## References

---

1. Law of Georgia on the Promotion and Guarantees of Investment Activity
2. National Statistics Office of Georgia (Geostat), geostat.ge, 2023
3. tvitmmartveloba.ge ›
4. [www.georgia.un.org](http://www.georgia.un.org)
5. [tp://siteresources.worldbank.org/INTLED/Resources/3396501144099718914/AltOverview.pdf](http://siteresources.worldbank.org/INTLED/Resources/3396501144099718914/AltOverview.pdf)
6. [www.gov.ge](http://www.gov.ge)
7. [www.undp.org](http://www.undp.org)
8. [www.mof.ge](http://www.mof.ge)
9. [www.bm.ge](http://www.bm.ge)
10. [info@idfi.ge](mailto:info@idfi.ge)
11. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304?publication=15>
12. <http://ssa.mof.gov.ge/>
13. <https://bm.ge/news/aspindza>

**მარინა ლუარსაბიშვილი**  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის  
ავილირებული ასოცირებული პროფესორი

## სამრეწველო და სავაჭრო კომპანიების შედარებითი დახასიათება

### ანოტაცია

საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯები მკვეთრად უნდა იყოს ერთმანეთისაგან გამიჯნული. საწარმოო და სავაჭრო დანახარჯების დაჯგუფება შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს მთლიანი საწარმოო დანახარჯი. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ, როდესაც მზა პროდუქცია საწყობს გადაეცემა, როგორც მზა პროდუქცია, გადაეცემა ისეთი ღირებულებით ხდება, რომელიც ასახავს მის საწარმოებლად გაწეულ მთლიან საწარმოო დანახარჯს.

სავაჭრო ადმინისტრაციული, რეალიზაციის, კომერციული და ფინანსური დანახარჯები არ არის დაკავშირებული საწარმოო პროცესთან (არ არის ლოკალიზებული საწარმოო შენობაში), ამდენად, ისინი არ მიეკუთვნება საწარმოო დანახარჯების კატეგორიას.

**საკვანძო სიტყვები:** სამრეწველო კომპანია, საწარმოო დანახარჯი, არასაწარმოო დანახარჯი, საოპერაციო ხარჯი, საერთო მოგება.

### სამრეწველო და სავაჭრო კომპანიების შედარებითი დახასიათება

სამრეწველო და სავაჭრო კომპანიები ბევრი რამით წააგავს ერთმანეთს: ორივე მათგანისათვის შემოსავლის ძირითად წყაროს რეალიზაციის მოცულობა (გაყიდვები) წარმოადგენს; ორივე მათგანის მოგება-ზარალის უწყისებში ფიგურირებს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების პუნქტები და მრავალი სხვა. მაგრამ არსებობს განსხვავებებიც. მათ შორის არსებითია ის, რომ სავაჭრო საწარმო ყიდულობს და ყიდის დასრულებულ, გასაყიდად ვარგის პროდუქციას, ხოლო სამრეწველო საწარმო თვითონ ახდენს ამ უკანასკნელის დამზადებას. აღნიშნულის გამო, სავაჭრო საწარმოს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (რპთ) განისაზღვრება პროდუქციის შესყიდვასა და ტრანსპორტირებაზე გაწეული დანახარჯებით, მაშინ, როდესაც სამრეწველო საწარმოსათვის იგი საწარმოო დანახარჯებითაა განსაზღვრული. ეს განსხვავება ასახავს პოულობს მათი მოგება-ზარალის უწყისების რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განაკვეთში:

**მაღაზია A**  
**მოგება-ზარალის უწყისი**  
**2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

რეალიზაციის მოცულობა ----- 95000  
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:  
გასაყიდი საქონლის საწყისი მარაგები ----- 5500  
წმინდა შესყიდვები ----- 4800  
სარეალიზაციო პროდუქციის თვითღირებულება 10300



მინუს: გასაყიდი საქონლის საბოლოო მარაგები --- 3780  
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება ----- 6520  
საერთო მოგება რეალიზაციიდან 88480

#### **საწარმოო ფირმა B**

#### **მოგება-ზარალის უწყისი**

#### **2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

რეალიზაციის მოცულობა .....89000  
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:  
მზა (გასაყიდი) პროდუქციის საწყისი მარაგები .....55000  
წარმოებული (მზა) პროდუქციის თვითღირებულება ...30000  
სარეალიზაციო პროდუქციის თვითღირებულება .....85000  
მინუს: მზა პროდუქციის საბოლოო მარაგები .....35000  
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება .....50000  
საერთო მოგება რეალიზაციიდან .....39000

მოგება-ზარალის უწყისთა მოყვანილი ამონარიდიდან ვხედავთ, რომ სავაჭრო საწარმოს მოგება-ზარალის უწყისში წარმოდგენილი წმინდა შესყიდვების ნაცვლად სამრეწველო საწარმოს მოგება-ზარალის უწყისში გვაქვს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების პუნქტი. მისი სიდიდე გვიჩვენებს მზა პროდუქციის საწარმოებლად გაწეული ყველა საწარმოს დანახარჯების ჯამს.

სამრეწველო საწარმო ყიდულობს ნედლეულს და გარდაქმნის მას მზა პროდუქციად. მაგალითად, თვითმფრინავმშენებელი კომპანიისათვის ნედლეულს წარმოადგენს ალუმინის, რკინის, პლასტმასის და სხვა მასალების დეტალები, რეაქტიული ძრავა, ელექტრო და სხვა მოწყობილობები და ა. შ. აღნიშნულ ნედლეულს კომპანია გარდაქმნის მზა პროდუქტად – რეაქტიულ თვითმფრინავებად. ნედლეული და მზა პროდუქცია პირობითი ცნებებია და განისაზღვრება კონკრეტულ საწარმოსთან მიმართებაში. მაგალითად, ძრავა, რომელიც თვითმფრინავმშენებელი კომპანიისათვის ნედლეულია, ძრავების მშენებლისათვის მზა პროდუქტად გვევლინება. წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულება განისაზღვრება მის საწარმოებლად გაწეული საწარმოო დანახარჯების ჯამით.

საწარმოო ისეთი დანახარჯებია, რომლებიც გაიწევა ნედლეულის მზა პროდუქციად და ნაწილობრივ მზა პროდუქციად (დაუმთავრებელი წარმოება) გარდაქმნის პროცესში.

საწარმოო დანახარჯები სამი ძირითადი ელემენტისაგან შედგება: მოხმარებული ნედლეული; პირდაპირი შრომა; პირდაპირი გასავლები, ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები, მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯები.

მოხმარებული (გამოყენებული) ნედლეული – საწარმოო დანახარჯების ეს ელემენტი მზა პროდუქციის წარმოებისათვის მოხმარებული მასალების, ნაკეთობებისა და სხვა ელემენტების ღირებულებას (თვითღირებულებას) წარმოადგენს. ნედლეული საწარმოო დანახარჯების კატეგორიაში მისი მოხმარების შემდეგ გადადის. საწყობში დარჩენილი ჯერ კიდევ მოხმარებული ნედლეული მიმდინარე აქტივი – ნედლეულის მარაგებს წარმოადგენს. მოხმარებული ნედლეულის თვითღირებულების გამოთვლა განისაზღვრება შემდეგნაირად:



მოხმარებული ნედლეული:

ნედლეულის საწყისი მარაგები .....	2590
შესყიდული ნედლეული .....	15990
ნედლეულის შემოზიდვის დანახარჯები .....	1500
მოსახმარი ნედლეულის თვითღირებულება .....	20080
მინუს: ნედლეულის საბოლოო მარაგები .....	2100
მოხმარებული ნედლეულის თვითღირებულება .....	17980

მოხმარებული ნედლეულის გამოთვლის მოყვანილი წესი გამოიყენება მარაგების პერიოდული აღრიცხვის სისტემის შემთხვევაში და იგი რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების გამოსათვლელი ფორმულის ანალოგიურია. მარაგების უწყვეტი აღრიცხვის სისტემის გამოყენებისას რაიმე პერიოდში მოხმარებული ნედლეულის სიდიდე ანგარიშ ნედლეულზე ამ პერიოდში შესრულებული კრედიტული გატარებების ჯამის (კრედიტის ბრუნვის) ტოლია.

პირდაპირი შრომა (შრომითი დანახარჯები) – საწარმოო დანახარჯების მეორე ძირითადი ელემენტი უშუალოდ პროდუქციის წარმოებაზე დასაქმებული ქარხნის მომუშავეთა ხელფასების ჯამს წარმოადგენს. მომუშავეთა ამ კატეგორიას მიეკუთვნება ზეინკლები, ხარატები, ამწყობები, მღებავები და ქარხნის სხვა მომუშავეები, რომლებიც ხელით ან იარაღების (საშუალებების) გამოყენებით ნედლეულს მზა პროდუქციად გარდაქმნიან.

საწარმოო ზედნადები დანახარჯები – საწარმოო დანახარჯების ამ კატეგორიაში გაერთიანებულია მოხმარებული ნედლეულისა და პირდაპირი შრომისაგან განსხვავებული ყველა საწარმოო დანახარჯი.

საწარმოო ზედნადების დანახარჯებია:

არაპირდაპირი შრომა – სამქროსა და ცვლის უფროსების; ქარხნის დამლაგებლის; ქარხნის მედპერსონალის; ქარხნის უსაფრთხოების ინჟინრების და სხვ.

საწარმოო შენობის დანახარჯები – საწარმოო შენობის ცვეთა; საწარმოო შენობის დაზღვევა; საწარმოო შენობისა და მიწის უძრავ ქონებაზე გადასახადი; შენობის შენახვა და რემონტი; საწარმოო შენობის ელ-მომარაგება, განათება, წყალმომარაგება და სხვა კომუნალური დანახარჯები.

საწარმოო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების დანახარჯებია – საწარმოო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების ცვეთა; საწარმოო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების დაზღვევისა და უძრავ ქონებაზე გადასახადი; საწარმოო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების შენახვა და რემონტი; მოხმარებული სათადარიგო ნაწილები, საცხებ-საპოხი და სხვა მასალები და ა.შ.

ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისთვის გაწეული დანახარჯებია – შრომის უსაფრთხოება; ფეკალური წყლებისა და გამონაბოლქვი აირების გაწმენდა და სხვ.

პირდაპირი გასავლები – გასავლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობს პროდუქტის შექმნაში, მაგალითად მაისურების წარმოებაში, მხოლოდ მაისურების შესაკერად გამოყენებული საკერავი მანქანების ცვეთა.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯი – ზედნადები ხარჯი, რომელიც იცვლება წარმოებული პროდუქციის რაოდენობის პირდაპირპროპორციულად, მაგალითად, მანქანა-დანადგარებისათვის გამოყენებული საწვავი.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები – ზედნადები ხარჯი, რომელიც არ იცვლება წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ცვლილების მიუხედავად, მაგალითად, ქარხნის საიჯარო ქირა.

სავაჭრო ადმინისტრაციული, რეალიზაციის, კომერციული და ფინანსური დანახარჯები არ არიან დაკავშირებული საწარმოო პროცესთან (არ არიან ლოკალიზებული საწარმოო შენობაში), ამდენად, ისინი არ მიეკუთვნებიან საწარმოო დანახარჯების კატეგორიას და არასაწარმოო დანახარჯებად არის მიჩნეული. არასაწარმოო დანახარჯები:

- ✓ ადმინისტრაციული დანახარჯები – დანახარჯები, რომლებიც საჭიროა ორგანიზაციის საერთო ადმინისტრაციული დანიშნულების ქვედანაყოფების, მაგალითად, ბუღალტერიის, ასამოქმედებლად.
- ✓ რეალიზაციის დანახარჯები – დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებლებისაგან (კლიენტებისგან) ორგანიზაციის პროდუქციის შეძენაზე და შეკვეთების მიღებასთან (გაყიდვების განყოფილების დანახარჯები) და მარკეტინგის დანახარჯები.
- ✓ კომერციული დანახარჯები – დანახარჯები, რომლებიც მონაწილეობს ორგანიზაციის მზა პროდუქციის დისტრიბუციაში, როგორიცაა, მაგალითად საწყობების შენახვის დანახარჯები, ან პროდუქციის მიწოდების დანახარჯები.
- ✓ ფინანსური დანახარჯები – დანახარჯები, რომლებიც გაიწევა ორგანიზაციის დასაფინანსებლად, მაგალითად, სესხის პროცენტი.

საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯები მკვეთრად უნდა იყოს ერთმანეთისაგან გამიჯნული. საწარმოო და სავაჭრო დანახარჯების დაჯგუფება შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს მთლიანი საწარმოო დანახარჯი. მთლიანი საწარმოო დანახარჯი არის ზღვრულ საწარმოო დანახარჯს (მთლიანი პირდაპირი დანახარჯები) დამატებული ნებისმიერი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯი. მნიშვნელოვანია, ნათლად განისაზღვროს ამა თუ იმ პროდუქტის მთლიანი საწარმოო დანახარჯი და ეს იმისთვისაა საჭირო, რომ როდესაც მზა პროდუქტია საწყობს გადაეცემა როგორც მზა პროდუქტია, გადაეცემა ისეთი ღირებულებით ხდება, რომელიც ასახავს მის საწარმოებლად გაწეულ მთლიან საწარმოო დანახარჯს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკვაშვილი ზ., „მენეჯერული აღრიცხვა“, თავისუფალი უნივერსიტეტი, თბილისი, 2006
2. მ. ლუარსაბიშვილი, მ. გელაშვილი – „მმართველობითი აღრიცხვა (მოკლე კურსი) – თბილისი, 2025
3. ACCA საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტთა ფედერაცია (ბაფი) წიგნი F2 „მმართველობითი აღრიცხვა“ – თბილისი, 2011
4. Horngren T., Datar M., Foster G., „Cost Accounting a Managerial Amphasis,“ 2012
5. <http://pbi.ge/>

**Marina Luarsabishvili**

*Academic Doctor of Economy; Affiliated Professor*

*New Higher Education Institute – NEWUNI*

## COMPARATIVE CHARACTERISTICS OF INDUSTRIAL AND TRADING COMPANIES

### Abstract

Production and non-production costs must be clearly distinguished from one another. The classification of production and commercial costs makes it possible to determine total production cost. This is necessary so that, when finished goods are transferred to the warehouse as completed products, the transfer is carried out at a value that reflects the total production costs incurred in their manufacture.

Administrative, selling, commercial, and financial costs are not related to the production process (they are not localized within the production facilities); therefore, they do not belong to the category of production costs.

**Keywords:** industrial company, production cost, non-production cost, operating expense, gross profit.

Industrial and retail companies are similar in many ways: for both, sales volume is the primary source of income; both include items such as cost of goods sold and operating expenses, among many others, in their income statements. However, there are also differences. The most important one is that a retail company purchases and sells finished, marketable goods, while an industrial company produces them internally. Consequently, the cost of goods sold (COGS) for a retail company is determined by the costs of purchasing and transporting products, while for an industrial company, it is determined by production costs. This difference is reflected in the COGS indicator in their income statements:

### Store A

#### Income Statement

For the year ended 31 December 2022

Sales Volume -----	95,000
Cost of Goods Sold	
Opening Goods for Sale -----	5,500
Net Purchases -----	4,800
Cost of Goods Sold	10,300
Less: Ending Goods for Sale ---	3,780
Cost of Goods Sold ----	6,520
Total Sales Profit	88,480

### Manufacturing Firm B

#### Income Statement

For the year ended December 31, 2022

Sales volume -----	89000
Cost of goods sold	
Beginning inventory of finished goods -----	55000
Cost of goods manufactured ----	30000



